„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც ამას ვდუდუნებ" - ვაჟა

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2018 წ. აპრილი * №56 * ფასი 1, 50 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



დრანდის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, VIII ს.

ედუარდ ამბროსოვიჩის დიდი ტყუილი 1978 წლის 14 აპრილთან დაკავშირებით!

გვ. 3

მხატვრულ ფილმ „ექვთიმე ღვთის კაცის" გამო

გვ. 7, 8

გიგანტური ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებულმა პროტესტმა, შესაძლოა, კიდევ ერთი სეპარატისტული კერა წარმოქმნას

ლეილა ცომაია

მას შემდეგ, რაც 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ, უცხოელ ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებით შეიქმნა, სვანეთსა და რაჭაში, გიგანტური ჰესების მშენებლობის პროექტები, არ წყდება ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი. სვანეთისა და რაჭის მოსახლეობა, ამ დრომდე, დარსა თუ ავდარში, პერმანენტულად აპროტესტებს ახალი ჰესების მშენებლობას. მოძალადე ხელისუფლება კი ცდილობს, პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმებით ჩაახშოს ადგილობრივთა მღელვარება. სვანებსა და რაჭველებს სოლიდარობას უცხადებენ თბილისელების აქტიური ნაწილი და მათთან ერთად მართავენ ხმაურიან მრავალრიცხოვან მიტინგებსა და მანიფესტაციებს სამთავრობო დაწესებულებებთან, საპროექტო ინსტიტუტებთან თუ პროექტების დამფინანსებელ ბანკებთან (ევროპის რეკონსტრუქციის ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, კორეის „ექსიმ ბანკი").

ახალი გიგანტური ჰესების მშენებლობა იგეგმება ზემო სვანეთში ნენსკრას, ხუდონის, ლეჩხუმში ნამახვან ჰესის, რაჭაში ონის კასკადის... სულ, დახლოებით, ორმოცდაათამდე ჰიდროელექტროსადგურის. სპეციალისტების თქმით, ამგვარი ჰესების მშენებლობა გამოიწვევს სახიფათო კლიმატურ ცვლილებებს და რაც კიდევ უფრო საგანგაშოა, ჰესების მშენებლობა იგეგმება სეისმურად აქტიურ ზონაში.

ერთ-ერთი კვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტის, რამაზ მეტრეველის თქმით, ონში, მდინარე რიონზე 12 კმ გვირაბი უნდა გაითხაროს, რაც ნახევარი ზემო რაჭის დატბორვის საშიშროებას ქმნის; მდინარე რიონს ახასიათებს წყალმოვარდნები და გვირაბში გაყვანილმა მდინარემ, შესაძლოა გამოანგრიოს გვირაბი და დატბოროს და წალეკოს მრავალი სოფელი.

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

პრემიერმა კვირიკაშვილმა, 2017 წლის 14 მარტის დადგენილებით, სოფელ ჭუბერში „ნენსკრა ჰიდროს“ 97,5 ჰა მიწა, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1$ დოლარად გადასცა. ჰესის წლიური გამომუშავება 1.2 მილიარდი კვტ/სთ უნდა იყოს.

სვანეთისა და რაჭის მოსახლეობა სვამს კითხვას: რა სარგებელს მოუტანს პროექტი თემს და რამდენად საპირწონეა ეს სარგებელი იმ ზიანის, რაც მიადგება ქვეყანას. აგრეთვე, ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ გეოლოგიური საფრთხეების წინასწარ შესწავლასა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას აღნიშნულ პროექტებში ადგილობრივ კვალიფიციურ ექსპერტებთან ერთად. მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ჭუბერის მოსახლეობა, ჰესების მშენებელი კომპანიის ტრანსპორტისთვის, სატრანსპორტო მაგისტრალის ბლოკირებით იმუქრება.

ადგილობრივმა მოსახლეობამ არაერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, ხელისუფლებასთან ერთად განიხილონ ჰესების მშენებლობის საკითხი, რასაც თითქოს ეთანხმება ხელისუფლებაც, მაგრამ იგი არავითარ დათმობაზე არ მიდის და მოსახლეობის ცრუ დაპირებებით ცდილობს თავისი გიგანტური პროექტების გახორციელებას. მოსახლეობა კი არ ტყუვდება და აღარ ენდობა ხელისუფლებას.

„არა საქართველოს დატბორვას! არა ჰესომანიას!“ თითქმის პერმანენტულად მართავენ აქციას საქართველოს მოსახლეობის აქტიური ნაწილი თბილისში, ქუთაისში, სვანეთსა და რაჭაში გარემოსდამცველებთან და უფლებადამცველებთან ერთად. იგზავნება მრავალრიცხოვანი ხელმოწერითი პეტიციები მთავრობაში. მოსახლეობა კატეგორიულ უარს აცხადებს კომპენსაციის სახით თანხის მიღებაზე ჰესების მშენებლობაზე თანხმობის სანაცვლოდ.

ქართველი ექსპერტების დასკვნით (დავით ჭიპაშვილი), პროექტი, ეკონომიური თვალსაზრისითაც, საქართველოსთვის არამომგებიანია: „საქართველომ 36 წლის განმავლობაში უნდა შეისყიდოს 8.5 აშშ ცენტად ერთი კილოვატსაათი ადგილზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ 36 წლის განმავლობაში საქართველომ ინვესტორს უნდა გადაუხადოს 3.6 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი, ხოლო პროექტის ღირებულება შეადგენს 1.035 მილიარდ აშშ დოლარს. რეალურად, ეს ინვესტიციაა, თუ ჩვენ თვითონ ვიხდით სამმაგ ფასს, და ისიც საკითხავია, როგორ მდგომარეობაში იქნება ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური 36 წლის შემდეგ და საერთოდ, რატომ უნდა ვიხადოთ 36 წლის განმავლობაში, როდესაც საქართველოში დღევანდელი საბითუმო ტარიფი მისი ნახევარია. იგივე, ქართლის ქარის სადგურიდან ჩვენ ელექტროენერგიას 6.87 ცენტად ვყიდულობთ, რაც თავის მხრივ დიდი ტარიფია, მაგრამ თუ შევადარებთ იგივე ნენსკრას, აღმოჩნდება, რომ ქარის სადგური საქართველოს პირობებშიც კი უფრო იაფია, ვიდრე ჰიდროელექტროსადგური. ასე რომ, ვერანაირად ვერ საბუთდება ამ პროექტის საჭიროება“.

პროექტის ავტორების თქმით კი მათი პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას, სამუშაო ადგილების შექმნასა და რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მდინარე ნესკრაზე უნდა აშენდეს გიგანტური და საშუალო სიმაღლის კაშხალები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ ასამდე ოჯახს მოუწევს ბინადრობის ადგილის შეცვლა, გაიჩეხება ტყეები, დაიკარგება მიწის ნაკვეთები, სასაფლაოები. იცვლება ე. წ. ზურმუხტის ქსელი (ეკოლოგიური, კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორია).

ბოლო აქტივობა, „მესტია-ჭალა ჰესისა“, „ნენსკრა-ჰესისა“ და სხვა ახალი დამაზიანებელი ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ, თბილისის ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში, მანანა საღლიანის ორგანიზებით ჩატარებული დისკუსია იყო. საკონფერენციო დარბაზში, გარდა სვანეთიდან ჩამოსული მოსახლეობისა, მონაწილეობდნენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტ-სპეციალისტები, რომლებიც ასაბუთებდნენ ახალი გიგანტური ჰესების არასაჭიროებასა და გარემოზე ზემოქმედების მავნებლობას. კონფერენციის მონაწილეებმა მთავრობას მისცეს რეკომენდაცია ძველი ჰესების (ენგურჰესისა და სხვ.) მოვლა-პატრონობაზე, მათი სრული სიმძლავრით ამოქმედების მიზნით, რაც, მათი თქმით, სრულიად საკმარისად უზრუნველყოფს ქვეყნის ელექტრომომარაგებას და ექსპორტსაც. მთავრობა ვალდებულია უფრთხილდებოდეს და უვლიდეს სვანეთის ამ უნიკალურ რეგიონს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. მძიმე ტექნიკის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად კი მოსალოდნელია, რომ ვიბრაციულმა რყევებმა გამოიწვიოს, ისედაც მოძრავი ქანების უფრო მეტად გააქტიურება და უნიკალური კოშკების დაზიანება ან, სულაც, ნგრევა.

ივანიშვილის ხელისუფლების ვანდალურ-მაოხრებელი საქმიანობიდან გამომდინარე, ჩნდება შემაძრწუნებელი ეჭვი, რომ ამჯერად გეგმასა და მიზანში აქვთ, სვანეთის ამ უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის კოშკების დანგრევაც. აკი, ივანიშვილის მთავრობამ, სრულიად გაუაზრებლად ააფეთქა მსოფლიო ცივილიზაციის უნიკალური კერა - საყდრისი, სადაც ამჟამად ბარბაროსულად ეუფლებიან ოქროს საბადოებს და სიმდიდრეს იხვეჭს ხარბი ხელისუფლება. მათ ვანდალურად გაანადგურეს სამეგრელოსა და აჭარის ტყის მასივებიც, თითო ხის გადასაზიდად, ივანიშვილის კერძო დენდრო-პარკის გაშენებისთვის. სურამსა და ბორჯომში იყიდება ტყეები სასტუმროების ასაშენებლად, რომელიც კერძო მფლობელობაში გადადის. სრულიად საქართველოში სივრცე აღარ დარჩა საერთო სახალხო საკუთრებიდან, რომელსაც საქმოსან-„ბიზნესმენები“ მიზერულ ფასად არ ეუფლებოდნენ. „ოცნების“ ხელისუფლების დამფინანსებელ-შემომწირველ საქმოსნებს, ყოველგვარი ტენდერების გარეშე, საკუთრებაში ეძლევათ მინისა და ტყის ფართობები ძველი შენობა-ნაგებობებით; ფაქტიურად მიმდინარეობს დატაცების გამალებული პროცესი, რასაც კანონის ძალას ანიჭებს ადგილობრივი მერიები და საკრებულოები. საერთო-სახალხო ქონების ამგვარად დატაცების შემდგომ, საქმოსნების მხრიდან ხორციელდება მოსახლეობის აყრა-შევიწროება. ხალხის მღელვარება და პროტესტი კი არად ანაღვლებს ხელისუფალთ. 2014 წელს, ივანიშვილის მთავრობამ, 10 მილიონად ღირებული მიწის 200 ჰექტარი გლეხების საძოვარი, აბაშაში, საკუთრებაში ერთ ლარად გადასცა ივანიშვილის დეიდაშვლს უჩა მამაცაშვილს, კახი კალაძეს, გიორგი ბაჩიაშვილს(თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი) და შმაგი კობახიძეს. საძოვრების გარეშე დარჩენილი გლეხები იძულებული გახდნენ გაეყიდათ მარჩენალი ძროხები და უარეს სიღატაკეში ჩავარდნენ.

სახელისუფლო ჰესო-მანია აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებსაც შეეხო. პანკისელები ეწინააღმდეგებიან შ.პ.ს ,,ართანა ლოპოტას“ პროექტს(თელავის მუნიციპალიტეტი), 4.22 მგვტ სიმძლვრის, ართანა ჰესის მშენებლობის შესახებ და მოითხოვენ გათალისწინებულ იქნას ართანელების პრეტენზიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეუეთდებიან ართანელების პროტესტს და არ დაუშვებენ ჰესის მშენებლობას.

საბედნიეროდ, სვანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მედგრად დგას და თუ მათ საქართველოს ინტელიგენციის მხარდაჭერაც ექნებათ, სრულიად შესაძლებელია სვანეთი გადაურჩეს სახელისუფლებო ვანდალიზმს. იმის გამო, რომ ნენსკრა ჰესის გზშ-ში ჩაწერეს, რომ სვანები არ არიან(?!) სვანეთის მკვიდრი მოსახლეობა, სვანებმა მანიფესტი აახლეს მთავრობას „სვანების მკვიდრ მოსახლეობად აღიარების მოთხოვნით“.

სამწუხაროდ, სვანეთში შექმნილი დაძაბულობის ფონზე, გამოჩნდნენ ანტისახელმწიფობრივი ძალები, რომლებიც ცდილობენ სვანების პროტესტი პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაზარდონ. კერძოდ, პრო-რუსული საპარლამენტო პარტიის, ფსევდო-„პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატი ემზარ კვიციანი რეკომენდაციას აძლევს საპროტესტი აქციის ლიდერებს მოითხოვონ სვანეთის ცალკე გუბერნიად გამოცხადება. ე. კვიციანის დაჟინებული რჩევაა, რომ ჰესების საწინააღმდეგო პეტიციას, ხელმომწერებმა, დაამატონ მოთხოვნა: „სასწრაფოდ შეიქმნას ზემო და ქვემო სვანეთის გუბერნია“. დესტრუქციული ქმედებებით გამორჩეულ ემზარ კვიციანს, რომელიც ამჟამად საპარლამენტო მანდატითაა აღჭურვილი, არათუ სვანეთის მოსახლეობაში, არამედ პარლამენტშიც შეიძლება გამოუჩნდეს მხარდამჭერები. ე.წ. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ პუტინის სატელიტ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს და მოსკოვში ხშირი ვიზიტებითაც იწონებს თავს (ადა მარშანია, ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი, ნატო ჩხეიძე...). რუსული სცენარით მოქმედ ამ კოლაბორაციონალისტებს საქართველოს მთავრობაშიც ეყოლებათ ფარული მხარდამჭერები. წინააღმდეგ შემთხვევაში ე. კვიციანი, ასე ხმამაღლა, ვერ გაბედავდა ამგვარი არაკონსტიტუციური მოთხოვნის გაჟღერებას.

არასამთავრობო ოპოზიციიდან, „სვანეთის ცალკე გუბერნიად“ გამოცხადებას, აქტიურად უჭერს მხარს, ცნობილი ავანტიურისტი პოლიტიკანი ირაკლი წერეთელი, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის იარაღით დამხობაში. ცნობილია, რომ ამ ფსევდო- „ეროვნული დამუკიდებლობის“ პარტიის ლიდერმა, როდესაც რეალურად მივაღწიეთ დამოუკიდებლობას, ტყვიები ესროლა საქართველოს ეროვნულ-დამოუკიდებლობას და პრეზიდენტ ზვიდ გამსახურდიას განდევნაშიც მიიღო აქტიური მონაწილეობა.

ვიმედოვნებთ, რომ გონიერი სვანები, არ წამოეგებიან ამ პროვოკატორთა დასელების ანკესს და არ დაუშვებენ, ჰესების მშენებლობის პროტესტის, ანტისახელმწიფოებრივ მოთხოვნებში გადაზრდას. ამგვარი მცდელობები ჰქონდათ 90-იან წლებში სამეგრელოს მოსახლეობის მიმართ, რომლებსაც ისე გაუმწარეს ყოფა, ხუნტის ხელისუფლებამ, მრავალჯერადი ეგზეკუციებით, რომ იქაც გაჩნდა მოთხოვნები სამეგრელოს საქართველოდან გამოყოფის შესახებ. ამ შინაარსის პროკლამაციებს ვეტრმფრენებიდან ყრიდნენ ხუნტისტური ძალები, რათა ეს იდეა აეტაცებინა ხალხს და მოეცვა მთელი სამეგრელო. გონიერმა მეგრელებმა გაუძლეს ამ გამოცდას და არ აყვნენ პროვოკატორებს, რომლებიც დღემდე ფუთფუთებენ სამეგრელოში რუსულ-თურქული ფინანსებით.

სრულიად საქართველოს სოლიდარობა სვანებს, სვანეთის არქაული კულტურული მემკვიდრეობა - საქართველოს პრეისტორიული საგანძურია!

პუტინი სიკვდილამდე არ თმობს პრეზიდენტობას

მიმდინარე წლის 18 მარტს, რუსეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. პუტინი მეოთხედ გახდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და მისი მმართველობა ხალიფატის დიქტატორთა მართველობის ხანგრძლივობას ედარება: ანვარ კადაფი - 32 წელი, სადამ ხუსეინი - 23 წლი, მუბარაქი - 30 წელი, ასადი მამამისიანად - 48 წელი. პუტინი, ჯერჯერობით - 18 წელი.

სტატისტიკა

- 2001 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა (მლნ) ადამიანს: ავსტრალია - 19, 4 ავსტრია - 8, 2 აშშ - 278, 1 არგენტინა - 37, 4 ბელგია - 10, 3 ბრაზილია - 174, 5 გერმანია - 83, 1 დიდი ბრიტანეთი და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო - 59, 6 ესპანეთი - 40, 0 თურქეთი - 66, 5 ნიდერლანდები - 16, 0 პოლონეთი - 38, 6 პორტუგალია - 10, 1 რუმინეთი - 22, 4 რუსეთი - 145, 5 საბერძნეთი - 10, 6 საფრანგეთი - 59, 6 საქართველო-5, 0 („ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. 2005 წ.)

მათ გაიარეს სიკვდილის ანლოს

ხანდახან თავიდან ავლებ თვალს მათ კელაპტარივით ცხოვრებას, ვინც სამყაროს შეცვლას ლამობდა, ვისაც ერთობლივ სიკეთე ეწადა, დრო სხვას ცდილობდა... ოროზ-მოროზის ძენი (როგორც იწოდებიან აშოტის მკვლელნი), არ კლებულობს...კაენის მოდგმაც მრავლობს, თუმცა ვერ მძლავრობს მადლის საპირისპიროდ....ზოგჯერ ის ბრძოლაც გერგება ადამიანს, რომელიც შენი არ არის, შენ არ გამოგიწვევია და არც ელოდი... ბარათაშვილის კითხვაც ეპოქის გამოძახილია - „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი"...ხშირად იყო, ტატოს ახლობლები ემალებოდნენ, მოსამსახურე კარიდან აბრუნებდა -ბატონი შინ არ გახლავსო... უკვირდა ტატოს, ის ხომ ენაწყლიანი, ხალისიანი იყო. წარმოიდგინეთო ჩემი დაკოჭლებული ფეხით კიდეც ვტანცაობ და კიდეც ვილხენო...რამდენჯერ ტკენიათ, რომ სხვებისთვის ტკივილი აერიდებინათ...სტუმარი ღვთისაა და ვინ იცის, წვეულთან ერთად ღმერთიცა მომლოდინია, ვით შეივრდომებ, მაგრამ გული როცა დახშულია, კარიც ირაზება....საკუთარი ბიძის გრიგოლ ორბელიანის გულგრილობაც ვერაფრით ახსნა, მაგრამ ახსნა დრომ, ერთი იმ რეჟიმის შვილი იყო და მეორე მსხვერპლი. ერთი ჩინზე ფიქრობდა, მეორე - მამულზე...."თქვენ ჩემო ძმებო, მართალია გწყინთ ჩემი გაჯეჰილება, „ (გაჯეჯილებას გულისხმობს) და ამას უკვე ვაჟა დაწერს, რომელიც ღირსეულად უძლებს შემოტევებს. არ შეეპუა რეჟიმს, სკოლაში „რაზიკოვად" ვიწოდებოდიო, რუსული მიდგომა ასეთი იყო...ვინ დაგიდევდა - „ვისი გორის ხარ", ანდა რა წონის...ცოლსაც უსაყვედურებია - შინ არაფერი გაქვს, შენ კი ზიხარ, სულ ჯღაბნი...მეგონა გაჯავრდებოდა, გაიცინა და მითხრაო - უცოდინარი ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატიებდიო...შეუსაბამო გარემოც იკითხება მის ბიოგრაფიაში და გულქვაობაც. მკვლევარი, პროფესორი და ჩემი უფროსი კოლეგა -იუზა ევგენიძე იკვლევდა მის შესახებ ფაქტებს. „უბედურება ის არის, რომ სმა-ჭამაში იპოვნით ამხანაგს და საგონებიო საქმეში კი ამფსონი არავინა გრჩება, „ (ვაჟა). ვერა ვარ კარგადო, „უფრო კი ზნეობრივის მხრით, ხანდახან ჩემს თავსა მტრობ, რატომ მეც, როგორც სხვებმა, არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ ვუგორდი ლეკვივით დიდთა მათ ქვეყნისათა...არ ველაქუცე, მაგრამ თავს იმით ვმართლულობ, არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება. „-რაოდენ გულისტკივილითაა თქმული. ნივთიერი სიღატაკე კი მძიმედ დააწვა. რაოდენ უცნაურია ის ფაქტიც, რომ სწორედ რჩეულს გაიმარტოვებენ, გაიკიდეგანებენ, მაგრამ ამგვარი ამბავი კი მართლა საჩოთირო რამაა, რაც ცნობილი მსახიობის ლადო მესხიშვილის იუბილეზე 1913 წ. ხდება. ვაჟას ავტორობით, საგანგებოდ დაწერილ საიუბილეო ტექსტზე მღერის ნიკო სულხანიშვილის გუნდი, თვით ვაჟას წადილი აქვს მიმართოს მსახიობს და ამ დროს საღამოზე შესასვლელი ბილეთი კი არა აქვს. ნიკო სულხანიშვილი აღტაცებულია წარმატებით, მუსიკით, გუნდით. ვაჟა კი გარეთ ელის გამარჯვებულ მეგობარს და სთხოვს -ტაშს არ აჰყვე, ტაშს დაგიკრავენ და მშიერს მოგკლავენო. რაოდენ პარადოქსული შემთხვევაა... იოლი რომ არაა ასეთი ყოფა, მიტომაც თქვა სიდიადით და არა სევდით: - „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული. „ მოძმეთა თუ საწუთროს სირთულე თავზე თუ არ აიღო, მაშ, რას და როგორ უნდა უსაშველოს ერისკაცმა...

არ შიძლება ფიქრი სულხან -საბას არ მისწვდეს. „საცა სათქმელი არ არის, შეიკარ გულის ფიცარი", მაგრამ ქვეყნის ხვედრი შეუფარავ სიმართლეს ითხოვს...ვერ მოიზღუდები თავსარგოდ. ყველას რომ უნდა უწამლოს, მაშინ სხვა რა უნდა ქნას რჩეულმა?!

მტერმან ლოდი მომახვედრა,
მოყვარემან ვარდის კონა,
ეგრე მტერმა ვერ მატკინა,
მოყვრისამან შემაღონა!
(საბა).

ასეთ „მოყვრებზეცაა"- „თუ შენი ენა სხვას ეცა, საკვდავად განალესია, ვით კოკას ქვისა ალერსი სალეწად დასაკვნესია"...აღიძვრიან კიდეც შფოთით, მტერზე ძნელგასაძლები კი ესაა, თანამოძმისგან შეუბრალებლობა, ხვედრის გაუზიარებლობა.

ყველა ციხე შიგნიდან ტყდება, ამიტომ ბედნიერების არამოსურნე ხალხს, რომელიც არც კი ეძებდა ბედნიერების გზას თუ ხსნას საგანგებო ლექსით შეაგონებს ილია. თვალსაჩინოა სათაურიც - „ბედნიერი ერი. „ რეკდა ზარივით. ბედნიერების წვდომის, შექმნის გარეშე ხომ ცხოვრება ისეთივე უღიმღამო და ჭაპანგაწყვეტილია, როგორი სურათიც ამ ნიმუშშია. სამაგალითო ცხოვრების ხატს სასოებით ქმნის, სიტყვა ხომ ჭაბუკობიდანვე აქცია საქმედ, მოქმედებად... მუდამ გრძნობს ხიფათს თავისუფლების შვილი და ბოლთას სცემს სიკვდილის წინაც, წიწამურის წყაროსთან, თავადაც ხომ თავწყარო იყო... მაინც წარმოუდგენელია გამეტება და მის უზადოობასაც მოწმობს ამოძახილი - ილია ვარ, მაგრამ მაინც შეაჩერეს უკვდავი გულისცემა..."ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ" - ეს სიმღერაც ეგებ შემთხვევით არ უყვარდა, მუდამ რომ ამღერებდა დღეობაზე მოწვეულთ, საგურამოში. ..

"მე ბედი მაქვს ასეთი, ჩემი სიყვარული განწირულს ეკუთვნოდა მუდამ. მე ის ფერები მიყვარდა რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე, ისეთი ჩუქურთმები, თვით უხუცეს კალატოზებს რომ ვეღარ გამოჰყავთ. „-ეს კონსტანტინე გამსახურდიას ღირსეული არჩევანია. სულაც არ აინტერესებს ვინ იქნება თანაკაცი. მარტოც უძღვება ტვირთს, სხვებზე უკეთ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობასაც..."დამკარი, შე უღმერთო, ეგ ხმალი, ბარემ გათავდეს ეს ცხოვრება, პიპა"- როგორ შეიძლება არ გაიხსენო და ხან ესეც შვებად არ მიითვალო, სიკვდილსმიმსგავსებულ ჟამს...ადამიანი თავის დარდს კიდე მოუხერხებს რამეს, მაგრამ ყველას ტკივილში იმყოფებოდე, ეს მართლაც სულკურთხეულ ადამიანებს ძალუძს.

გამორჩეულად მიყვარს მისი იგავი -„ზღარბი და ლოკოკინა", როცა ლოკოკინა შეუტევს ზღარბს, დადიხარ და ერთთავად იჩხვლიტებიო, გული მოუვა ზღარბს და ჯიქურ ეტყვის - შენ რა გენაღვლება, წაგისვლეპია თავი და ყველგან ადვილად აღწევ, ყველგან ძვრებიო, მე კი ბრძოლით მიხდებაო გზის გაკაფვა, ამიტომ ხმლებად გადამექცაო თმები. ..

დიდ ადამიანებს სხვა ბედი არგუნეს... ლადო ასათიანს დედა გადაუსახლეს, მძიმე სენით დაავადდა „გაკულაკებული" ოჯახის შვილი...სნეულს დედა-ლიდია ცქიტიშვილი ეზმანებოდა...პირველი ლექსიც, გაზეთში, დედას გაუგზავნა, რომელიც უკვე მომაკვდავია უცხოობაში. გაზეთს არ აძლევდნენ, თუმცა ქართველი პატიმრების თხოვნის მერე წაუკითხეს შვილის ლექსი. ..

ყაზბეგი მაიმუნი ჟაკოს ამარა რომ დარჩა, ამაზე არაერთგზის დამიწერია. სამადლოდ, დუქანში ადამია აჭმევდა (უმასპინძლდებოდაო- ვერ იტყვი)...ხან ვალს იდებდა. ასე გაჰყვა სამ მანეთამდე ვალი, როცა ხელნაწერი დაუტოვებია გირაოდ. ის, რაც სულს ერჩია...რვაოთახიან ბინაში (დისქმარი) დერეფანშიაც არ აძლევდა გასათევს. ნაბადიც შემოეფლითა...დასნეულდა...ჰონორარზე, გარდაცვალების მერე, კი მიიჭრა, თუმც ჯეროვნად გამოისტუმრეს, არ გადასცეს, რადგან შეუფერებლად დალია სული საამაყო მწერალმა მარტოობაში..."გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!" - და ახსოვდა, რის დავიწყებასაც ცდილობდნენ...ხშირად არსად იყო მისი ადგილი, ქართველთა გულებში მხოლოდ. ..

„მის კლასიკურ მოთხრობებში თერგივით ჩქეფს სიყვარული -ეს დაუნდობელი, უკან დაუხეველი სისხლისმსმელი, მაგრამ მაინც მშვენიერი ავაზა. „ -(იზოლდა ქაფიაშვილის, ჩემი ლექტორის წიგნიდან მომაგონდა ერთი მეცნიერის ეს ფრაზა. სასოებით მისახსოვრა კრებული)... ასევე, დავით კლდიაშვილის საგულისხმო მოგონებაც მრავლისმეტყველია:- „ბევრი სიმწარე უნახავს სანდროს, ბევრთაგან დიდი მწუხარება შეხვედრია, ბევრს ცხარე ცრემლით უტირებია...ბოლოს მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს, სამ ტომად გამოცემული წიგნები მიუტანეს. მან გადაშალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხია-მოხია და გადაყარა იქით"...მისი წიგნები კი საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა.

სადისერტაციო თემა ყაზბეგზე როცა მქონდა, ერთი წლის განმავლობაში ვიკვლევდი სასიქადულო მწერალს...ყველაზე ცოტაა სადისერტაციო ნაშრომი მასზეა, რადგან სიმართლეს წერდა, თავისუფლებისმოყვარე ჩეჩნების ხოტბა თუ შამილის სახე ბევრსაც უფორიაქებდა სულს; კავკასიის უძლეველობა, საქართველოს კალთას შემოფარებულთა უმადურობა, რუსული მმართველობის სისაძაგლეზეც- „ელგუჯში" დოკუმენტური ეპიზოდები, მთელი სიცხადით აღბეჭდა...გზა უჭრიდნენ და მაინც გაიკვლია კლასიკოსმა მარადისობისკენ.

დრო ურგები ასეთი იყო. გალაკტიონს უშიშროებამ, დისერტაცია მოპარა - ქართულ ორნამენტზე, ჩუქურთმაზე...დღიურები კი ბევრ ტკივილს გვამცნობს, ყველაზე მეტად დუმილი კლავდა გამომცემლობებიდან. ..

მიხეილ ჯავახიშვილს ერთი იგავი მოწონებით ჩაუწერია უბის წიგნაკში - ღორს ლომი გამოუწვევია ორთაბრძოლაში. დროც შეირჩა, მაგრამ შიშმა ძლია და გამოსავალიც მოინახა - ტალახში გაგორებული ეახლა დათქმულ დროს, უძლეველმა ლომმა შეათვალიერა და გაბრუნდა... . ღორი კი დიდხანს ტრაბახობდა - ლომი შევაშინეო... გენიოსები მოსწრებას ცდილობდნენ ამ უთავბოლობაში, არ იცოდნენ ბედისწერა როდის გაიყოლებდა მათ. მათი დრო და ნააზრევი ექოდ ხმიანობს კვლავ.

„მადლი მაქვს, მადლი" - საქვეყნოდ აცხადებდა ვაჟა და ეს ყველა მათგანს ეხება... ხევისბერისა არ იყოს, „მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ, „ ღირსების მისხალიც არ დაუთმიათ. რეჟიმთან ერთად კი არც ქიშპობა მოკლებიათ...მათ სულში სხვა სიმწიფის ჟამი იყო და დრო უმწიფარი ვერც ვერას აკლებდათ.

იდიდონ მამულიშვილებმა!

ლალი ბარქიმაშვილი
2018 - 11 მარტი.

ედუარდ ამბროსოვიჩის დიდი ტყუილი 1978 წლის 14 აპრილთან დაკავშირებით!

2016 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, ჯერ კიდევ ე. შევარდნაძის სიცოცხლეში, პოლიტოლოგმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა დაწერა პირუთვნელი სიმართლე, იმის შესახებ, თუ ვისი მლიქვნელური მცდელობით მოხვდა 1978 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად რუსული, რამაც იმდროინდელი ქართველი ერის მოწინავე ინტელიგენციისა და სტუდენტების ჯანსაღი პროტესტი და მრავალათასიანი მანიფესტაცია გამოიწვია. ხოლო, როდესაც სრულიად ქართველი ერის უკომპრომისო პროტესტმა შედეგი გამოიღო და საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში კვლავ აღდგა ქართული ენის სტატუსი, შევარდნაძე ამ გამარჯვებას, სიკვდილამდე, თავის დამსახურებად მიიწერდა. ჭიპაშვილმა კი ნათელი გახადა შევარდნაძის „კულუარული" ფაქტი:

„შევარდნაძე ტრაბახობდა, 1978 წლის 14 აპრილს მე შევუნარჩუნე საქართველოს ქართული ენაო! რასაც ახლა გეტყვით, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია: იმ დროს მე ვმუშაობდი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილედ...

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის ტექსტი მომზადდა საქართველოში და სწორედ შევარდნაძის თავმჯდომარეობით მომუშავე კომისიამ ჩაწერა პროექტში: საქართველოს სახელმწიფო ენა არის რუ-სუ-ლი!!!

ჩემმა თანამშრომელმა, იურიდიული განყოფილების გამგემ, ირაკლი ჩიქოვანმა ეს ტექსტი წაიღო მოსკოვში, საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შესათანხმებლად. რუსებს ძალიან გაუკვირდათ, რატომ უნდა შეიცვალოს სახელმწიფო ენა ქართული - რუსულითო? ჩვენმა წარგზავნილებმაც უპასუხეს, ქართული რომ სახელმწიფო ენაა, ეს ხომ ისედაც ცნობილია და რად უნდა მტკიცებაო!

აი, ასე მოხვდა 1978 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად რუსული. შემდეგ ეს ამბავი გახმაურდა და შევარდნაძემ ისევ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა სიტუაცია!"

ღირსშესანიშნავი თარიღები

31 მარტი, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დღემდე გამოუძიებელია.



საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა,
აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ **არა**

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი პასუხი)

რატომ დამარცხდა დემეტრე ბატონიშვილი?

გიორგი მესამეს მეფედ კურთხევის რიტუალი ჩატარებული იყო, ამდენად დემნას მართებდა ლოცვა და მოთმინება.

როგორც უფალმა არ მისცა ვაჟი მემკვიდრე გიორგის, ასევე უზრუნველყოფდა დემნას ტახტზე ასვლას. სამწუხაროა, რომ აჩქარება უფლისწულს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

„ბედნიერი ლომი“ - ყუთლუ-არსლანი

გიორგი მესამეს გარდაცვალების შემდეგ თამარი ხელმეორედ აკურთხეს მეფედ. მეფედ კურთხევიდან არც თუ დიდი ხანი იყო გასული, როდესაც მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი სრულიად უჩვეულო მოთხოვნით გამოვიდა თავის მრავალრიცხოვან და გავლენიან თანამზრახველებთან ერთად და ისნის სასახლესთან ახლოს, საგოდებლის მიდამოებში კარავის დადგმა მოითხოვა. კარავის (ანუ დარბაზის -ნ. ტ.)წევრებს უნდა განეგოთ საკანონმდებლო საქმეები და მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა. ეს მოვლენა სწორად შეაფასა თამარმა და ბრძანა: ეს ხომ მეფობისა ჩემისა დასასრული არსო. ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს და ციხეში გამოკეტეს. თუმცა, როდესაც მისმა აღელვებულმა თანამზრახველებმა მეფის სასახლის აღება დააპირეს, თამარი იძულებული შეიქმნა, მათთვის ორი საპატიო მანდილოსანი კრავი ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი გაეგზავნა. როგორც ჩანს, მოსარიგებლად, რადგან ამ მოვლენის შემდეგ, თამარი უძლური იყო რაიმე გადაწყვეტილების აღსრულებისა, უწინდელი მეფეებისაგან განსხვავებით, თუ არ იქნებოდა „ერთნებაობა დარბაზისა“. როგორც შენიშნავს დიდი მკვლევარი ივანე ჯავახიშვილი, თამარ მეფის დროს დამყარებულა ე. წ. „შეზღუდული მონარქია“. საინტერესოა, რომ დარბაზის წევრებს ეწოდებოდათ თურმე „მეფობისა თანაზიარნი“. ანუ, იდეაში, სამწუხაროდ, მეფის ხელისუფლება გაიყო, რაც მატერიალიზდა უკვე შემდგომ, თამარის შთამომავლობის დროს.

აქ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: ყუთლუ-არსლანის დასი მრავალრიცხოვანიც იყო და გავლენიანიც. ამასთან მათ ჰქონდათ მკვეთრად ჩამოყალიბე ბული პოლიტიკური მოთხოვნები, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ეს მოთხოვნები სათავეს იღებდა უკვე გიორგი მესამეს პერიოდიდან.

ბუნებრივია, დასის წევრებს შემუშავებული ექნებოდათ ამ მოთხოვნების განხორციელების პოლიტიკური გეგმა. მათთვის უფრო უპრიანი იქნებოდა სუსტი მონარქი და ალბათ ხელს აძლევდათ კიდეც სამეფო ტახტზე ქალის გამეფება. საბოლოო მიზანი კი, როგორც ჩანს, იყო მონარქიული მმართველობის ნაცვლად რესპუბლიკურის მსგავსი მმართველობის შემოღება. უბრალოდ, თამარი არ აღმოჩნდა ისეთი ადვილად სამართავი პიროვნება, როგორც შეთქმულები ვარაუდობდნენ. სავარაუდოდ, გიორგი მესამეს დროს უკვე მომწიფებული იყო გარკვეულ გავლენიან წრეებში აზრი ქალის გამეფებისა. გიორგი მესამემ, ბუნებრივია, არ უწყოდა, რა იყო ამ წრეების საბოლოო მიზანი. აღსანიშნავია, რომ ყუთლუ-არსლანს გიორგი მესამესა და დემნა ბატონიშვილის დაპირისპირების დროს თავიდანვე გიორგი მესამეს ბანაკში ვხედავთ. ამასთან, თამარის ისტორიკოსის თქმით, ის თურმე ამირსპასალარის(ანუ, დემნას აჯანყების მეთაურის, ივანე ორბელის) ადგილს უმიზნებდა, რათა თავისი პოლიტიკური მონაპოვარი შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა. ეს კი წმიდა თამარის გონიერებით, ჩაიშალა.

და ბოლოს, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „ყუთლუ-არსლანი“ თურქულად თურმე ბედნიერ ლომს ნიშნავს. არ არის გამორიცხული ეს სახელი მისთვის, დაცინვით, მეფის ხელისუფლების მომხრეებს შეერქმიათ, როგორც მეფის ხელისუფლების დაკნინების მსურველისათვის. ლომი ხომ მეფობის სიმბოლოა. ნამდვილი ვინაობა კი მემატიანეებმა განზრახ დამალეს. ის ღირსად არ ცნეს ნამდვილი გვარ-სახელითი შესულიყო ისტორიაში. მით უფრო, თუ ის კეთილშობილურ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

თამარის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის დამოკიდებულება უფლისწულ დემეტრეს მიმართ.

საქართველოს ისტორიაში ტკივილიანი ფაქტია დემნა ბატონიშვილის აჯანყება, რომელმაც ფაქტობრივად ქვეყნის მომავალი ბედი განსაზღვრა. ამ ფაქტზე გვესაუბრება თამარის უცნობი მეისტორიე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი.

თხზულების ავტორი, ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ სამეუფო გზით მავალია და არც მარჯვნივ სურს გადახვევა და არც მარცხნივ. თუმცა, ვფიქრობ, რომ, სამწუხაროდ, მისი რელიგიური შედარებები არაადექვატურ და მიკერძოებულ ხასიათს ატარებს.

მაგალითად: ავტორის აზრით, მეფე დემეტრემ, რომელიც იყო გამკიცხავი უფროსი ძის, დავითისა, გამოარჩია უმცროსი და საყვარელი ძე, გიორგი, როგორც ისაკმა იაკობიო. სრულიად არაადექვატური შედარებაა, რადგან ისაკს უყვარდა უფრო მეტად პირმშო შვილი, ესავი. იაკობმა ჯერ თავად იყიდა ესავისაგან პირმშოობა ოსპის შეჭამანდის სანაცვლოდ, ხოლო შემდეგ, დედის რჩევა-დარიგებით მოატყუა თვალშინათელდაკარგული მამა, რომელსაც ის ესავი ეგონა და ესავისათვის განკუთვნილი კურთხევა გამოსტყუა.

ცოტა ქვემოთ, აზმანის ავტორი, დემნა ბატონიშვილის აჯანყებას გიორგი მესამეს მიმართ, აიგივებს აბესალომის აჯანყებასთან დავით წინასწარმეტყველის წინააღმდეგ და გიორგი მესამეს დავით წინასწარმეტყველს ადარებს, დემნა ბატონიშვილს კი აბესალომს. ესეც უნდა ითქვას, რომ უადგილო შედარებაა. გიორგი მესამეს ტახტი მიტაცებული ჰქონდა და მას არ ჰყავდა მემკვიდრე ვაჟი, ანუ, დემნა ბატონიშვილი, ყოველმხრივ ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო. აბესალომი კი იყო დავითის ერთერთი ვაჟთაგანი და არა ტახტის მემკვიდრე. დავით წინასწარმეტყველი იყო კანონიერი, ღვთისგან გამორჩეული და ღვთივკურთხეული მეფე. ასე, რომ აბესალომის პრეტენზიები მამის მიმართ იყო სრულიად უსაფუძვლო. მიუხედავად ამისა, მამას მაინც არ ემეტებოდა სასივდილოდ შვილი და აბესალომის წინააღმდეგ ომში მიმავალ სარდლებს დაუბარა: დამიზოგეთ ყმაწვილი აბესალომიო. როდესაც დავითმა აბესალომის სიკვდილი გაიგო, მწარედ მოსთქვამდა: ნეტავი შენს მაგივრად მე მოვმკვდარიყავი, შვილო, აბესალომო. დემნა ბატონიშვილი კი, მივიდა ბიძასთან, მაშინ, როდესაც ომის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არ იყო და პატიება ითხოვა. ვფიქრობ, იმიტომ, რომ აღარ სურდა დემეტრეს უცხო მაშველი ჯარით ქართულ ჯართან დაპირისპირება. სამწუხაროდ, ბიძამ სასტიკად განირა საკუთარი ძმისშვილი.

ტენდენციურობას ავტორი სხვაგანაც ავლენს, როდესაც დედოფალ ბორდოხანს, გიორგი მესამეს თანამეცხედრეს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ადარებს და ამბობს, ყოველმხრივ მისი დარი იყოო, გარდა ქმრის ყოლისაო. სხვაგან კი გიორგი მესამე წმიდა დიდმონამე გიორგიზე დიდი ვაჟკაცი გამოჰყავს: იმან თუ ერთი ვეშაპი მოკლა, ამან მრავალნიო.

ყოველივე ზემოთთქმული აშკარად გვაფიქრებინებს, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ან მეფის ნავში ზის დასობრივი გულისთქმით მოქმედებს, ან მისი ნააზრევი იდეოლოგიური წნეხის შედეგია.

ნინო ტარყაშვილი

ორთა ჩუსთავველის ორი საქართველო

ნინო ტარყაშვილი

ყოველი დიდებული ნაწარმოები თავისი ეპოქის ბეჭდითაა დაბეჭდილი და ბუნებრივია, გამონაკლისი არც „ვეფხისტყაოსანია“. გასაოცარი ისაა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ერთის მაგივრად ორი საქართველოა წარმოდგენილი არაბეთისა და ინდოეთის სახით. არაბეთისა და ინდოეთის მეფეებს, ორთავეს, ძეების ნაცვლად მხოლოდშობილი ასულები ჰყავთ. რუსთველოლოგები იმაშიც თანხმდებიან, რომ, როგორც არაბი თინათინის, ისე, ინდოელი ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახის ქვეშ მეფე თამარი მოიაზრება. პოემაში თამარ მეფე-დედოფლის შეფარვით ქებას გენიალური რუსთველი პოემის პროლოგშივე გვიდასტურებს: მისი(თამარის-ნ. ტ.)სახელი შეფარვით, ქვემორე მითქვამს, მიქია. “

ისმება კითხვა; რა მიზანს ემსახურებოდა ორი საქართველოსა და მეფე ქალის ორი მხატვრული სახის შექმნა ერთსა და იმავე პოემაში? ვიდრე ამ კითხვისათვის პასუხის გაცემას შევეცდებოდე, გავიხსენოთ მცირე რამ წარსულიდან: თამარი იყო პირველი მეფე ქალი საქართველოს ისტორიაში და მანამდე, არც წარმართული და არც ქრისტიანული მმართველობის დროს მეფედ ქალი არ უკურთხებიათ. ამდენად, თამარის გამეფების მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, ბუნებრივია, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში მრავლად იქნებოდნენ და ეს პროცესი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ კარგად იკითხება. არსებულ ეპოქასა და რეალობაში ქალის გამეფება, მართლაც ქმნიდა გარკვეულ უხერხულობებს. მაგალითად, მეფე, როგორც წესი ბრძოლის დროს ხმლით წინ მიუძღვოდა ლაშქარს და მეფედ კურთხევის დროს, ამიტომ, სიმბოლურად, მას წელზე ხმალს შემოარტყამდნენ ხოლმე. ქალი მეფე ბუნებრივია, ბრძოლაში ლაშქარს ხმლით წინ ვერ წარუძღვებოდა. მეფეს იმდროინდელი კანონებით, ქვეშევრდომთან დაქორწინების უფლება არ ჰქონდა. თანამეცხედრე სხვა სამეფოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რაც სამეფო ოჯახს დინასტიური მმართველობის შეცვლის საშიშროების წინაშე აყენებდა, რადგან სამეფო ლეგიტიმაცია, როგორც ბიბლიურად, ისე ქართული სამართლით მიხედვით, მამის ხაზით გადადიოდა. ამას გარდა, მეფე პირველი კაცი იყო სახელმწიფოში და ბუნებრივია, ოჯახშიც. ქალი მეფის შემთხვევაში კი პირველი ადამიანი სახელმწიფოში, ოჯახში პირველი ვერ იქნებოდა. რადგან, ქრისტიანული შეხედულებით, ოჯახის თავი, ანუ უფროსი, ნებისმიერ შემთხვევაში, მამაკაცია. ეს კი, გარკვეულწილად ძირს უთხრიდა იმ ზოგადმართლმადიდებლურ იდეოლოგიას, რაზედაც იდგა მონარქიული სახელმწიფო. ანუ, ქალი მეფე, ნაწილობრივ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უკვე წარმოადგენდა დემოკრატიის მონაპოვარს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ მამის, გიორგი მესამეს სიცოცხლეში, აღსაყდრებული თამარის მეფობის საკითხი, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, კვლავ საცილოდ გაუხდიათ გიორგი მესამეს სიკვდილის შემდგომ, როდესაც სასულიერო იერარქთა და ერის დიდებულთა შეთანხმებით იგი უკვე მეორედ აკურთხეს მეფედ.

რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ თამარს-თინათინს ამეფებს, ხოლო თამარს-ნესტან-დარეჯანს კი ადედოფლებს. ინდოეთში მეფდება მისივე გვარის ქვეშევრდომი ტარიელი, რომელსაც მეფე ფარსადანი შვილად ზრდიდა. არაბეთში ქვეშევრდომები მეფეს ემლიქვნელებიან: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო.“ ლომი, როგორც ცნობილია ცხოველების მეფედ იწოდება და ზოგადად, მეფობის სიმბოლოა. ლომი არის გამოსახული ბაგრატიონთა სამეფო გერბზეც. თუმცა, რუსთველი წინასწარ ორაზროვნად გვაპარებს თინათინზე: „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდაო.“ თუ გავიხსენებთ, რომ თამარის მმართველობის ჟამს ჩამოყალიბდა ე. წ. შეზღუდული მონარქია, მეფე ვერ აღასრულებდა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, თუ დარბაზი არ შეიწყნარებდა მას. უფრო მეტიც: გაჩნდა ტერმინი: „მეფობისა თანაზიარნი“. რომლითაც უკვე დიდებულებიც მოიხსენიებოდნენ. ასე, რომ რუსთაველის შეფარულ-ირონიული „არ ეღირსებოდა“, გარკვეულ დატვირთვას იძენს. საყურადღებოა, თინათინის სახელიც: რომელიც ათინათს, ანარეკლს ნიშნავს. თინათინი, ვფიქრობ, ანარეკლია ნესტან-დარეჯანისა, რომლისკენაც ავტორის უფრო მეტი სითბო და სიყვარული მიემართება. რადგან მას ქალის გადედოფლება, ვფიქრობ, უფრო სწორად მიაჩნია, ვიდრე გამეფება. ამიტომაც არიან პოემის მთავარი გმირები ნესტან-დარეჯანი და ტარიელი და არა თინათინი და ავთანდილი. საინტერესოა, ისიც რომ რუსთაველი ნესტან-დარეჯანს ვეფხვს ადარებს და არა ლომს, რადგან ლომი კაცია, ტარიელია.

პოემასაც ჰქვია „ვეფხისტყაოსანი“. ვეფხისტყაოსანი რაინდი კი არის პოემის მთავარი პერსონაჟი, ტარიელი. საინტერესოა, კონკრეტულად რომელიმე ისტორიული პიროვნება მოიაზრებოდა ტარიელის მხატვრული სახის ქვეშ თუ შოთას ის მხოლოდ თავისი პოზიციის გამოსახატავად სჭირდებოდა? ამას შემდგომი კვლევა-ძიება გამოავლენს. საყურადღებო ფაქტია მხოლოდ, რომ რუსთველი ეპილოგში ასკვნის: „ტარიელ მისსა რუსთველსა“ მიქიაო. მისთვის ცრემლშეუშრობელსაო. კი მაგრამ, თუ ტარიელი ირთავს ნესტანს და ასე კარგად და მშვენივრად სრულდება ყველაფერი, რასაც პოემის ფინალი გვამცნობს, მაშ რუსთველს რაღადსდის ცრემლი შეუშრობელი? (გასრულდა ესე ამბავი ვითა სიზმარი ღამისა). ვფიქრობ, იმიტომ, რომ ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ისტორია მხოლოდ სასურველი ისტორიაა, ანუ ის, რაც უნდა იყოს. ინდოეთის სამეფო, სურვილის, ნდომის სამეფოა და არა რეალობის. სიტყვა („ინდოეთის“ განმარტებას სხვათაშორის გვაძლევს ერთი მშვენიერი ხალხური ლექსი: „ინდი - მინდი, ფერად შინდი, / განმინათლე თვალთა ბინდი, /ფრთა გაშალე, გადმოფრინდი, /შენთვის სიკვდილს არ შევშინდი, / უკვდავების წყაროდ მინდი.“) ინდი - ინდო, როგორც დავინახეთ აქ გამოხატავს ნდომას. მაგრამ რეალობა არის ის, რაც გვაქვს მოცემული არაბეთის სამეფოს სახით. არაბეთში მეფობს თინათინი და არა ავთანდილი.

როგორც პროლოგიდან ჩანს, რომელიც, სავარაუდოდ, პოემის დასრულების შემდგომ არის დაწერილი, ოპონენტებმა რუსთველს დაუწუნეს თამარის ქება. რაზედაც რუსთველი პროლოგში პასუხობს; თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლითა ცრემლდათხეული, ვისნი ქებანი ვთქვანი მე არ ავად გამორჩეულიო. ანუ, რაც ვთქვი, ცუდად არ მითქვამსო. არც იმას უარყოფს, რომ პოემაში მეფე ქალი იქება.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა: ის, რაც არაბეთის სამეფოში ხდება, არის ის, რაც მოხდა ქართულ სინამდვილეში. ხოლო რაც ხდება ინდოეთის სამეფოში, არის ის, რაც უნდა იყოს. ამიტომაც სდის შეუშრობელი ცრემლი ავტორს ტარიელისთვის. ამიტომაც არქმევს ის პოემას „ვეფხისტყაოსანს“.

ჯანსუღ ჩარკვიანის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის გამო, ვინაიდან გააქტიურდა მისი პიროვნება, გავიხსენეთ 1993 წლის გაზეთ „აღდგომაში“ დამოჭდილი ეს სტატია, რაც საოცარი წასაკითხი იქნება თანამედროვე მკითხველისთვისაც (რედ.).

ბრავო, ბრავო, „პოეტო“ ანუ ჯანსუღ ჩარკვიანის მოლანდებანი

გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ (5 მაისი, 1993 წლისა), დაიბეჭდა ჩემი წერილი „ერთობლივ საქართველოსთვის“, რომელშიც ეთიკის დაცვით და ფაქტების განზოგადების საფუძველზე შევეცადე გამომეთქვა ჩემი მოსაზრება მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხზე ბ-ნ ჯანსუღ ჩარკვიანის უმართებულო პოზიციასთან დაკავშირებით, რასაც იგი გაუწიწმატებია, აღუშფოთებია, გაუხელებია... უფრო მეტიც, მისი პასუხი ჩემდამი– - „ლოცვანი“ გამსახურდიას მონისა და მორჩილისა და აფხაზეთის დეპუტატისა როსტომ შამუგიასი“ (გაზ. „შანსი“, 14-21 მაისი, 1993 წლისა), თავიდან ბოლომდე დუუითაა სავსე. ბოლმამოწოლილ და დორბლმორეულ ჩარკვიანს დაუკარგავს ყოველგვარი ზომიერების გრძნობა, რაც გამხდარა მიზეზი სათაურშივე დაშვებული შეცდომისა. კერძოდ, ნაცვლად „აფხაზეთის დეპუტატისა“, უნდა იყოს „აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატისა“. ამგვარად, ჯ.ჩარკვიანი, წერილის სათაურშივე საჩინოს ხდის საკუთარ უმეცრებას. სხვათა შორის, „შანსის“ ამავე გვერდზეა ჩარკვიანის უზარმაზარი პორტრეტი ტელეფონის ყურმილით ხელში („მთავრობის კაცის“ პოზა! - რ.შ.) და ვრცელი, პომპეზური ინტერვიუ...

საყოველთაოდ ცნობილია ჯ.ჩარკვიანის ცინიკური, აგდებული დამოკიდებულება ნებისმიერი ოპონენტისადმი, რაც მის პასუხში ჩემდამი გაათკეცებულად არის წარმოდგენილი. თანაც, მიმართვის თავაზიანი ფორმები სამასხროდ, საქილიკოდ და სასაცილოდ მიუჩნევია. სამაგიეროდ, პრიორიტეტი მიუნიჭებია სკაბრეზული გამოთქმებისათვის („ბონა“, „მონიკო“, „ყურუმსაღი“, „შე უღმერთო“, და ა.შ.). ამწუთიდან, მეც იძულებული ვხდები, მიმართვის თავზიანი ფორმა შევცვალო ფამილარულით, რადგანაც, როგორც შემდგომ ვნახავთ, ეს უკანასკნელი, სკაბრეზულ-ბრავადული სტილი უფრო ესადაგება პოეტ ჩარკვიანის ხასიათს, მისი ცხოვრების წესსა და სტილს... ამასთან, მკითხველს წინასწარ მოვუხდი ბოდიშს, ვინაიდან, ჯ.ჩარკვიანის ანალოგიით, შესაძლოა, ზოგჯერ მეც მივმართო მკაცრ ეპითეტებს...

ეჰ, ჯანსუღ, ჯანსუღ! სიმართლე გითხრათ, თავის დროზე, მეხამუშა კიდეც მწერალ ვლადიმერ ალფენიძის მიერ ერთობ საჩოთიროდ გადაკეთებული თქვენი სახელი, ჯვამსუღ, მაგრამ მოვლენათა მსვლელობა მარწმუნებს, რომ ბ-ნი ვლადიმერი თქვენთან მიმართებაში სწორია... თუ გახსოვთ, წინა წერილში მიგითითეთ ყბადაღებული ე.წ. ბუნკერის შესახებ. ვინაიდან, „შანსის“ ფურცლებზე თქვენ კვლავ ჯიუტად გაჰყვირით „ბუნკერსა“ და ბ-ნი ზვიადის „ფაშისტობა-ფიურერობაზე“ და „უცილობლობთ ვითა ჯორი“, ამიტომ, ამწუთიდან, ბ-ნი ალფენიძის ანალოგიით, ჯანსუღის ნაცვლად, უნდა გიწოდოთ თქვენთვის ზედგამოჭრილი და ზუსტად შესაფერისი სახელი, ჯორ-სუღ...

„იმპერია-სპექტრის სამრეკლოში“ წავიკითხე“, ... წერთ თქვენ და ასეთი ცინიზმით, ქილიკ-ზიზღობით, ანგლობით, მატრაბაზობით ცდილობთ მკითხველის თვალის ახვევას, არსებითზე სდუმხართ და სავსებით უმართებულოდ „მსჯელობთ“ დიდი ილიას სულიერი მემკვიდრის „ფიურერობაზე“, ჩემი „მონამორჩილობის“ თაობაზე, არარსებულ, მაგრამ საეჭვოდ აკვიატებულ ე.წ. ბუნკერზე, ბ-ნი ზვიადის მიერ „ბუშის გადაყენებასა და კიბოს წამლის გამოგონებაზე“ და ა.შ.

მკითხველი უეჭველად დამემოწმება, რომ ასეთი „აზრების“ მქონე ანგარებით, ქვენაგრძნობით მოქმედი პიროვნებაა. დიახ, შურისა და ბალღამისგან დაბრმავებული ჩარკვიანი არად აგდებს არც ლოგიკის კანონებს, არც ზნეობრივ პრინციპებს. მისი ერთადერთი კრედო ის გახლავთ, რომ რაც შეიძლება მეტი გესლი გადაანთხიოს ოპონენტს, ხოლო რამდენად ობიექტური იქნება იგი თავისი ქმედებით, ეს უკანასკნელი ჯანსუღის ინტერესების სფეროში არ შედის.

ეჰ, ჯორ-სუღ, ჯორ-სუღ! უწინარესად მსურს მოგაგონოთ, რომ გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ დააარსა ქართული პროზის ტიტანმა კონსტანტინე გამსახურდიამ 1923 წლის 1 იანვარს...სწორედ თქვენგვარ „მოღვაწეთა“ ძალისხმევით მოხდა აღნიშნული გაზეთის ლიკვიდაცია იმავე წელს. ღვთის შეწევნით და რჩეულ ერისკაცთა მეოხებით, „საქართველოს სამრეკლო“ აღდგენილ იქნა 1992 წელს. თქვენ კი დამდგარხართ და საჯაროდ ქირქილებთ: –„იმპერია-სპექტრის სამრეკლოო“... დიახ, შეჩვეულია თქვენი ქედი იმპერიის ლაქიობას და ამიტომაც გსიამოვნებთ იბერიის წარმოსახვა იმპერიად... ამასთან, ერთი გასროლით, ლამობთ ორი კურდღლის მოკვლას: შოლტი მოუქნიეთ „იბერია-სპექტრსაც“ და „საქართველოს სამრეკლოსაც“, ოღონდაც, შოლტის სიმოკლის გამო, ამაო გამოდგა თქვენი უკეთური ზრახვით მოქნეული. თანაც, „იბერია-სპექტრი“ და „საქართველოს სამრეკლო“ მოგლანდებიათ „იმპერია სპექტრის სამრეკლოდ“. თუმცაღა, ეს სავალალო მოლანდებაც, ეტყობა, ნიშანდობლივია: „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო“. ისე, ამიერიდან მაინც იცოდეთ: „იბერია-სპექტრი“, „საქართველოს სამრეკლო“, „აღდგომა“, ,,კოლხური კოშკი“ და სხვა თითო-ოროლა გაზეთი აწინდელ საქართველოში აკეთებენ ნამდვილად საგმირო და მამულიშვილურ საქმეს, რაც მემატიანის მიერ ერის ისტორიაში უთუოდ ჩაიწერება ოქროს ასოებით. ხოლო რაც შეეხება თქვენ მიერ ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული გაზეთების ქირქილით და ქილიკ-ზიზღობით მოხსენიებას, გირჩევთ თავი გაანებოთ ამ უმსგავსობას, რადგან ეს უფრო დიდი სიბინძურეა, ვიდრე ყველა ერთად აღებული თქვენი „საგმირო“ საქმენი...

„ფურთხულ-აფხაზური „ლოცვანიო“, – წერთ თქვენ ჩემი წერილის შესახებ. მაინც როგორ მოგივიდათ მაგ ჭკუით სავსე თავში მსგავსი აზრი? სად თქვენი „ფურთხული“ და სად - „აფხაზური“ „ლოცვანი?“ კვლავ ჰალუცინაციის ბრალია ალბათ: „ფურთხულად“ და აფხაზურად მოგლანდებიათ „ყმაწვილო“, ჩემი ჩვეულებრივი ქართული. ქვეტექსტით, უთუოდ, მეც გააფხაზებულ-გადაჯიშებულად მიგულისხმეთ. ნურას უკაცრავად, „ჭაბუკო“, მე, სამურზაყანოს მკვიდრი ვარ, ძირძველი და ამაყი კოლხის, – ჭეშმარიტი და ქედუხრელი ქართველის ნაშიერი... ისე, საცა კაცობა და რაინდობაა, ტერმინი „აფხაზური“ არ უნდა დაგეწერათ „ფურთხულთან“ მიმართებაში, რამეთუ მწამს, ჭეშმარიტი აფხაზი არ იკადრებს „ფურთხულ“ - ქართულის ერთ ყალიბში მოქცევას... თუმცაღა, „ფურთხული,“ ფურთხი, შარდი, ჩონჩორიკი და მსგავსი „მარგალიტები“ ხომ თქვენი პოეტური ლექსიკის განუყრელ კომპონენტებს წარმოადგენენ, რაშიც იოლად დავრწმუნდებით, თუ ჩავიხედავთ 1984 წელს „მერანის“ მიერ გამოცემულ თქვენს წიგნში - „მე და მე“. თქვენ წერთ:

,,აი, კახპების თვალისიერი
ქვევით თხები და ზევით ვირთხები,
გთხოვთ, გადმომხედოთ, ფარისეველნო,
მე ვიფურთხები, მე ვი-ფურ-თხები“... გვ. 55

ექსტაზში შესული ჯორ-სუღ ჩარკვიანი უფრო შორს მიდის და მკითხველს სთავაზობს მკრეხელურ სტრიქონებს: -

,,შეიძლება ქვეყნის გლახას,
მზე დაჰკიდო შანაზე,
შეაფურთხო მზეთუნახავს,
ვარდი მისცე ამაზრზენს“. (იგივე წიგნი; გვ. 147)

ეჰ, ჩემო ჯორ-სუღ, საერთოდ, დიდი უზნეობაა, როცა კაცი კაცს შეაფურთხებს, ხოლო თქვენ ამტკიცებთ და დასაშვებადაც თვლით, არამხოლოდ კაცს, არამედ შესაძლოა მანდილოსანსაც შეაფურთხოთ... ბრავო ,,პოეტო“, ბრავო, ჯორ-სუღ! იქნებ, დაგვდოთ პატივი და დაასახელოთ ის მანდილოსანნი, რომელთათვისაც ,,ვაჟკაცურად“ შეგიფურთხებიათ სახეში...როგორც ამგვარ ვითარებაში იტყვიან, უზნეობის, უტიფრობისა და დაბალი გემოვნების ტრიუმფია...შესაძლოა, შემომდავოთ და დაასახელოთ დიდი აკაკი /,,ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო„/ და მუხრან მაჭავარიანი /,,შეძახილით აკაკისით: -,,ფურთხისი„/... ოღონდაც, არც აკაკი და არც მუხრანი, თქვენგან განსხვავებით, თავად კი არ იფურთხებიან და არც წარამარა, არამედ ისინი აკეთებენ შესაბამის ლოგიკურ და არსობრივად უაღრესად სწორ დასკვნას, რაც განაპირობა უზარმაზარმა ეროვნულმა ტრაგედიამ, გაუსაძლისმა ეპოქალურმა ტკივილმა...თუმცაღა, მე, პირადად, მსგავსი მამულიშვილური განცდა თუ ტკივილი ჯერხანობით ვერ შევნიშნე თქვენს ე.წ. ლექსებში, პირუკუ, შემაწუხებლად დიდი ოდენობით გვხვდება ტერმინები:-ფურთხი, ფურთხული, გაპურჭყება, შარდი, განავალი და სხვა მსგავსი ,,მარგალიტები“...

საოცარია და დაუჯერებელიც კი, მაგრამ ფაქტები, როგორც იტყვიან, მეტად თვალში საცემია, ანუ ჯორ-სუღ ჩარკვიანი კვლავ უბოდიშოდ და უცერემონიოდ იფურთხება:-

,,შუა სტრიქონში მომინდა
შორს გაპურჭყება და გაჭყირტვა,
არწივს მართვე არ გამოადგა,
ადგა და შიგ ბუდეში გაჭყლიტა“. (იგივე წიგნი, გვ. 153)

ასევე ფრიად ,,საინტერესოდ“ ჩავთვალე დასახელებული წიგნის 206-ე გვერდზე დაბეჭდილი ლექსის შემდეგი სტროფი: -

,,მღერის ტალღა, მეცხრე ტალღა,
მღერის ცხრავე გუნდიანა...
ბერიკაცმა გააპურჭყა,
დედა ამოუტრიალა“ (გვ.206)

მოკლედ, მაგრად გაუტიეთ ჩემო ჯორ-სუღ...მეგონა ზემოდასახელებულ კრებულში მორჩებოდით ფურთხული ,,ჟანრის“ ლექსთა წერას, მაგრამ გატყობთ, გაგიტაცათ ამ ,,ჟანრმა“ და თქვენ მსგავსი ლექსიკით გაჯერებულ ლექსებს ბეჭდავთ თქვენი ორტომეულის I ტომშიც /გამომცემლობა ,,საქართველო“ 1991წ. ქ. თბილისი) კერძოდ, 194 გვერდზე ვკითხულობთ:-

...,,ხოლო ვიღაცა იფურთხება
ღრუბლის პირიდან“...

ბოლობოლო, ჩემო ,,ძვირფასო“ ჯორ-სუღ, ამდენს რომ იფურთხებიპურჭყებით, მართლა მაინტერესებს, თქვენ კაცი ხართ, თუ აქლემი?...თუმცაღა, ჯერ სადა ვართ?... მე კვლავ ვფურცლავ და ვკითხულობ ჯორ-სუღ ჩარკვიანის ზემოაღნიშნულ წიგნს /,,მე და მე“, ,,მერანი“, 1984წ/... როგორც ჩანს, აზარტში შესულა ,,პოეტი“ ჯორ-სუღი და ფურთხის ,,მსუბუქი ჟანრიდან“ გადასულა უფრო ,,მძიმე“ და ,,პრესტიჟულ“ ლომის შარდსა და ჩონჩორიკზე, თუმცაღა, სჯობს ,,დავტკბეთ“ უშუალოდ ლექსის შემდგომი სტროფით: -

,,გუმბათიდან ლომის შარდი
თავზე გადმოგვასხა რა,
კვლავაც ჩვენსკენ მოიჩქარის
ყვავილებით მასხარა“.../გვ.155/

როგორც ბოროტი ენები გვაუწყებენ, თურმე, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რაიკომთა მდივნების ნასუფრალებზე დაუფლებია ჯორ-სუღ ჩარკვიანი ლაქიისა და თამადის ხელობას... ამიტომაც, ნიშანდობლივია, რომ გამოჯეკილი ჯორ-სუღ თამადა ყელგამოწევით ეხვეწება და ალავერდს მოითხოვს ცირკის მასხარისაგან:-

,,ამქვეყნიურ მიწის მადლი
ყელზე მადგას სამსალად,
გადმოგვასხი ლომის შარდი,
საყვარელო მასხარა...„/გვ. 156; დასახელებული წიგნი/

ანაზდად მომაგონდა ბუმბერაზი ფშაველი მგოსანი, გულამოსკვნით რომ ევედრებოდა არსთა გამრიგეს:-,,ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვბუბუნებ...“ ცხადია,მაღალზნეობრივი იდეალებით და მთის იშვიათი ჰაეროვნებით იყო ვაჟას პოეზია გაჯერებული. ბუნებრივია, გენიოსი ვაჟა გულატრებული იყო მამულის მძიმე ხვედრით და ამადაც იყო იგი მიყურადებული მის ყოველწამიერ გულისცემას და ალბათ, ამიტომაც არის ვაჟას მოხმობილი სტრიქონები ზეშთაგონებით გასხივნართებული...

თქვენ კი, ჩემო ჯორ-სუღ, ცირკის მასხარას ემუდარებით-ლომის შარდი გადმომასხიო...აფსუს, მაინც რა ,,პაწაწინა“ განსხვავებაა თქვენსა და მართლაც გენიოს ვაჟას შორის...

მეგონა, რომ ლომის შარდით ფრიად ნასიამოვნები ჯორ-სუღ ჩარკვიანი შეცვლიდა თავის ე.წ. პოეტურ ლექსიკას და შეგვიქმნიდა ევფემისტურ განწყობას...პირიქით, ჟინიანმა ჯორ-სუღმა მეტისმეტი, თავხედური თხოვნით:-გადმომასხი შარდი, გადმომასხი შარდიო, -უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ლომი... ეტყობა, პოეტის დაჟინებული თხოვნის გამო ,,მორიდებულმა“ ლომმაც ხათრი ვერ გაუტეხა და შარდთან ერთად განავალიც უთავაზა პოეტს, რასაც, მართლაც ,,შთამბეჭდავად“ აღწერს ჯორ-სუღ ჩარკვიანი: -

,,ჩემს სიხარულს ვინ გაიგებს,
ახ, რომელი პერსონა
დაუარა წინა რიგებს-
ჩონჩორიკი ესროლა“. /დასახელებული წიგნი, 156 გვ./

მკითხველი უეჭველად შენიშნავს, რომ პოეტი ზედმეტად არის გახარებული. ცოტა საქმე ხომ არ არის, ჩარკვიანი ლომს თხოვდა მხოლოდ შარდს, ხოლო „აღღოიანმა“ ლომმა, არამხოლოდ შარდი, თვით ჩონჩორიკიც არ დაიშურა ჯორ-სუღ ჩარკვიანის პატივსაცემად....

ვფიქრობ, ლომმა ამ შემთხვევაში იმოქმედა პრინციპით: - მადლი ჰქენი და მარილიც მოაყარეო...როგორც იტყვიან, ღმერთმა შეარგოს ჯორ-სუღ ჩარკვიანს ლომის შარდი და განავალიცა...

მე კი, ჩემდათავად, ამდენი ფურთხიან-შარდიან-ჩონჩორიკიანი ლექსების წაკითხვის შედეგად ასეთ დასკვნამდე მივედი: მიუხედავად ბ-ნი ზვიადისადმი ჩემი სიმპათიისა და ამ უკანასკნელის მიერ ჩარკვიანის „პოეზიის“ ინილო-ბინილოდ მოხსენიებისა, მე მაინც „ჭკვიან“ კაცად მესახება ჯანსუღი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გავეშებული, ზაფრააშლილი, ლომის შარდსა და განავალში განბანილი „შენ ხარ ჩემი ბატონი“ (ეს ჯანსუღის აკვიატებული ფრაზაა, მსგავსად „ბუნკერისა“, „ფიურერისა“ და ა.შ.), მთელი ძალისხმევით მოუწოდებს თვითმარქვია პარლამენტს „ურჩი“ სამეგრელოს „გონზე მოსაყვანად“...

ეჰ, ჯორ-სუღ, ჯორ-სუღ! მეტისმეტი ცუნდრუკი და ტუტრუცანა ყოფილხართ. აბა, რას მივაწეროთ თქვენი ატროკებ-აცუნდრუკება ჩემი მინაწერის გამო: „თქვენი მონა-მორჩილი?“

ვინც ოდნავ მაინც განათლებულია და ვინც ასე თუ ისე იცნობს გამოჩენილ ადამიანთა ეპისტოლურ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას, დამეთანხმება, რომ მსგავსი მიმართვები ბუნებრივსა და ჩვეულებრივს წარმოადგენდა ადამიანთა ურთიერთობების პროცესში. მრავალ ნიმუშთაგან მოვუხმობ რამდენიმეს:

ცნობილი პოეტი, იმერეთის მეფის ელჩი, თავადი ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) მეგობრისადმი მიწერილ ბარათს ამთავრებს ასეთი ფრაზით: „მე ბესიკი – შენი მონა“. (იხ. ბესიკი, თხზულებანი; 1962 წელი, 189 გვ.). ხოლო 1789 წლის 14 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათს ასე ამთავრებს: „უმდაბლესი მონა, იმერეთის მეფის ელჩი, კნიაზი ბესარიონ გაბაშვილი“ (იგივე გვ.).

გენიალური პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს წერდა: „თქვენი უმორჩილესი... ნ.ბარათაშვილი“.)

ქართული პროზის ღირსეული წარმომადგენელი, დიდი რომანისტი

გაგრძელება გვ. 6

დასაწყისი გვ. 4

ვასილ ბარნოვი საზოგადო მოღვაწის, მოსე ჯანაშვილისადმი 1885 წლის 21 აპრილს გაგზავნილ წერილში წერს:

„ძმაო მოსე! მივიღე შენი ძმური წერილი“... ხოლო „ძმას“ და გულითად მეგობარს, აი როგორ ემშვიდობება დიდი მწერალი: „თქვენი მონა-მორჩილი ვასილ ბარნოვი“ (ვ. ბარნოვი, თხზ; ტ. 10, გვ. 408).

ბოლო ნიმუშიც: 1892 წელს ჟურნალისტ არტემ ახნაზაროვისადმი გაგზავნილი ბარათის ბოლოში ვკითხულობთ: „თქვენი მონა-მორჩილი ვ.ბარნოვი“ (ვ. ბარნოვი, თხზ; ტომი იგივე, გვ. 409).

ანალოგიური მაგალითები უსასრულოდ შემიძლია დავიმოწმო კლასიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, მაგრამ ლიტერატურული საგანძურიდან მოკრძალებით მოხმობილი ნიმუშები საკმარისად მიმაჩნია ურწმუნო თომათა (ჯორსულისმაგვართა) დასარწმუნებლად იმაში, რომ ჩემ მიერ ნახმარი უცოდველ-უწყინარი ფრაზა („თქვენი მონა-მორჩილი“) ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში ჩვეულებრივად იყო აღქმულ-გაცნობიერებული ცნობილ ადამიანთა მიერ...

ეჰ, ჯორ-სულ, ჯორ-სულ! ეს ყველაფერი მგონი თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ყვიტყვიტობთ და კრუშკრუშობთ მხოლოდ იმიტომ, იქნებ, ვინმე მიამიტი მკითხველი მართლა დააჯეროთ იმაში, თითქოს მე ბ-ნი პრეზიდენტის ყურმოჭრილი ყმა ვარ, თითქოს ეროვნული გაზეთები „იბერია-სპექტრი“ და „საქართველოს სამრეკლო“ წარმოადგენენ „იმპერია-სპექტრის სამრეკლოს“ და ა.შ... და თუ მართლაც ისე გესმით, როგორც წერთ, მაშინ ჰეგელის თქმისა არ იყოს, მით უარესი თქვენთვის და ღმერთმა ნამდვილად შეგარგოთ თქვენი მოწონებული ლომის შარდი თავის ჩონჩორიკიანად...

პრეზიდენტის ყურმოჭრილი მონა მაშინ ვიქნებოდი, ბ-ნი ზვიადის პრეზიდენტობის ჟამს რომ დამეწყო მასზე დითირამბების თხზვა, რაც თავად თქვენთვისაა დამახასიათებელი. სხვათა შორის, ოცდაათი წელიწადი ვიცხოვრე თბილისში (1990 წლამდე) და საკმაოდ ახლოს ვიცნობდი ბატონი ზვიადის და სულმნათი მერაბ კოსტავას გარემომცველ წრეს, მაგრამ არასოდეს მიცდია მათი გამოყენება პირადი კეთილდღეობისთვის და ჩემი სიჩუმე ბ-ნი ზვიადის განდევნამდე სათანადო ტაქტით იყო განპირობებული. ხოლო თუ დღეს ვექომაგები პრეზიდენტს, მხოლოდღა იმიტომ, რომ სიმართლე მის მხარეზეა და თუ მე ვარ მართლის, დევნილი კაცის მხარეს და არა დანაშაულებრივი პუტჩის შედეგად მოსული შევარდნაძის ვითომ მთავრობის მხარეს, რომელსაც ტერორიზებული ჰყავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, მაშინ საღად მოაზროვნემ თვითონ გააკეთოს ელემენტარული დასკვნა, თუ ვინაა ჩვენ შორის მონა, ხოლო ვინ – ჭეშმარიტების მსახური. სიმართლე თუ გსურთ, თქვენ ხართ ჩარკვიანო, მონა, ვინაიდან ემსახურებით შევარდნაძის პუტჩისტურ „მთავრობას“, სავარძლის დაკარგვის შიშით ღალატობთ ჭეშმარიტებას და იწონებთ კიდეც საქართველოში გამეფებულ „არაკჩეევის რეჟიმს“, საყოველთაო ანარქიასა და აბსოლუტურ განუკითხაობას... თუმცაღა, თქვენთვის ამგვარი რამის ახსნა, უდავოდ, მგლის თავზე სახარების კითხვას წარმოადგენს...

დი-ი-დო პოეტო ჯორ-სულ! მაინც რას ნიშნავს თქვენი ნაქილიკარი?

-„აბა ჩემო საყვარელო მონიკო, რატომ გგონია, რომ გამსახურდიამ გადააყენა ბუში და კიბოს წამალი გამოიგონა?“

ჩემო „სულზე უტკბესო“, „უსაყვარლესო“ ჯორ-სულ! ჩემს სტატიაში ამგვარი ბრიყვული აზრი არ არის დაფიქსირებული. სამწუხაროა, რომ ბოლო ხანებში მეტისმეტად მოგძალებიათ ჰალუცინაცია... როგორც გენიოსი გალაკტიონი ბრძანებდა: „ისეთ სისულელეს ამბობ, რომ მოხარშულ დედალსაც გაეცინება“ (გ. ტაბიძე, თხზ. ტ. 12; გვ. 477). ცხადია, „მოხარშული დედლის სიცილი“ კი, თავის მხრივ, იმ დროსაც მოგაგონებთ, როცა, როგორც ერთმა პოეტმა ამასწინანდელ „საქართველოს სამრეკლოს“ ფურცლებზე დააქუხა: „ნასუფრალებზე ვით ცლიდი ყანნებს“...

უბადრუკო ჯორ-სულ! ნუთუ თქვენი ფართო შუბლი კამეჩის ტყავით არის გადაკრული? თქვენ წერთ, თითქოს ბ-ნ ზვიადს ეთქვას 9 აპრილს დახოცილთა შესახებ: „ნუთუ ოც კაცზე მეტი არ დახოცილა? ამაზე ატყდა ამდენი ვაი-უშველებელი?“

ეგ ხომ წმინდა წყლის, უფრო სწორად, თქვენი საყვარელი ლომის შარდისა და ჩონჩორიკის ფანტაზიაა? პირიქით, ქართველ ხალხს დღესაც ახსოვს ეროვნული მოძრაობის თავკაცის მიერ ატეხილი განგაში იმის თაობაზე, რომ სინამდვილეში მეტი მსხვერპლია, ვიდრე 20 კაციო... ჭეშმარიტება ასეა, მაგრამ ფაქტის თქვენებური ინტერპრეტაცია და ამით მანიპულირება გამიზნული მცდელობაა საზოგადოების თვალის ასახვევად. თუმცაღა, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ეს არ გამოგივიდათ. ცნობილია, რომ ზ.გამსახურდია და მ. კოსტავა საერთაშორისო საინფორმაციო სამსახურთა მეშვეობით განგაშით აუწყებდნენ მსოფლიოს პიროვნების უფლების ხელყოფის ცალკეულ ფაქტებსაც კი... თქვენ კი, შურისა და ბოღმისგან დაბრმავებულო „პოეტო“, ქართველი საზოგადოების მოტყუებასაც ბედავთ თქვენი ვერაგულ-ბინძური ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ეს ყველაფერი თქვენი მოჩმახულია, მაგრამ ჭორი ხომ ზუსტად ამგვარად ვრცელდება, ვიღაცამ ხომ უნდა ააგოროს?...

„ჯანსუღ ჩარკვიანმა დაწერა გაზეთში, ა, ბატონო, წაიკითხეო“ –და ათასობით მკითხველი ერთ დღეში ქვეყანას მოსდებს ამგვარ ჭორს... სწორედ თქვენისთანა სულდგმულზე იტყვიან ხოლმე – დემაგოგიური კახპააო... თუმცაღა, თქვენ დიდი ხანია მარტოოდენ გარკვეული ნაწილის თვალში რჩებით პოეტად...

თამადა – დეპუტატო! ჩემს წერილში მე ვწერდი კონკრეტულ ფაქტზე: ზ. გამსახურდიას მიერ ლექციის ქართულ-გერმანულ ენებზე წარმართვასთან დაკავშირებით. თქვენ კი ზაფრააშლილი, აი, რას წერთ ჩემდამი თქვენს პასუხში: - „ინგლისურ-გერმანულ–-იტალიურ–-ფრანგულ–-აფხაზურ–-ჩეჩნურ–-ადიღეურ–-ინდურ–-ჩინურ–-იაპონურ–-რუსიულ–-რუსულ–-რასსიულ–-სირიულ–-კუკლუსკლანური ერთნაირად იცისო, რამ გათქმევინა შე ყურუმსაღო შენა?“

ვინაიდან მსოფლიოს კომპეტენტურ სპეციალისტებს „რუსიული“ და „რასსიული“ ენების რაობაზე ჯერჯერობით წარმოდგენაც არ აქვთ, ამიტომ სავსებით მართებულად იმსახურებთ „აღმოჩენის“ პრიორიტეტს ლინგვისტიკის დარგში... ანდა კუკლუსკლანური (სწორია „კუკლუქსკლანური„-–რ.შ.). როგორღა მიატმასნეთ ენათა ოჯახს? გეტყობათ, რომ პუტჩისტების დეპუტატი და იდეოლოგი ბრძანდებით...

ყრუჩუნა ჯორ-სულ! ბარემ დაიმახსოვრეთ: „კუ-კლუქს-კლანი“ (მისგანაა წარმოებული „კუკლუქსკლანური“) არის ფაშისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში და არავითარი საერთო თქვენ მიერ ჩამოთვლილ ენებთან არ გააჩნია. თუმცაღა, როგორც უკვე აღვნიშნე, თქვენ ხომ პუტჩისტების დეპუტატი და იდეოლოგი ბრძანდებით, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, პუტჩისტურ-ტერორისტული ჰალუცინაციით, რომელიმე ფაშისტური ორგანიზაცია წარმოადგინოთ თქვენთვის ხელსაყრელი ფორმით... თქვენს პომპეზურ ინტერვიუებში ღამის არის გალაკტიონად წარმოუდგინოთ თავი მკითხველს, სინამდვილეში კი, ენათა კლასიფიკაცია და ფაშისტური ორგანიზაცია ერთი და იგივე გგონიათ...

„განათლებულო“ ჯორ-სულ! თქვენ ფაქტებით პაექრობაში უბადრუკი ჩანხართ, ამიტომ ტყუილ-მონაგონით ღამობთ ფონს გასვლას... ეს კი, არავაჟკაცური საქციელია და ზნეობრივი ასპექტით, ფრიად საჩოთირო...

ამ თქვენს ქირქილსა და ონავრობაში თქვენეული „კუკლუსკლანურის“ ასოციაციით, უნებურად მომაგონდა ტერმინები: კიქსი და კნიქსენი. კიქსი ნიშნავს მოცარული დარტყმას ბილიარდის თამაშში, ხოლო კნიქსენი – იგივე რევერანსია... დიახ, ყრუჩუნა პოეტო! Dდარტყმა მოცარული გამოგივიდათ, ხოლო კოკობზიკური რევერანსი კი, თქვენვე შეგრჩათ.

თქვენ წერთ: „მეორედ არ გაბედო და არ მითხრა რომ შენ ჩემი მონა ხარ“...

კვლავ გიმეორებთ, რომ ტვინნაღრძობი უნდა იყოს კაცი, რომელიც ამ უწყინარ ტერმინში „თქვენი მონა-მორჩილი“ დღეს გულისხმობდეს სოციალურ შინაარსს და ამ ცნებას ტვირთავდეს ძველებური, წარმართული ჟამის ფუნქციით და მოაზრებით... ამასთან, პრინციპულად გირჩევთ დაიმახსოვროთ: სხვა დროს მაინც ნუ იკადრებთ ეგეთი ტონით საუბარს, თუმცაღა, ჩემდათავად, არ ვაპირებ თქვენთან პაექრობის გაგრძელებას, რადგან მე მწამს კამათი, პაექრობა მხოლოდ ფაქტებით და ზნეობრივად დასაშვები ლოგიკური ხერხებით და არა თქვენსავით ტყუილ-მონაგონით...

ბარემღა აქვე შევეხები თქვენს ერთ არამზადულ განზრახვასაც: - მხედველობაში მაქვს უდიდესი ქართველი პროზაიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ სასკოლო პროგრამიდან ამოღების თაობაზე თქვენ მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადება, იმ მოტივით, თითქოს ჭიაბერ ერისთავის მოწამვლა კათალიკოსის მიერ მოზარდ თაობაში იწვევდეს სულიერ გადაგვარებას. ჯერ ერთი, რაღა ბ-ნი ზვიადის მიმართ გარკვეული კლანების მიერ წამოწყებული „ჯვაროსნული ლაშქრობის“ ჟამს აცუნდრუკდით? მწერლუკა კიტა ბუაჩიძე მომაგონდა ანაზდად... გახსოვთ ალბათ, პატივცემული კიტას ნათქვამი: „ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების“ შეძენას და წაკითხვას არც ვაპირებდი, დალაქს რომ არ დავეინტერესებინეო“... თქვენც ეგრე ხომ არ მოგდით? განა, აქამდე არ გქონდათ წაკითხული „დიდოსტატის მარჯვენა?“ თქვენც პარიკმახერისგან ხომ არ გაიგეთ ამ რომანის არსებობის შესახებ? გარდა ამისა, ამ დიდებულ რომანში აღნიშნული მოწამვლის მომენტი თითქმის „უწყინრად“, სიტუაციის განსაკუთრებული დრამატიზებისა და მკვლელობის დეტალების გამძაფრებული აღწერის გარეშეა გადაწყვეტილი. რასაკვირველია, საერთო ფონი მეტად შემზარავია, მეტადრე, ჭიაბერის გულმოკლული დედ-მამის განცდათა აღწერა, მათი უზომო გულისწუხილი შვილის სიკვდილის გამო, მაგრამ თქვენ მიერ ნახსენები მოტივით სასწავლო პროცესიდან „დიდოსტატის მარჯვენის“ განრიდება უგუნურებად მიმაჩნია. თუ თქვენს „მოსაზრებას“ განვაზოგადებთ, მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ ამოღებაც მოგვიწევს სასკოლო პროგრამიდან, ვინაიდან რუსთველი უფრო მძაფრად აღწერს ხვარაზმშას შვილის მოკვლას ტარიელის მიერ... და თუ თქვენი დაჟინების გამო მაინც ამოიღებენ პროგრამიდან „დიდოსტატის მარჯვენას“, მაშინ სავსებით „უპრიანი“ იქნება სასკოლო პროგრამაში სანაცვლოდ შეიტანონ 1974 წელს „მერანის“ მიერ „ხუთწლედის მატიანის“ სერიით გამოცემული თქვენი პატარა წიგნის ერთ-ერთი პოემა „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“. სწორედ ეს უკანასკნელი „მაღალმხატვრული“ ნაწარმოები თუღა შეცვლის ისეთ შედევრს, როგორიცაა „დიდოსტატის მარჯვენა“. გარდა ამისა, აწინდელ საქართველოში სწორედ კოლხეთი წარმოადგენს ვაიქართველთა სათარეშო, საეგზეკუციო რეგიონს...

ზემოაღნიშნული პოემის წინასიტყვაში წერთ: „დღეს ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ბრძოლის ველი კოლხეთია. ამ ბრძოლის ველზე გამარჯვებულთ ეძღვნება ჩემი ახალი პუბლიცისტური პოემა „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“.

საოცარია, რაღა ბრძოლის ველობა დაანათლეთ კოლხეთს? აკი, შარშან აგიხდათ კიდეც დიდი ხნის ნაოცნებარი... ალბათ, გასულ წელსაც ასე მგზნებარედ მოუწოდებდით მხედრიონელებს - „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!“

ჩემო ჯორ-სულ, ერთი ამიხსენით, – რას ნიშნავს თქვენი მუქარით ნათქვამი: „გარწმუნებთ, სულ მალე წერტილი დაესმება თქვენი მონური სულის აღზევებას“...

ჯერ ერთი, ამასწინდელ ტელეგადაცემაში სრულიად საქართველო უყურებდა თქვენს ქლესურ, არავაჟკაცურ, მლიქვნელურ, თითქმის ცრემლნარევ მუდარას ხუნტის მეთაურის შევარდნაძისადმი: „არ გადადგეთ, თორემ დავიღუპებითო“. აი, ეს გახლავთ ლაქიობის, მლიქვნელობის, ჭეშმარიტი მონური სულის გამოვლინების ტიპური, კლასიკური ნიმუში...

გარდა ამისა, თუ თქვენი მუქარა მთლიანად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი არის მიმართული, ამ შემთხვევაში, თავს უფლებას ვაძლევ, ეჭვქვეშ დავაყენო თქვენი ფსიქიკური მდგომარეობა, რამეთუ მწამს, კაცი, რომელიც ეროვნულ–- განმანთავისუფლებელ მოძრაობას უპირისპირდება, არა მგონია იყოს ჯანსაღი ფსიქიკური წყობისა და ნორმალური ცნობიერებისა. ჭეშმარიტებაა, რომ 30 ვერცხლად სულგაყიდული ქართველები ვერ ჩაითვლებიან ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანებად... ნათქვამის დასტურად საყოფად გთავაზობთ კიდევ ერთ ფრაგმენტს თქვენივე ინტერვიუდან: - „მე დღესაც არ ვიცი, მუხრანია ზვიადისტი, თუ ზვიადია მუხრანისტი. თითოეული დარწმუნებულია თავის უპირატესობაში და ერთმანეთი რომ არ უყვართ, ეს ყველაზე კარგად თვითონ იციან“.

ბრავო, ბრავო „პოეტო!“ როგორ სრულყოფილად წარმოაჩინეთ თქვენი შინაგანი მრწამსი, თქვენი ზნეობრივი კრედო! თქვენი ლოგიკური „აზროვნების“ მიხედვით, გამოდის, რომ ბერი თევდორეს, დიმიტრი თავდადებულის და მამლისთვის თავგანწირულ მრავალ წინაპართა ქმედებანი სამშობლოს სიძულვილით ყოფილა ნაკარნახევი. თუკი ზვიად გამსახურდიას და მუხრან მაჭავარიანს ერთმანეთი სძულთ, მაშ როგორ გავიგოთ მათი ურთიერთპატივისცემა და ურთიერთშეთანხმებული მოღვაწეობა მამულის უმძიმესი ხვედრის შესამსუბუქებლად! პირიქით, სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა აერთიანებთ ბ-ნ მუხრანს, ბ-ნ ზვიადს და ათასობით ჭეშმარიტ მამულიშვილთ, რაც მშვენივრად უწყის სრულიად საქართველომ.

ჩემო მართლაც „ძვირფასო“ ჯორსულ! დროა, მოეშვათ ზვიადისტების და მუხრანისტების შესახებ კბილქვეშ მოტანით ბურტყუნს. ნეტავ, რომელ მათგანს გაუტოლდებით ვაჟკაცობაში, ერისკაცობასა თუ განსწავლულობაში: ბ-ნ მუხრანს, თუ ბ-ნ ზვიადს? უბადრუკო კაცო! ახლოს რომ არ გაგიკარეს თქვენი მონურ-ლაქიური წარსულის გამო, ამიტომ გახრჩობთ ბოღმა და ვერ გამძღარხართ ბ-ნი მუხრანის და ბ-ნი პრეზიდენტის გაკილვით, მათი აუგად ხსენებით.

„ძვირფასო პოეტო!“ ზემოხსენებულ ინტერვიუში ერთგან ამბობთ: „ვისაც სურვილი აქვს, დამხვდეს და მესროლოს“...

ეჰ, ჯორ-სულ, ჯორ-სულ! ეს, რანაირი აზრი მოგსვლიათ თავში „ჭაბუკო?“ ეგ ხომ ისეთივე მკრეხელობა და აბსურდული ოცნებაა, მეფე–პოეტი გალაკტიონი რომ ბრძანებდა: „ბოხარშულ დედალსაც გააცინებსო“. სისულელეა იმდენად, რამდენადაც თქვენნაირთათვის ხელებს არ ისვრიან, „ჩიტი ხომ ბდღვნად უნდა ღირდეს?“ საერთოდ, კლავენ დიდი იდეის მქონებელთ, ტიტანებს. თქვენ კი, ძალიანაც რომ მოისურვოთ, ვერ ეღირსება თქვენს შუბლს ტყვია. თუმცაღა, რომც მოხდეს სასწაული და ვინმემ დაგიმიზნოთ იარაღი შუბლში, დარწმუნებული ვარ, წარბსაც არ შეიხრით, განა იმიტომ რომ უშიშარი ხართ, არამედ შუბლის იმედი გაქვთ, კამეჩის სქელტყავგადაკრული ცხიმიანი შუბლისა, რომელიც ტყვიას უეჭველად აისხლეტს...

დასასრულ, გირჩევთ, გულდასმით წაიკითხოთ ჩვენი სათაყვანო წინაპრის, ბრძენი იაკობ გოგებაშვილის საგულისხმო სტრიქონები:

„ბატონო გიორგი! (იგულისხმება მწერალი გ. წერეთელი -–რ.შ.) ხელი აიღეთ ინსინუაციებზე, თორემ სხვისი დამდაბლების მაგიერ, რომელიც ისე გწყურიათ, საკუთარ თავს იმდაბლებთ, ირცხვენთ და ყირწაყურწინთ მიისწრაფებით ქვევითქვევით; შეიბრალეთ თქვენი თავი“.

ძვირფასო ჯორ-სულ, იქნებ მოხერხდეს თქვენი ფსიქოლოგიის მეტამორფოზა და ინსინუაცების და დიატრიბების წერის ნაცვლად კარგი საქმით შეეწიოთ ჩვენს გატანჯულ მამულს. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, გაძლევთ ვაჟკაცურ სიტყვას, თქვენი კაცობის სადღეგრძელოს ჯიხვის რქით გიახლებით...

ამჟამად კი მსურს დაგემშვიდობოთ ცნობილი ფუნაგორიის ბოლო ფრაზებით, რომელიც, ვფიქრობ, ზუსტად გამოხატავს თქვენს რაობასაც და მეობასაც:

„შენმა კბენამ მე ვერ მავნო,
შენ კი - გავნო, გავნო, გავნო!“

როსტომ შავგეგია.

სამურზაყანო, 27 მაისი, 1993 წ.
გაზეთი „აღდგომა“.

კინო

მხატვრული ფილმ „ექვთიმე ღვთისკაცის“ გამო. ..

დღეს, როცა ყოფა და ყოველდღიური საზრუნავი მრავალთათვის არსებობის უმთავრესი მოცემულობაა, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩა ინტერესი ხელოვნებისადმი, კონკრეტულ შემთხვევაში ქართული კინოსადმი; მით უფრო ინტერესი საქართველოს ეროვნული სულის სახე-ხატებებისადმი, ემახსოვრება, ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არა ერთი სატელევიზიო ეთერით თუ ასე პოპულარული სოციალური ქსელების მეშვეობით გაჟღერებული მოწოდება „ექვთიმეს ლაშქარს“ შემოერთებისა - თხოვნა ფინანსური დახმარებისა მხატვრული ფილმის გადასაღებად...ფილმისა, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის სახელშერქმეულ ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. ამ სახელის ხსენებისას მაშინათვე თვალწინ დაგიდგება სამშობლოს ეროვნული ნიშატის გაღვივებას, დაცვასა და შენარჩუნებაში ჯანგატეხილი, საქართველოს სიყვარულში დაფერფლილი უანგარო მოღვაწის, ისტორიკოსის, არქეოლოგის, პედაგოგის და სრულიად გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ საქართველოს უახლესი ისტორიის ჭეშმარიტი გმირის სახება.

ყველაფერი ასე დაიწყო...იდეით ანთებული ჯგუფი, რომელთაც მხატვრული ფილმის შექმნა განუზრახავთ არც მეტი, არც ნაკლები ექვთიმეზე. მიზანი უკვე მისასალებელია! ფილმი!. . მით უფრო ექვთიმეზე!. . და, მით უფრო ეროვნული ფასეულობების ნიველირების ფონზე, რომელიც სხვადასხვა სახით აგერ უკვე ამდენი ხანია გრძელდება...კამპანია ფილმის გადასაღებად თანხის მობილიზებისათვის გაძლიერდა, ეტყობა მარკეტინგულადაც სწორად დაალაგეს სვლები და პირველი თანხებიც მიიღეს...პირველ თანხას პირველი გადაღებაც მოჰყვა და საბედნიეროდ მოქალაქეთა (ისევ ხალხის იმედად თუ იქნება ხელოვნება) და შედარებით ხელგაშლილი რამდენიმე ბიზნეს-კომპანიის შეწირულობით თითქმის ორწელიწადნახევრის თავზე ფილმი მიმდინარე წლის 5 იანვარს პირველად სწორედ ლიხაურში, სიმბოლურად ექვთიმეს მხარეში აჩვენეს. შემდეგ იყო 11 იანვარი და ბათუმური პრემიერა, ხოლო 20 იანვარს ფილმ „ექვთიმე ღვთისკაცის“ (რეჟისორი და პროდიუსერი ნიკოლოზ ხომასურიძე) პრემიერა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგა. პრემიერა შედგა წითელი ხალიჩებით, სმოკინგებით, სტუმრებით, რომელთა შორის ტელეეკრანებზე გაცვეთილი „ფეისები“ ნაკლებად ჩანდნენ, ესეც ბუნებრივი და საიმედო იყო...რატომ?. . ალბათ, ყველა თავად გასცემს პასუხს ამ კითხვას...იყო ფოტოპოზირება, რომელიც ჰოლივუდური კინოპრემიერების ცუდ პაროდიას უფრო წააგავდა...მაგრამ, მთავარია ყველაფერი იყო, რაც დიდ კინოპრემიერას ახლავს თან. მიუხედავად, ამ ყველაფრის თანხლებისა, მაინც კიჩურად ჩანდა ეს ყველაფერი, მანქანების „დაპარკინგებისას“ აგრესიული სიგნალების, ყვითელი თუ ახლა უკვე ლურჯი ავტობუსებიდან ცნობისმოყვარე სევდიანი მზერით გამომზირალი ჩვენი მოქალაქეების სახეების, ავტომანქანებით გადატვირთული მომიჯნავე ქუჩის ამავე ავტომანქანების გამონაბოლქვისაგან შენაცრისფერებული საწვავის სუნით გაჟღენთილი ჰაერის და შორიახლოს ამოუხსნელი რიდითა და დაბნეულობით მოსიარულე რამდენიმე მოწყალების მთხოვნელის ფონზე...ჰო, რაც მთავარია „ფილარმონიის“ შესავლელში ვარსკვლავებად დაფენილი საბჭოთა დროის ტალანტების (მათ შორის რამდნეიმე მართლა არის ყველა დროის დიდი ტალანტი) თუ პოსტსაბჭოთა პერიოდის „ესტრადნიკების“ ფონზე. მუხედავად ამ ყველაფრისა, რაც მთავარია იყო ფილმი - ექვთიმე თაყაიშვილზე!

ორი წელზე მეტი მესმოდა ფილმის შესახებ და მართლაც დიდი მოლოდინით, სიხარულით და ენთუზიაზმით ველოდი მის ეკრანებზე გამოსვლას. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რა გული მომითმენდა არ მენახა, კინო-თეატრების ეკრანზე გამოსვლისთანავე. დარბაზი მაყურებლით იყო სავსე, სადაც, საბედნიეროდ, აქა იქ თუ ისმოდა კინოსათვის რატომღაც „ტრადიციულად“ მახასიათებელი „პოპკორნის“ ხრაშუნი.

მაშ ასე, ფილმის შექმნის ისტორია უჩვეულოდ და საინტერესოდ დაიწყო, თავად ფილმი კი...აი, ამ „კი„-ს ორი ფაქტორი განაპირობებს, შემოქმედებითი და სოციო-კულტურული, რომელიც მის ისტორიულ კონტექსტთან არის კავშირში. ასე მონდომებით, შემართებით, მით უფრო ექვთიმეზე შექმნილ ფილმზე, მომიწევს იმის თქმა რასაც სიამოვნებით არ ვიტყოდი...თუმცა ფილმი ეკრანებზე გამოსულია და ჩვენი უფლებაა, შეიძლება მოვალეობაც, იგი შევაფასოთ. აქ მხოლოდ მთავარზე შევჩერდები. „ექვთიმე ღვთისკაცი“ - ფილმი ისტორიულად ბუნდოვანია და მას საბჭოთა კონიუნქტურის სუნი მძაფრად ასდის. უგულვებელყოფილია შემოქმედის დამოკიდებულებები ისტორიული პერსონაჟებისადმი და თავად პერსონაჟებს შორის, რაც ამბავს და ფილმის სუბიექტსაც სქემატურს ხდის. მისი არსობრივი ნაკლოვანებები, ფილმის მხატვრულ ქსოვილზე ბუნებრივია ნეგატიურად მოქმედებს და როგორც თავად ფილმს, ისე მის მთავარ ფიგურას, მის მნიშვნელობას მასშტაბს უკარგავს.

ფილმის პირველი წუთებიდანვე თვალშისაცემია კინოსათვის არამომგებიანი, მე ვიტყოდი დამღუპველი, გრძელი ინფორმაციული დიალოგები (სცენარის ავტორი ლაშა კანკავა). უყურებ, ექვთიმეს პიროვნების ხიბლით ანთებული, ეკრანს და ფიქრობ რომ ჯერ ექსპოზიციის ნაწილია და ალბათ შემდეგ დაიწყება „კინო“ - ვგულისხმობ თხრობას კინო ენით...მაგრამ, კვანძიც შეიკრა, პერიპეტიების ნაწილიც დაიწყო და კვლავ ვრცელი, დიალოგებად გათამაშებული საინფორმაციო ტექსტები. ფილმში კადრის მონაცველობა თითქოს დაბალანსებულია, თუმცა შენელებული და ისიც ინფორმაციული - კადრი იცვლება არა იმის მიხედვით რომ პერსონაჟის ქმედება (რაც მოძრაობას არ გულისხმობს) ასახოს, არამედ იმისათვის, კონკრეტულ მომენტში მოსაუბრე პერსონაჟი მოხვდეს კადრში, რაც ტემპო-რიტმსა და ემოციურ მუხტზე სასარგებლოდ ვერ აისახება. თხრობითობა და გამძაფრებული ინფორმაციულობა, რომელიც ფილმს ბოლო მომენტამდე გასდევს, უკარგავს მხატვრული კინო ფორმას. ის ემსგავსება ისტორიულ თემაზე თუ ისტორიული პერსონაჟის შესახებ შექმნილ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის ვრცელ მხატვრულ ჩანართს. აი ისეთს, ყველას ბევრჯერ რომ გვინახავს საყოველთაოდ მოწონებულ BBC-ს ისტორიულ დოკუმენტურ ფილმებში ან თუნდაც უფრო მცირე მასშტაბის ქართულ სატელევიზიო პროექტში „გაგრძელე საქართველოს ისტორია“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმებისათვის ეს ინფორმაციულობა მისი ჟანრული ფორმაა, იქ მთავარია მოყოლილ იქნას ისტორია, ცნობები და მხოლოდ იმიტომ, რომ მაყურებელს მეტი სანახაობრიობა შესთავაზონ, წამყვანის მაგივრად ისტორიულ გარემოში და სამოსში მოქცეული მსახიობები დილოგებით ყვებიან ამბავს, ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის შესახებ. ხოლო, როდესაც კინო სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის ხერხებით გვიყვება ამბავს, იკარგება კინოს მთავარი ეფექტი. კინო (მხატვრული ფილმი) გვიჩვენებს მოვლენებს, ტელევიზია და დოკუმენტალისტიკა გვიყვება ამბებს - როცა ეს მთავრი პრინციპი ირღვევა, მაშინ კინოს თავად ექვთიმეს ფენომენი და მისდამი ჩვენი დიდი მოკრძალებაც ვეღარ შველის. ვეღარ შველის, მით უფრო, როცა მიდის ინფორმაციული და იშვიათი გამონაკლისის გარდა, არა ქმედითი ტექსტი, რომელიც თავად ტექსტადაც არ ვარგა, მით უფრო კი კინოსცენარის ტექსტად, რომელიც უნდა ემსახურებოდეს, ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებით თხობას, რისთვისაც მისი შექმნისას დაცული უნდა იყოს არქიტეტქტონიკა, რომელიც ფილმში მოშლილია და არააქცენტირებული. ესეც რომ არა, ტექსტი ენობრივად ხელს არ უწყობს ისტორიული პერიოდის ატმოსფეროს შექმნას, პერსონაჟებს შორის დამოკიდებულებების გამოვლენას, ხშირ შემთხვევაში იგი წააგავს დამოუკდიებელ ფრაზებს თუ ციტატებს, რომლებიც სრულიად არაორგანულია, როგორც ეპიზოდის ქმედითი თხრობისათვის, ასევე თავად მსახიობებისათვის. არაორგანულობა ვახსენე და მომენტალურად გამახსენდა ფილმის ფინალური ეპიზოდი, ექვთიმეს საქართველოში დაბრუნებისა, რომელის მრავალმხირვ კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ რადგან ჯერ ტექსტზე ვსაუბრობთ...ამ ეპიზოდში ტექსტი არა თუ არაორგანული, ყალბია, რომელსაც ისეთი პროფესიონალიც კი, როგორიც ექვთიმეს როლის შემსრულებელი რეზო ჩხიკვიშვილია, ვერაფერს უხერხებს; ტექსტს, რომელიც საბჭოთა დროის საბავშვო პატრიოტული ლექსის პათოსითა (და ფრაზეოლოგიითაა) გაჟღენთილი. ასეთი ყალბი ტექსტები კი, ფილმში არც თუ იშვიათად გვჭრის ყურს. ასე რომ, ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი და პრობლემა ფილმში სცენარია, თავისი ტექსტით, რომელიც არ უტოვებს საშუალებას ძალიან კარგ მსახიობებსაც კი, როგორიცაა რეზო ჩხიკვიშვილი (ექვთიმე), გოგი თურქიაშვილი (ნოე ჟორდანია) კინოსათვის ასე მნიშვნელოვანი ხერხის - უტექსტოდ, ჟესტით, მიმიკით, მზერით პერსონაჟის ფსოქოლოგიური სახის შექმნის საშუალებას. ისეთ საკვანძო ეპიზოდშიც კი, როდესაც 24 წლიანი იძულებითი ემიგრაციის შემდეგ ექვთიმე საფრანგეთიდან გამომგზავრების წინ თავის ოთახს ტოვებს. რეზო ჩხიკვიშვილის სახისა თუ სხეულის ყოველი მოძრაობა სამშობლოში დაბრუნების მოლოდინის სიხარულნარევი მზერითა და ამავე დროს, ამ სამყოფელის დატოვების სევდითაა გაჯერებული, სადაც ერთგული მეუღლის სული კიდევ ტრიალებს. ხედავ, მსახიობი მზადაა გამომშვიდობების ეს უხმო რიტუალი ბოლომდე ითამაშოს, მაგრამ არ ვიცი სცენარისტი თუ რეჟისორი, ალბათ ორივე ერთად, არ აცლიან და ის იწყებს დამშვიდობების სიტყვების წამროთქმას და მსახიობურად საინტერესოდ მომზადებული ეპიზოდიდან გვრჩება ტრაფარეტი. ის რომ, ტექსტმა ფილმს ბევრი დააკლო ამის უტყუარი დასტურია ერთი (ერთადერთი) ეპიზოდი, სადაც მიმაჩნია რომ „კინო“ შედგა. სერგო ორჯონიკის მიერ ვაგონებში დაპატიმრებულთა ჩაცხრილვის ეპიზოდი და საკონტროლო გასროლით ბავშვის მოკვლა. ეს ეპიზოდი სავარაუდიდ 2-3 წუთი მაინც გრძელდება, რაც საკმაო დროა კინოში. იგი სრულიად უტექსტოდ მიმდინარეობს, ორჯონიკიძის თმის პარსვის კადრით, დაპატიმრებულთა ვაგონის ინტერიერის გაცნობით, აუტანელი მოლოდინის შეგრძნებით, „რკინის სახკომის“ მომზადებით აყვანილთა დასახვრეტად და ა. შ. ლაპარაკის გარეშე ყველაფერი იკითხება, ყველაფერი ნათქვამია, გასაგებია და მთელ ფილმში ყველაზე ემოციური ეპიზოდია. რეჟისორი აშკარად ფლობს კინო ენით თხრობის ტექნიკას, თუმცა (გაუგებარია რატომ) იქმნება შთაბეჭდილება, რომ რეჟისორმა სცენარის ავტორი იმხელა ავტონომიურობით აღჭურვა, რომ გაწირა ფილმი სატელევიზიო-დოკუმენტალისტიკისათვის.

რაც შეეხება პერსონაჟებს...უმეტესწილად ფრაგმენტულნი არიან და ეს არ ეხება მხოლოდ ეპიზოდურ როლებს. ეს ფრაგმენტულობა უმთავრესად გამოწვია იმან, რომ მათი სახეები ფსიქოლოგიურად არ არის გახსნილი და გააზრებული. მათ არ გააჩნიათ მხატვრული სახისათვის აუცილებელი მახასიათებელი და რაც მთავარია, არ ჩანს მათდამი შემოქმედის-რეჟოსრის დამოკიდებულება, თუ როგორია ამა თუ იმ გმირის ან ანტიგმირის კონტექსტი იდეასთან შესაბამისობაში. ისტორიულ პერსონაჟების შექმნისას აქცენტი გაკეთებულია შერჩეული მსახიობების მსგავსებაზე ისტორიულ ორეულთან და მათი ფსიქოლოგიური პორტრეტების აუცილებლობა თითქოს კადრს მიღმაა დატოვებული. საბოლოოდ ფილმში წარმოდგენილი პერსონაჟები ერთგვარად, ფოტოებს წააგვანან და არა, ცოცხალ სახეებს, სწორხაზოვნებით, ერთპლანიანი რაკურსით და ისტორიულ კონტექსტში მათი ფუნქციის ვერ თუ არ წარმოჩენით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავარი იყო ავტორებს მოეყოლათ შინაარსი და არა იდეის შესაბამისი პოზიციით გამყარებული მოვლენები, რაც უპირველესი პირობა იქნებოდა ცოცხალი შემოქმედებითი ნაწარმოების დაბადებისა. ეს ფაქტორიც პირდაპირი კავშირია, რაც „ექვთიმე ღვთისკაცს“ სატელევიზიო ფორმატის შემეცნებით-ისტორიული ფილმების მხატვრული ჩანართის სპეციფიკასთან ანათესავებს და ისე მჭირდოდ, რომ ვეღარ ახერხებს მისგან დისტანცირებას.

ფილმის პერსონაჟების „ფოტოკოლექციაში“ მრავლადაა ისტორიული სახეები ილია ჭავჭავაძითა (ნუგზარ ჩიქოვანი) და დავით სარაჯიშვილით (დავით ჩალათაშვილი) დაწყებული, ჟორდანია-ჩხენკელის (გოგი თურქიაშვილი, გია ტყეშელაშვილი) დუეტით მოყოლებული, თავად „წითელი“ ბელადითა (ქართლოს მარადიშვილი) თუ ლავრენტი ბერიათი (სლავა ნათენაძე) დამთავრებული. ასევე, სიუჟეტურად მნიშვნელოვანი სახეებია ანგარებიანი, მერკანტილურ-მეშჩანური, კომერციის მადას აყოლილი ავანტიურისტების, გამორჩენაზე მომართული მედროვეების სახეები, ისეთები როგორებიც არიან გიორგი მეგრელიშვილის - ჟან პიერი, კახა მიქიაშვილის -კოლექციონერი და კომერსანტი ჰერბერტ უინლოკი, თინა ალექსიშვილის - სალომე დადიანი-ობოლენსკაია და სხვები...ისინი თავიანთი ერთფეროვნებით, ფასადურობით და ფსიქოლოგიური სიღრმეების გარეშე, სრულიად ეწერებიან შინაარსზე ორიენტირებული ტრაფარეტული ფილმის „ჩარჩოში“. თუმცა, სამსახიობო შესრულების თვალსაზრისით არ შეიძლება არ აღინიშნოს გოგი თურქიაშვილის ნოე ჟორდანია და დიმიტრი ტატიშვილის ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლებიც მათი არტისტული და კინო გამოცდილების გამო ახერხებენ კინო-პირობითობის დაცვას, კონკრეტულ ეპიზოდში პერსონაჟის შინაგანი განწყობისა თუ განცდის გადმოცემას. გოგი თურქიაშვილთან არის მცდელობა, რომ ხაზი გაუსვას ნოე ჟორდანიას პატივმოყვარულ-ინფანტილურ პოზას შეჯერებულს წუხილთან და უძლურებას-

გაგრძელება გვ. 8

დასაწყისი გვ. 7

თან. სამსახიობო თვალსაზრისით იგი ახერხებს ამას, თუმცა ესეთი ცოცხალი გამოვლინებები რეჟისორის მიერ არ არის მოვლენამდე აყვანილი, რაც მსახიობის ოსტატობის დონეზე რჩება და ფილმის თხრობისათვის საშუალებად არ იქცევა. ასევე, დასამახსოვრებელია სამსახიობო თვალსაზრისით ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბოლო ეპიზოდი, ლოგინში სულთმობძავი გმირისა. ეს იშვიათი გამონაკლისებია, რომელიც სამწუხაროდ გადამწყვეტ პოზიტიურ გავლენას ვერ ახდენს ფილმის მთლიან ქსოვილზე. მით უფრო მაშინ, როცა ერთ-ერთი მთავარი როლი, ნინა პოლტარეცკაია (ანა წერეთელი) სრულიად უფერული, ყველანაირი სიღრმისა თუ აზრის მასშტაბისაგან დაცლილი და ბუტაფორიულია. ანა წერეთლის ფიზიკური მომხიბვლელობა, მისი გმირის პირველი გამოჩენისას დიდ მოლოდინს აღძრავს, მისდამი მაყურებელს სრული მიმღებლობა აქვს, მაგრამ მისი პირველივე სრულიად უემოციო, ყველანაირი ქვეტექსტისაგან დაცლილი, ამოცანას მოკლებული ფრაზები, რომლებიც ხშირად ინტონაციურადაც გაუმართავია და სათქმელის აზრისაგან დაცლილი და შესაბამისად, არადამაჯერებელიც, პერსონაჟს იმდენად აუბრალოებს, რომ იკარგება ექვთიმეს მეუღლის ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი და მეუღლესთან ერთად მრავალმსხვერპლგაღებული ქალბატონის მნიშვნელობა. ვიზუალურად შთამბეჭდავი სახეა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მსახიობი-მიმის ლაშა ონიანის ნაცისტი გენერალი, რომლის მცირე ეპიზოდი, სწორედ მოვლენათა განვითარების ჯაჭვის ნაწილია, სადაც დაუნდობელი, პრაგმატული, მიზანზე ორიენტირებული სამხედრო ჩინოსნის სახეს დამაჯერებლად გამოკვეთს. მთავარი როლი - ექვთიმე - რეზო ჩხიკვიშვილი... ის რასაც რეზო ჩხიკვიშვილი ახერხებს ამ ფილმში, წარმოუდგენელია არ დაუფასო მსახიობს...ზემოხსენებული ფაქტორები რომ არა ცალსახაა იგი მეტსაც მოახერხებდა...იგი მისეულად აზრიანია ყოველი, თუნდაც მცირე ფრაზის წარმოთქმის დროს, ყოველი მისი სიტყვა თუ ჟესტი დაქვემდებარებულია ეპიზოდში მისი პერსონაჟის ამოცანას...ამოცანას, რომელსაც მსახიობი (ყველა ვერა, ბატონი რეზო) თავად იქმნის კონკრეტულ ეპიზოდში...მისი მზერა ყოველთვის მიზანში მომხვედრია და უხილავ პირობას ქმნის ეპიზოდის მოვლენის შესაქმნელად თუ ამბის განვითარების ლოგიკური ბმისათვის...მაგრამ აქაც, ვაწყდებით ერთ „მაგრამ„-ს. იგი ცდილობს, დოკუმენტურად ცნობილი, ექვთიმეს ოდნავ მჭახე-ჩახლეჩილ-დაჟინებული მეტყველების მანერის შექმნას, რომელიც მისი რანგის არტისტს ბუნებრივია გამოსდის, სამაგიეროდ როგორც მხატვრულ პერსონაჟ ექვთიმეს არ უხდება, მას ერთგვარ სახასიათო ელემენტს სძენს, რაც, მით უფრო გარდამტეხ ეპიზოდებში აუბრალოებს, როგორც ეპიზოდის ატმოსფეროს (გრძნობათა-ბუნებას) ასევე თავად პერსონაჟის სათქმელს. მის გმირს თითქოს ყველაფერი აქვს, ზეპროფესიონალი არტისტი ყველაფერს აკეთებს, მაგრამ მისგან მაინც მეტს მოელი...იმიტომ, რომ რეზო ჩხიკვიშვილია და ეს ლოგიკურიცაა...აი ის მეტი, არის პიროვნების მნიშვნელობის მასშტაბი - რაც ექვთიმეს დიდი პიროვნებიდან ფენომენად აქცევდა. ერთი კი არის, მასშტაბს მხოლოდ მსახიობი ვერ შექმნის, მით უფრო კინოში და ის რეჟისორის პოზიციიდან უნდა მომდინარეობდეს.

აი, აქ კი, მივადექით მეორე მნიშვნელოვან საკითხს, რომლისგანაც არა მხოლოდ ეს ფილმი, მთლიანად ქართული სოციო-კულტურული სივრცე და ისტორია ვერ განთავისუფლებულა აქამომდე - ეს საბჭოთა კონიუნქტურაა. სრულიად ვემიჯნები იმ აზრს რომ რეჟისორი ან სცენარის ავტორი რაიმე სახით დავუკავშიროთ საბჭოთა ნოსტალგიის თემას. არა! უბრალოდ მათ დღევანდელი დღის გადასახედიდან გადააზრების გარეშე, პირდაპირ მიიღეს ის ფაქტები, რომლებსაც დღემდე ხელგაშლილად გვთავაზობენს უკანასკნელი ორი საუკუნის „მემატიანეები“, ისტორის წიგნები, დოკუმენტები და ა. შ. როცა ასეთ თემას ეხება ხელოვნება, მაშინ როცა გარდუვალი მოთხოვნილებაა ისტორიული სინამდვილის გადააზრება. გადააზრება, საბჭოთა პოლიტკონინქტურის გარეშე - რომლითაც გაჯერებულია, როგორც ისტორია, საზოგადოებრივი წარმოდგენები და სტერეოტიპები, ასევე ჩვენი მენტალური აღქმადობა - მაშინ, როცა ქართველ ისტორიკოს-აკადემიკოს-ღვაწლმოსილებს არ ჰქონიათ ამ გადააზრების მინიმალური მცდელობაც კი. ასეთ მოცემულობაში ისტორიული ფაქტების დიალექტიკური გააზრების გარეშე სიუჟეტის თხრობა, მე ვიტყოდი ისტორიული ინფანტილიზმია, რაც როგორც ექვთიმეს ფენომენს და მის ეროვნულ იდეას, ასევე ფილმის კეთილშობილურ მიზანს, უკარგავს მნიშვნელობას.

ამის მაგალითები არა ერთია ფილმში, მათგან რამდენიმე კი განსაკუთრებით თვალშისაცემი და გაუმართლებელია უპირველესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივი პოზიციიდან. ესეთი რეციდივები სოციალ-დემკრატიის („მენშევიკები“) და „ბოლშევიზმის“ ისტორიულ აღქმას შეეხება - აბუნდოვანებს და ართულებს ამ პოლიტიკური დაჯგუფებების პირუთვნელ შეფასებას. ფილმში არ ჩანს ექვთიმეს დამოკიდებულება ნოე ჟორდანიასადმი. გასაგებია რომ იგი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე იძულებულია, შეიძლება ვალდებულიც, ქართული ინტერესების გამო ითანამშრომლოს არც თუ მთლად გამჭვირვალე და უბიწო წარსულის მქონე დემოკრატიული საქართველოს მეთაურთან, მაგრამ სწორედ ამ მეთაურის სახის და ისტორიულ კონტექსტში მის წარმოსაჩენად საჭიროა მისდამი ურთიერთობა, დამოკიდებულებები იყოს ნაჩვენები და რა თქმა უნდა იმ გმირისაგან, რომელიც უპირობოდ ასოცირდება სიმართლესთან - ასეთი კი ექვთიმეა. ამის გარეშე, საერთოდ ეკრაგება აზრი ამ პერსონაჟების ფილმში შემოყვანას და ისინი უბრალოდ პოდიუმის თოჯინებად რჩებიან. ამ ისტორიული აპოზიციურობის ნაწილია, ექვთიმესა და ნინას ერთ-ერთ ეპიზოდში, „გამაზული“ უმნიშვნელოვანესი ფრაზა, სადაც ცოლი ეუბნება ექვთიმეს - ილიას მკვლელებთან საქმეს რომ იჭერ რას

ფიქრობ, კარგს რას ელიო...და ელოდები, რომ ჟორდანიას დიალექტიკური წარმოჩენა უნდა შედგეს...მაგრამ ამითვე მთავრდება ჟორდანიას, როგორც მხატვრული პერსონაჟის, ასევე მისი ისტორიული სახის წარმოჩენის მცდელობა, რომელსაც მცდელობაც შეიძლება ვერ დაერქვას...თან, ეს ფრაზაც ისეა ჩაქსოვილი ეპიზოდის ტექსტში, რომ თუ მაყურებელის ყური (გული) მგრძნობიარე არაა ამ თემებისადმი, მის ყურადღებას ადვილად გამოეპარება.

„ექვთიმე ღვთისკაცის“ მთელი სიუჟეტი განძის დაბრუნების კოლიზიების გარშემოა აწყობილი, იმდენად რომ ხან გგონია ექვთიმე ამ განძის დანამატია და არა დამოუკიდებელი ფენომენი, რომელიც განძის თემამ დამატებითი შარავანდედით შემოსა. ეს საბჭოთა კონიუნქტურის კიდევ ერთი გამოვლინებაა, როცა მისი უდიდესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდეები მიუღებელი იყო წითელი რეჟიმისათვის, ამიტომ მისი შეფასებისას აქცენტი კეთდებოდა განძის შენარჩუნების და დაბრუნების თემაზე, მის არქეოლოგიურ წარსულზე...ეს, ტიპიური ნიმუშია საბჭოთა ცენზურისა, როცა იგი ნებას იძლეობდა გვექექა და გვეამაყა წარსულით, გვემღერა ფოლკლორი, გვედიდებინა რუსთაველი (დამსახურებულად), გვექო ჩვენი ისტორიული ღირშესანიშნაობები, მხოლოდ არ გვეფიქრა თამანედოროვეობის პრობლემებზე (რომლებიც რეალურად დანაშაულს წარმოადგენდა), ამაზე ზრუნვას ხომ საბჭოთა სოციალურსტური რესპუბლიკა გვპირდებოდა...სწორედ ამ მიდგომის პათოსს გაგონებს ფილმში ექვთიმეს მხოლოდ განძთან აფილირება. ეს თემა კიდევ უფრო ღრმად მიდის...ფილმში ობიექტურადაა წარმოჩენილი ეპიზოდი ორჯონიკიძის სისასტიკისა, სადაც ბოლშევიკური სიმხეცის სახე ძალიან კარგად ჩანს. თუმცა, როგორც კი განძის დაბრუნების საკითხი დგება...ფილმში ჩნდება ბელადობამდე ამაღლებული გორელი სოსელოს სტერეოტიპული, რატომღაც ჰეროიკულობა ნარევი პერსონა. ეპიზოდი შემაზრზენია, სტალინისადმი ერთგვარი რევერანსული დამოკიდებულებით და ფარული სიამაყით მის მიმართ, რომელიც ტიპური საბჭოთა ხერხით არის წარმოჩენილი... ეპიზოდი წარმოადგენს საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან დიალოგს, სადაც საფრანგეთის პრეზიდენტს (მსახიობი ზურა ინგოროყვა) რეჟისორი ალაპარაკებს საბჭოთა ბელადისადმი განაზებული, მორიდებულ-მოკრძალებული და თითქოს დავალებული კაცის პოზიციიდან, რასაც ეპიზოდის გამოსახულებაც ამძაფრებს; სტალინი დე გოლს არც კი უყურებს, სცენაზე სუხიშვილების ნომერს შესცქერის, დე გოლის ყურადღება კი, ბელადზეა აქცენტირებული. ფილმი სწორხაზოვანიაო ზევით ვახსენეთ, ალბათ ამის უკვე საკმაო დასტური მოგროვდა ან კი როგორ შეიძლება, მჯერა უნებური, მაგრამ მაინც საბჭოთა კონიუნქტურა, არასწორხაზოვანი იყოს... ამის გაგრძელებაა, რომ ზედაპირული წარმოჩენით და მხოლოდ ფაქტების გაცოცხლებით მივიღეთ, რომ - სტალინი ჩაერია და განძი დააბრუნა სამშობლოში (რომელი იყო სტალინის სამშობლო ეს კიდევ ცაკლე საკითხია). ფაქტის დონეზე ეს მართალია, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან უპირობოდ საჭიროა - თუ გვინდოდა რომ იმ ეპოქის ცოცხალი სურათი და ასევე თანამედროვე მხატვრული პროდუქტი შექმნილიყო, ეჩვენებინათ ფილმის შემქმნელებს ის მოტივები და პოლიტიკური სიტუაციები, რის გამოც სტალინმა „თავი გამოიდო“ განძის დასაბრუნებლად. ამის პარალელურად უმნიშვნელოვანესად ნაჩვენები ყოფილიყო ექვთიმეს ფსიქოლოგიური, მსოფლმხედველობრივი შეფასება ამ საქმეში „ბელადის“ მონაწილეობაზე, მისი დამოკიდებულება...და ექვთიმე ძალიან კარგად ხვდებოდა ვინ იყო სტალინი და განძით რატომ დაინტერესდა. მეტიც, გულიც კი უთრთოდა, რადგან საბჭოეთში განძის დაბრუნება კარგად იცოდა, რომ განძისადმი ეროვნული მნიშვნელობის გააზრება და დაფასება კი არ იყო, არამედ პოლიტიკის ნაწილი და ამ პოლიტიკას როდის რა ემსხვერპლებოდა წინასწარ არავინ იცოდა. ამისგან განსხვავებით, ჩვენ ფილმში მივიღეთ საბჭოთა ისტორიის ნარატივი - კონიუნქტურული ისტორია, სადაც - ორჯონიკეძე ნეგატივადაა წარმოჩენილი (ამაზე არ ვდავობთ), სადაც იგი იმიტომ კი არ არის ასე ხსენებლი, რომ მართლა ნეგატივია, არამედ იმიტომ რომ იგი სტალინმა მოიძულა და მოიშორა, როგორც არასასურველი პირი საბჭოთა „დიადი კეთილი იდეისათვის“...აი სტალინი კი, ჩვენდა სავალალოდ, ჯერ კიდევ მთელ რიგ მოვლენებში პატივდებული, განფენილია ისტორიის ფურცლებზე, კიდევ უარესი - საზოგადოების ნაწილის წარმოდეგენებში. ამის გაგრძელებაა, ექვთიმეს პერსონაჟის მიერ უყურადღებოდ დატოვებული (ლაშა რამიშვილი) პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომელიც დემოკრატიული მთავრობის წევრია ფილმის დასწყისში, ხოლო მეორე ნახევარში არა-ერთი ქართველის მსგავსად ვხედავთ, რომ საბჭოთა ბანაკში გადაბარგებულა...ასეთების მეტი რა ახსოვს ჩვენ ისტორიას...მაგრამ აუხსნელია, როცა ექვთიმე ხვდება საბჭოთა ბიუროკრატად სახეცვლილ ძველ ნაცნობს, ერთი შეფასებაც კი არა აქვს, რომელიც მიგვახვედრებს, ამ პოლიტიკური ელასტიურობის „ზნეობრივ ფასს“. ამას ხომ სრულიად არ სჭირდებოდა რაიმე დამატებითი რესურსი, ტექსტიც კი არ იყო საჭირო, მხოლოდ ექვთიმეს რეაქცია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის თანამდებობის პირის საბჭოთა ამქარში აღმოჩენაზე...ამის შემდეგ...ექვთიმე ბრუნდება სამშობლოში. ეპიზოდი დიდი ხანი მზადდება, ელოდები აპოთეოზს...რეზო ჩხიკვიშვილის ცრემლნარევი მზერა, მოლოდინის სიხარული, 24 წლიანი განშორების შემდეგ მშობლიური მიწის დანახვა...რომელსაც დიდი სიხარულით ხვდება ადმინანათა ჯგუფი, რომლებიც მათი ოფიციალური ჩაცმულობით, მანერებით და ინდივიდუალობა მოკლებული მახასიათებლებით ბიუროკრატიის წარმომადგენლებს უფრო ჰგვანან, ვინემ ექვთიმეს დანატრებულ თუნდაც ნაცნობებს...და მსახიობი, რომელსაც ყველანაირი შესაძებლობა აქვს რამდენიმე პლანი ერთად ითამაშოს, იწყებს მხოლოდ მონატრებულ სამშობლოსთან შეხვედრის (ერთი პლანის) თამაშს...მაშინ, როცა ჭეშმარიტად ღვთისკაცმა კარგად იცის საფრანგეთამდე ჩაღწეული წერილებით, ზეპირი გადმოცემებით, რომ საქართველოში წითელი ძაღლები დაბოგინობენ...მისი არა ერთი უახლოესი ადამიანი, მეგობარი ან უბრალო ნაცნობი დახვრეტილი ან გადასახლებულია...გადარჩენილები შიშით დამორჩილებულნი...ბრუნდება ოკუპანტის მიერ დაპყრობილ სამშობლოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრების წევრი, სამშობლოს თავისუფლების გულმხურვალე დამცველი და აპოლოგეტი...ბრუნდება და არც იცის რა ელის... უფრო სწორედ იმდენად იცნობს საბჭოთა რეჟიმს და მის თავკაცებს გუმანით მაინც ხვდებოდა რაც ელოდა...და ყოველივე ამ პირობების თუ წინაპირობების გარეშე - გათამაშებული მხოლოდ, სამშობლოში დაბრუნების სიხარული? მისი მიწის სიხარულით კოცნა? - მიწისა რომელიც უკვე გაჟღენთილია მისი იდეური თანამებრძოლების „დამკომის“ წევრების, ჯერდაუკაცებელი იუნკრების, დიმიტრი შევარდნაძის, ტიციანი და ბოლო-ბოლო 19 წლის მარო მაყაშვილის სისხლით... და ფინალში, იკვრება საბჭოთა ისტორიით გაჯერებული ქარგა ახალი მხატვრული ნანარმოებისა, რასაც საბჭოთა კონცერტის „პატრიოტულ“ პათოსს მატებს ვოკალური ანსამბლის საესტრადო ჟანრში შესრულებული „საქართველოო ლამაზო“...რომელიც ისეთ ანაქრონიზმს ქმნის 1945 წლის საბჭოთა საქართველოში ეროვნული მოღვაწის დაბრუნების მოვლენასთან, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენდა ყველას დასანანად, ფილმმა უდიდესი მოლოდინი ვერ გაამართლა... მაინც, გირჩევთ ნახოთ ეს ფილმი...თავად დაფიქრდეთ ექვთიმეს ბედზე თუ უბედობაზე, ერთი ცრემლი მაინც მიუძღვნათ ამ უდიდეს პიროვნებას, რომელიც საბჭოთა რეჟიმის განკარგულებით, ქართველთაგან დაუტირებელი 20-იოდე კაცმა გააცილა უკანასკნელ გზაზე და ეს 20 კაციც „ამ თავნებობისათვის“ იმიტომ გადარჩა აყვანას, რომ ექვთიმეს დაკრძალვიდან რამდენიმე დღეში ბელადი სტალინი გარდაიცვალა და აღარავის აღარაფრისათვის ეცალა, ერთის გარდა...მხურვალედ დაეტირებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის ჯალათი... ასე, რომ ეწვიეთ ქართულ კინო-თეატრებს და თქვენი ცხოვრების ორსაათნახევარს მაინც გაატარებთ ექვთიმე ღვთისკაცზე ფიქრში.

გიორგი სავანელი
დრამის რეჟისორი,
საშემსრულებლო ხელოვნების მაგისტრი.

არქივიდან - დაუბეჭდავი

ნეოსტალინელები

9 აპრილის ვანდალური აქტი, თავისი სისატით, წარმოადგენს ნეოსტალინიზმს საქართველოში. იმ სტალინიზმს, რომელსაც, თითქოს, ასე აღშფოთებით გმობს საბჭოთა რუსეთი, მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, გმობს სიტყვიერად, ხოლო საქმით კი კვლავ აპრობირებული პრაქტიკით მიმართავს სტალინურ რეპრესიებს. ხოლო, იოტისოდენა დანაშაულსაც არ გრძნობს ჩადენილი ბოროტმოქმედების მიმართ. ამ განცხადების საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ ჯერ-ჯერობით, არც ერთ ოფიციალურ პირს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფარისევლურ წუხილს) მონანიებით არ უღიარებია თავისი დანაშაულებრივი წვლილი 9 აპრილის ტრაგედიაში. არც ბატონი გორბაჩოვის მიმართვა „საქართველოს კომუნისტებისადმი და ყველა მშრომელებისადმი“ შეიცავს ამგვარ თვითკრიტიკას, არამედ, პირიქით...

ჩვენ, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე დანაშაულებრივ სახელმწიფოში გვიხდებოდა თანაცხოვრება. დღეს, კომპარტიის ლიდერები, მსოფლიოს წინაშე, თითქოს ესწრაფვიან სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, მაგრამ 9 აპრილის ტრაგედია, ვერაფრით იქნება ამის დასტური.

საბჭოთა ხალხმა, მუხანათური თავდასხმისათვის ფაშისტები უწოდა გერმანელებს (კაცობრიობის მაშინდელ მტრებს). დღეს კი ჩვენ, მუხანათურად (წინასწარი გაფრთხილების გარეშე) ალყაში მოგვაქცია და თავს დაგვესხა ჩვენი „უფროსი ძმა“ – რუსეთის წითელი არმია. მსოფლიოში ამ უპრეცედენტო ფაქტს, საერთაშორისო მასშტაბით უნდა მიეცეს სათანადო კვალიფიკაცია და ვიმედოვნებთ, რომ აუცილებლად მიეცემა.

სამოცდაათი წლის განმავლობაში, საბჭოთა ადამიანებს ურცხვად არწმუნებდნენ, რომ „ჩვენ ყველაზე ჰუმანურ და ყველაზე სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობთ“. გაცვდა ტყუილი და გაწამდა სული ტოტალიტარიზმის წნეხის ქვეშ. მოთმინების ფიალა აივსო. უსამართლობის გრძნობით დასნებოვნებულ გულზე კვლავ უღვთოდ გვაბიჯებენ ფეხს, სულში გვაფურთხებენ – გვაბრალებენ აგრესიულ ქმედებებს და უკეთურ ზრახვებს. ჩვენი ბრძოლის გზა კი მხოლოდ მშვიდობიანია, ხოლო მიზანი კი სამართლიანი – წარმოვადგენდეთ დამოუკიდებელ და თავისუფალ ერს.

ჩვენ გვაფიქრებს იდენტურობა ბატონ გორბაჩოვისა და ბატონ პატიაშვილის ჩვენდამი წაყენებული ბრალდებებისა, რომლებიც „ანტისაბჭოურ“ ლოზუნგებად ასახელებენ ჩვენს მიერ „საქართველოს დამოუკიდებლობის“ მოთხვნას. ჩვენ არ გავკადნიერდებით და არ ვთხოვთ მათ ჩაიხედონ კონსტიტუციაში და კანონთა კრებულებში, მაგრამ ფრიად გაოცებულნი კი ვკითხულობთ: კი მაგრამ, კანონები? კონსტიტუცია? მაშ, ანტისაბჭოური ყოფილა მთელი კონსტიტუცია.

ამგვარმა უმართებულო ბრალდებების რიგმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საბჭოეთში ცალკე დგას კონსტიტუცია და ცალკე ხალხი, წართმეული უფლებებით, რომ არსებული კონსტიტუცია საზღვარგარეთისათვის საჩვენებელი კონსტიტუციაა და ჩვენ კი (მოქალაქეებს) უფლებები არ გვაქვს მასზე.

ყოველივე ამის შემდეგ, რაც ჩვენი კანონიერი მოთხოვნების გამო თავს დაგვატეხეს მომხვდურებმა, ჩვენ აღარ გვნამს „გარდაქმნისა და დემოკრატიის“. ჩვენთვის ეს სიტყვები დღეს უკვე საზარელ სიყალბედ და გამაღიზიანებელ ფაქტორად იქცნენ. ჩვენ ვერ ვიწამებთ გარდაქმნასა და დემოკრატიას მანამ, სანამ სრული სახით არ იქნება აღდგენილი სიმართლე, სანამ, განურჩევლად რანგისა და თანამდებობისა, საკადრისი არ მიეზღვება მკვლელებს.

ბატონმა გივი გუმბარიძემ, ამა წლის 22 აპრილს გამართულ თბილისის საქალაქო კომიტეტის თათბირზე აღიარა თავისი წვლილი 9 აპრილს საგანგებო წესების შემოღების საკითხში, რისი გადაწყვეტილებაც მიიღო ცენტრალური კომიტეტის 8 აპრილის პარტიული აქტივის კრებამ, რომლის მუშაობაშიც 16 წევრიდან ბატონი გივი გუმბარიძეც იღებდა მონაწილეობას. მართალია ბატონი გივი ბრძანებს, რომ „პირადად ჩემთვისაც, კონკრეტულად არ იყო ცნობილი ამ ღონისძიების კონკრეტული განხორციელების გეგმა, დრო, ფორმები და საშუალებებიო“ (გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 25 აპრილი), მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთი განცხადება მას არ უხსნის პასუხისმგებლობას მომხდარ დანაშაულზე. უფრო მეტიც: ზემომოტანილი განცხადების სიყალბე დაადასტურა ბატონ პატიაშვილის გამოსვლამ დეპუტატთა Ш ყრილობაზე, სადაც მან თქვა, რომ „... იმავე შვიდ აპრილს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ გუმბარიძემ შემატყობინა, რომ ესაუბრა ცენტრს და თბილისში ჩამოდის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების რაზმი“.

ბატონ გივი გუმბარიძის სიტყვების მთელი სიყალბე დაადასტურა, აგრეთვე, ავადსახსენებელმა როდიონოვმაც იმავე ყრილობაზე: „ამ მოვლენების დროს კი ამხანაგ გუმბარიძეს ეკავა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი და იყო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი. მაშ, ვისთან უნდა იმუშაო, ვინ იტყვის აქ სიმართლეს? ყოფილი ხელმძღვანელები დუმან, ახლებმა ყველაფერზე უარი თქვეს...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1 ივნისი, 1989 წ.).

საკვირველია, რომ კვლავ გრძელდება ყალბი რიტორიკა მიმდინარე მოვლენებზე. პოლიტბიურომ მოუწონა და კომუნისტურ ღირსებად ჩაუთვალა ბატონ პატიაშვილს გადადგომის გადაწყვეტილება, როცა იგი თვითონ არ მისულა ამ აუცილებელ გადაწყვეტილებამდე, არამედ იგი აიძულეს გადამდგარიყო; მას მოსთხოვეს გადადგომა საქართველოს ინტელიგენციამ, ქართველმა დეპუტატებმა და ქართველმა საზოგადოებრიობამ, სტუდენტობამ. თვით ბატონმა პატიაშვილმა კი, აკადემიაში შეხვედრის დროს, ამ დრამატულ (გადადგომის) გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (არ ეთმობოდა რა ტახტი) სინანულით აღნიშნა: „მე მივდივარ მაშინ, როცა ვგრძნობ, რომ რაღაცის გაკეთება შემიძლიაო“, მაშინ როცა მას 4 წლის განმავლობაში სრული შესაძლებლობა ჰქონდა საქმით დაემტკიცებინა თავისი ერის სიყვარული, ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი. ბატონ პატიაშვილის სიტყვები და ხალხის ლოგიკური მოთხოვნაც მოისმინა ბატონმა შევარდნაძემ, მაგრამ მან მაინც, რატომღაც ასეთი რიტორიკული კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს: „საბჭოთა მთავრობის ისტორიაში თითქმის არ არსებობს გადადგომის ფაქტი“ და ასეთი ნაბიჯი ღირსებად ჩაუთვალა პატიაშვილს, რომელსაც თავის დანაშაულებრივ წვლილზე მონანიებაც არ გამოუთქვამს, არამედ მან განაცხადა: „მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარო“, რაშიც, ცხადია, პარტიულ სინდისს გულისხმობდა და არა, მორალურ–ზნეობრივს.

ვკითხულობთ ცენტრალურ პრესას, ვუსმენთ „ვრემიას“, ოფიციალურ პირთა გამოსვლებს და სამართლიანობის აღდგენის, ჭეშმარიტების დადგენის ყოველგვარი იმედი გვეკარგება. ცილისმწამებლური ბრალდებებით და ურცხვი ინტრიგით კვლავ და კვლავ ცდილობენ ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამართლებას. თავიანთი უკეთური მიზნის მისაღწევად, რას არ გვაბრალებენ: ანტისაბჭოურ ლოზუნგებს, ანტირუსულ განწყობებს, ეროვნებათაშორის შუღლის თესვას და ჩვენივე პატრიარქის ჩვენს მიერ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. დავიჯეროთ, მართლაც გულწრფელად შეაწუხა ისინი ჩვენი სულიერი მამის, უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს პატრიარქის ილია II–ის, ვითომდა ჩვენს მიერ შეურაცხყოფამ? მის დასაცავად დაგვჩეხეს და დაგვწამლეს?

პირიქით კი იყო: როცა აგრესორებმა მომიტინგეებს შორის დაინახეს პატრიარქი, ერთ–ერთმა მეთაურთაგანმა ჯარისკაცებს ბრძანებით შეუძახა: „ეი, პოპ, ბეიტე ეგო!“ რის შემდეგაც ჯარისკაცები პატრიარქისკენ დაიძრნენ. პატრიარქის გაყვანა ქართველმა მილიციელებმა მოასწრეს. ამის თვითმხილველი და გამგონეც თავად გახლავართ და სხვა შემსწრენიც ჰყვებიან.

რაც შეეხება პატრიარქის მოწოდებას დაშლის თაობაზე, პატრიარქმა სიტყვის დასაწყისშივე ბრძანა: „მე მთავრობას არ გამოვუგზავნივარ, არამედ ჩემმა მღვდლებმა შემატყობინეს, რომ ქალაქში უკვე შემოსულია ჯარი და ყოველ წუთს მოსალოდნელია მათი აქ შემოსვლა და მოგიწოდებთ გადავინაცვლოთ ქაშუეთისა და სიონის ეკლესიებში“, რაზეც პატრიარქმა მიიღო ქართველი ერის ერთხმიანი და ერთსულოვანი პასუხი: „არა!“ და ეს, არამც და არამც არ იყო ქართველი ერის უპატივცემულობის გამოვლინება თავისი სულიერი მამისადმი, არამედ იქ, იმ დროს ისეთი ამაღლებული განწყობა სუფევდა, რომ თვით რომელიმე ლიდერთაგანს, თუნდაც გამსახურდიასა და კოსტავას, რომ მოეწოდებინა თვითდაშლისაკენ, ხალხი, არც ამგვარ მოწოდებას მიიღებდა და არ დაიშლებოდა.

ქართველი ერის იმღამინდელი ერთსულოვნება და სულიერი სიმტკიცე, უთუოდ იგრძნო პატრიარქმა, რომელსაც თურმე გამოძახილი უპოვია მის წირვაში, რომელიც მას მეორე დღეს სიონის ტაძარში ჩაუტარებია.

მე, სამწუხაროდ, არ შემეძლო მეორე დღეს ეკლესიაში წავსულიყავი, რადგან ფიზიკურად ნაცემი და სულიერად განადგურებულნაგვემი უსასოოდ ვეგდე საწოლში. პატრიარქს კი უთქვამს შემდეგი: „ქართველი ერი ისეთი ამაღლებული არ იქნებოდა ჩემს თვალში, როგორიც დღეს არის, ჩემს მოწოდებაზე რომ დაშლილიყოვო“ და რწმენით დაუძენია, რომ ასეთი სულმტკიცე ერი ღირსია თავისუფლებისაო.

მე არ ვიცი, სიმართლის რაოდენ მარცვლებს შეიცავს ეს მონაყოლი, მაგრამ ვფიქრობ, პატრიარქმა აუცილებლად უნდა მისცეს განმარტება პრესასა და ტელევიზიას მის ირგვლივ აგორებულ ტყუილ-მართალზე. აგრეთვე, ერთი სპეციალური გადაცემა უნდა მოეწყოს საკავშირო ტელევიზიისათვისაც, როგორც პასუხი, რადგან საკავშირო პრესა და ოფიციალური პირნი ეწევიან პოლიტიკურ სპეკულაციას ჩვენი პატრიარქის სახელით, პატრიარქი ამის საჭიროებას, ალბათ თვითონაც გრძნობს და უმორჩილესად ვთხოვთ მას, თუ მართალია, დაადასტუროს სიონის ფაქტიც.

ჯარისკაცები, რა თქმა უნდა, ბრძანებისამებრ მოქმედებდნენ, როცა ორლესულ ბარებს, გაზებსა და მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ვინ შთააგონა მათ ის სიტყვები, რისი თანხლებითაც გვისწორდებოდნენ? როგორ ერთბაშად დაიმსახვრა ჩვენი რწმენა „სამართლიან“ და „მშვიდობიან“ საბჭოთა არმიაზე, რომლის ნაწილსაც ჩვენი ქართველი ჯარისკაცებიც წარმოადგენენ. ახლა კი ისინი ჩვენს თვალწინ წარმოჩინდნენ, როგორც შეუწყნარებელი მკვლელნი, როგორც აგრესორები. სხვა ეპითეტს მათ ვერ შევუფარდებ, როცა, თურმე, ერთი ფეხმძიმე ქალი (ალბათ, ელისო ჭიპაშვილი) ევედრებოდა მათ „ფეხმძიმე ვარ და ნუ მომკლავთ„ო, ჯარისკაცებმა უფრო გაავებით დაუწყეს ჩეხვა ცინიკური შეძახილებით: „ახ, ბერემენა? ვოტ ტებე ბერემენა! ვოტ...!“

სატელევიზიო გადაცემა „მოამბეში“ მოწვეულმა ჩვენმა იურისტებმა გამყრელიძემ და ლილუაშვილმა განმარტეს, რომ როგორც ჯარების უფროსს არა აქვს უკანონო ბრძანებების გაცემის უფლება, ასევე, არც ჯარისკაცებს აქვთ ამგვარი უკანონო ბრძანებების აღსრულების უფლებაო და მოცემულ შემთხვევაში ორივე მხარე ერთნაირად ისჯება, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენიო.

ჩვენი სახელმწიფო ერთადერთი პარადოქსალური სახელმწიფოა, სადაც რაგინდარა ჯურის დამნაშავეებს გარანტირებული აქვთ თავისუფლება, ხოლო უდანაშაულო ადამიანები ციხის ბნელ და ნესტიან დილეგებში იტანჯებიან.

დღემდე ვერ მივმხდარვარ, რაში მდგომარეობს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გია ჭანტურაისა და ირაკლი წერეთლის დანაშაული, როცა მკვლელები კვლავ თავისუფლები არიან და თანამდებობებზეც სხედან? როცა ამ ლიდერთა მთელი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ მათაც იწამეს ყბადაღებული გარდაქმნისა და დემოკრატიის, დაიჯერეს, რომ „გარდაქმნილი“ მთავრობა ორლესულ ნიჩბებს არ აღმართავდა მშვიდობიანი დემონსტრაციის დასაშლელად.

ყალბია მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის“ თაობაზე, რადგან საზოგადოებრივი წესრიგი მათ არ დაურღვევიათ და არც შეეძლოთ დაერღვიათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი მიტინგს წარმართავდნენ მთავრობის სახლის მაღლივი საფეხურებიდან, ხოლო ტრანსპორტისა და მოქალაქეების სავალ გზასა და ტროტუარებზე ვიდექით ჩვენ, ათასობით ადამიანი, რომლებიც საკუთარი ნებით მივედით იქ. ხოლო, ლიდერები კი, პირველ დღეებში, ხმის ჩახლეჩვამდე მოგვიწოდებდნენ – არ გადაგვეკეტა სატრანსპორტო გზა. შემდგომ დღეებში ამ მოწოდებამ აზრი დაკარგა, მომიტინგეების მოზღვავების გამო.

ამგვარად, „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებად“ უნდა ჩავითვალოთ ჩვენ, ხალხი და არა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერები. თუმცა ჯერ, როგორც იუწყებიან, მიმდინარეობს გამოძიება და მათი ეს ბრალდება დამტკიცებული არ არის და შესაძლოა მოეხსნათ კიდეც. საკითხავია: რატომ არ არის წინასწარ პატიმრობაში აყვანილი თუნდაც ერთი თანამდებობის პირი, მაშინ როცა მათი დანაშაულობანი სახეზეა და თითქმის ფაქტადაა ცნობილი?

საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა 5 მაისის ქალთა მიტინგის შესახებ. ეს გახლდათ პირველი მასობრივი ქალთა მღელვარე მანიფესტაცია. მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრობა, ოდითგანვე დიდ მისიას აკისრებდა საქართველოს ქალებს და მათაც ღირსეულად უტვირთიათ ეს ღვთიური თუ ისტორიული მისიები. ნიშანდობლივია 5 მაისის ქალთა მანიფესტაციაც. ნუ დავიმშვიდებთ თავს მამაკაც ლიდერების ციხეებში იზოლაციით. გახსოვდეთ: მანდილთან ერთად, ქართველ ქალებს ხმლისა და დროშის ჭერაც ხელგვეწიფება. არ არსებობს ძალა, რომელიც ჩვენში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობებს შეაჩერებს. ჩვენ უკვე ვეღარ შევეგუებით სოციალისტურ შირმებს, კომუნისტურ ნიღბებს, ტოტალურ სიცრუესა და ორპირობებს. ჩვენ აღარ დავმორჩილდებით პირველყოფილ ტოტალიტარიზმს, რაც მოუთმენელია დემოკრატიზმში და ყოვლად შეურაცხმყოფელია ცივლიზებული ერებისათვის.

როცა ჩვენს კონსტიტუციურ მოთხოვნას, ანტისაბჭოურად რაცხავენ, როცა ცილს გვწამებენ, როცა შურისგებით გვისწორდებიან („ზა სტალინუ!“), როცა ქალებს შეგნებულად გვკლავენ („ჩტობ ნი რაჟალი“), როცა თავისუფლების სურვილისათვის ბარბაროსულად გვჩეხავენ („სვაბოდუ ზახატელი...“), ჩვენ უფრო სულმწარედ და აუცილებლობის სიმტკიცით ვშლით ლოზუნგს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რომ გადავრჩეთ...

ლეილა ცოფაია

ამ წერილის ჰონორარი (თუ იგი დაიბეჭდა), მსურს გადავრიცხო „9 აპრილის“ მემორიალის ასაგებ ფონდში (არ დამიბეჭდეს - ლ.ც.)..

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ველარ იხარეს ისე დაჭკნენ ატმის კვირტები

(დროის მოზაიკა)

ველარ იხარეს ისე დაჭკნენ ატმის კვირტები; სად გაქრა ცხოვრების ლამაზი ფერი? ატმის კვირტების აფეთქებას ჰგავდა სიყმაწვილე, დაჰკრავდა მზისფერი... და, ნათელ დღეთა შორის იშვა შავი სიღამისე... როგორ ვუძლოთ დროს შემოტეულს - მშიერ ქორის თვალთა კვესებით, რა წაგგვგლიჯოს ამას რომ ელის... ვით შევუერთდით შემოდგომის გაცრეცილ ფერებს, სულმიხდილ დღეებს?! აკაფულ ვაზთან დამხობილა დამაშვრალი ამაოდ მეზვრე!.. ვინ იყენებდა კაცთაგანი წინათ გამარჯვების უკეთურ წესებს! ვინ მიაგებდა ანდა პატივს უღირსთა მეჯლისს... წაგებულ ყოფას სიხარულად ვინ მიითვლიდა...

მორალის ჯებირს - ფეხმორღვეული ვერ ალაჯებდა. დღეს კი სწორ გზაზეც იოლია ფეხის დასხლტომა. იმდენად დიდი იყო სიყვარული, მტერთაც ვაწვდენდით... დედაც ხომ მუდამ დედა იყო, თუნდაც კი მტრისა ყოფილიყო და იწერებოდა ბალადა- „ვეფხისა და მოყმისა“ სიბრალულ -სიყვარულის საგალობელი. იდგმებოდა ლიტერატურული ძეგლი მუცალის - მტრის ღირსებისა. სიყვარული ჩამოდიოდა ციდან ოქროს ბილიკით, გული თავად იკვლევდა გზას იმ ბილიკისკენ, ცვილივით დნებოდა სიყვარულის ალზე. ერთდროულად ვიყავით მიწის და ცის ბინადარნი; ამქვეყნად მყოფებს არც ის ქვეყანა გვავიწყდებოდა... მოქანცული ირმებივით ვისვენებდით და ცისკენ გვეჭირა ამაყი მზერა... და დროც რბიოდა გაბედული რაშის ჭენებით, ახლა დაქანცულ ცხენის თოხარიკს რომ ჰგავს უღიმღამო სვლა... საით გასწიეს ლაგამამოდებული დროის მხედრებმა ასე ერთობლივ?!

სად გაქრა ადრეული მზეშერთული, ნათელი გული? ჩვენ დაუკეცავ ცადაღმავალ ლაღი ფრთებით სივრცეს ვწვდებოდით, მტრის ისარსაც არ ვიხვედრებდით, მყისვე ვიცდენდით.

სად დაიკარგა ანდა ბავშვის ბავშვური ცქერა - მისი შემოხედვა პირველი აკორდის აღებას რომ ჰგავდა? იღვრებოდა ჩვენში მისი სულის სუფთა მუსიკა... სად მიყუჩდა სულში სამყარო, რომელიც მუსიკად რეკდა?!.. მართლაც ჰგავდა ღვინის ზეიმს და მარნის გახელებას- ქართული სისხლის დუღილი... ყველა წინაპარი თავს იყრიდა უფლის ვენახში, იქიდანაც კი გვპატრონობდნენ... მათი კვალით ლაღად ვიდოდით...

ყინულშერთულ ყოფას შევდგომივართ... თავს ველარ ვიმაგრებთ და სხვასაც ვაქცევთ... სად ჩაიკარგა ბავშვის მზერა -ალალმართალი, ჩვენი არსებობის საათს რომ ასწორებდა, გამრ“უდდა რაღაც. შთაინთქა ქალის ტაატ-ნარნარი, გამოხედვაში ანგელოზი რომ ბინადრობდა. სად გაქრა ვაჟის ქცევა, მამრული, ლომფერი რომ გადაჰკრავდა და არწივივით როცა იყო ლაღი, ამაყი! თანდათან ვეთვისეთ ცოდვას - ღელედ რომ იდგა და ნიაღვრად მოსკდა.

დღეს ჩვენში მეფობს ქაღალდის მეფე, კუპიურა და მასთან ყოველი პატარად მოჩანს... (აღარ დაილია ვერცხლთა ლაქია და ვერცხლმოყვარე); ის მრავალთათვის გადაიქცა ღმერთის მონაცვლედ და გაიბა ანგარების შავი ხლართები... სიცოცხლეც მოექცა მის ჭრელ ბადეში! ყოველივეს დამღად ატყვია კვალთა სიშავე... მაშინ, როდესაც ღვთივრჩეული ერი ვიყავით; მერმე რა იყო?! მტერს ჩავაბარეთ დედა- ციხე და შეისვა თასი ღვინის უხამს ტუჩებით!

სად გადაშენდა ქალი მზევინარი - გაუტეხავი, უნდო, გიჟმაჟი, საკუთარ სულის დედოფალი, - ანდა სანათა?! ბერი ლუხუმი?! - გმირი, ღმერთკაცი, თავის ღირსებით გველსაც რომ გაწვრთნის... სად გაქრა ოთარაანთ ქვრივი -კალთა სიშავით, ბედს შეჭიდებული ამაყი ქალი, რკინებრ უტეხი, სევდა უთქმელი, მანდილმოუხდელ-შეურცხვენელი... მაშინ არცკი ტორტმანობდა ასე სამყარო, რადგანაც გოლიათთა სვლის ჟამი იყო. ღმერთმა აცხონოთ, მათი სახე ვინაც ჩამოქნა! ვინაც დაუღალავ საწუთროს ჯარას არსით ჩამორჩა...

სადღაა ტატო? ისევ რომ ვნატრობთ... ღონემიხდილ ტაატით ხან რომ მიემართებოდა მთაწმინდისკენ - უსასოობაში ერთადერთი სასოებისკენ... მზე ვით ჩაუქრა მერანის პატრონს?! თავს ძლივს იკავებდა შემღვრეულ მიწაზე და კოჭლმა დრომ ისიც დააკოჭლა, მაგრამ ბუმბერაზის სვლით გაიარა... გამკვალავმა სამერმისო საზრდო -ხნულების, თვით დაღდასმულმა, გააბიჯა სიდიადეში! ასეთნი უფალს სიცოცხლეში უწყობენ ფეხსაც და უფლისმიერ კვალსაც ტოვებენ, თუნდაც ქვეყნად მარტოდ ვიდოდნენ...

ჩვენში მუდმივად თავგანწირვა - სიდარბაისლე ერთადერთობდა; ერი და ბერი თავად ჰგავდა გოლგოთაზე ასულ მაცხოვარს! არც დაკარგულა, ახსოვდა ვისაც - „ვისი გორის ვართ"?! საკმეველივით კაცნი შემორჩა!. უთვალავ-უკლებლობა მათი ღმერთს სურდა... დღესაც იმ გმირებს ისევ ველით, ბუმბერაზი ნაბიჯებით მოვარდნილ ვეფხვის, იქნებ როგორღაც დაიძლიოს ეს ნავსი ბედი!

და სულში ისევ რეკენ ტკივილის ზარნი!.. ვიღაც, როგორც მტერი, შიგნიდან გვარღვევს სანამ რამეს მივხვდებით... ანდა მივხვდებით?! მობიბინე მინდვრების ნაცვლად ახლა მოჩანს ნახანძრალი ხოდაბუნები... დაგვიანდება, სანამ კიდევ რამეს მივხვდებით! ველარ იხარეს ისე დაჭკნენ ატმის კვირტები...

აგვიხდა თითქოს ღამეული მუქი სიზმრები... როდის მივხვდებით, ანდა მივხვდებით?! ისევ მაწვალებს შორეული ტკბილი ხილვები... დღეს გზას მივყვები მარტოდმარტო, უფლის იმედით! თვალს ვარიდებ გარშემო ლანდებს, ლიბრი მზერით, ლიზღი ქცევით, თითქოს მხარნაქცევთ და მოვუხმობ იმ წინაპრებს -ღირსეულთ, ნაღდებს! მე ჩემს სულში ვგრძნობ მათ ნაკვალევს და ცხოვრებას ჩემსას დღესაც ვაწყობ მათი კარნახით... ადრე სინათლეც მეტი იყო, ვიდრე წყვდიადი... სიცოცხლის ძარღვი კვლავაც ფეთქავს მათივ წიაღში...

და რამდენგზის უკვე გაზაფხული კვლავ შეგვიანდა!

და ასე გაჩნდა ულმობელი ბედის იარა, სანამ ისევე არ აღსდგება ერისშვილობა! განა, არა სჯობს კეთილ საქმეს ვყავდეთ ზიარად, განა არა სჯობს?! დაიბადო ერთხელვე და სამარადჟამოდ, - არა მედროვედ დაიბადო ან წარმავალად, მართლაც მედროშედ დაიბადო.. არ დაახანო, არ დააღამო... რომ მოევლინო ქვეყნიერებას სამერმისოდ და სამარადჟამოდ, განა არა სჯობს?! არც ვის უმტყუნო, არც ვის უმუხთლო...

ვინ შეედრება ანდა სიყვარულით მოსავფერდაკრულს... რა დაედაროს შეუსუსხავ მზიან სამყაროს...

ველარ იხარეს ისე დაჭკნენ ატმის კვირტები... და ახლა რატომღაც მოწეულა ნაყოფი სევდის.... და რომ იცვალა ცხოვრებამ ფერი, - როდის მივხვდებით?!... ანდა, მივხვდებით?!

კვლავაც ანთია გაზაფხულად გულშიც იმედი, ოდესღაც მაინც იხარებენ ისევ კვირტები!..

ლალი ბარძიმაშვილი,
ფილოლოგი, მკვლევარი.

ლიტერატურული გვერდი

განცდაც შუქია

ეგებ დარდია ფერმიხდილ ვაზის,
თითქოს ჩამქრალა ნათელი მთვარის,
შორია გრძნობა როგორც სიზმარი,
ქარში ფარფატებს ობოლი ჰანგი.
ვალის მოხდაა თითქოს ყველასი,
სადღაც მოთმენაც ჯიბრით თასს დაცლის;
რეკს მოლოდინი შვების და ახლის...
გულს სიყვარული არცროდის დაღლის.
დიან ფიქრები ჭენებით რაშის;
ცეცხლად ჩახჩახებს მზის სხივი სარკმლის...
განცდაც შუქია პაწია სანთლის,
და როგორც ექო შემოკრულ ზარის,
ზეცად იჭრება ლაღი ნავარდით!..
ბედისწერა კი ნელი ტაატით,
ცხოვრებასა რთავს სევდით ნაქარგით;
დაე, დაეტყოს გულს ყველა ბზარი,
-სიცოცხლე მქონდეს ღმერთის სადარი!

გზა ვინ მასწავლა

გზა მიმასწავლეს - არსაიდან,- გზა მიმასწავლეს,
გზა მიმასწავლა - განა ხეთა, განა ყვავილთა,
გზა მიმასწავლა ეტრატებმა, კიდევ ტაძრებმა,
საფლავებმა თუ წარწერებმა - სიძველის ნაშთმა.
გზა მიმასწავლა ცურტაველმა, ბერმა ხანძთელმა,
იოანემ და სულხაბ-საბამ, კიდე დავითმა...
გზა მიმასწავლა ბაგრატოვანთა ჯვარმა,
მანდილმა,
ცრემლმა, მახვილმა, ქარტეხილად რამაც გვაწვიმა.
გზა მიმასწავლა - ნიკორწმინდამ, ზარზმამ,
ვარძიამ,
მღვიმემ, უდაბნომ, ბერთა სევდამ, ვაჟას არწივმა!
უტას მარჯვენამ, კონსტანტინეს - ლანდთა
ლაციცმა;
გზა მიმასწავლა ტატოს ტრფობამ თუ
ფიროსმანმა!..
გზა მიმასწავლა ყოველივემ, რაც ცრემლად იშვა...
ვით მეციხოვნე ერთგულებით ამ გზასვე ვიცავ;
ნეტა, რომელი ჩამოვთვალო - ვის კვალსაც ვფიცავ!
და ველოდები გზის სიმძიმეს იტვირთებს ვინაც...

ლალი ბარძიმაშვილი

ალექსანდრე სანდუხაძე

სხვისგულა

დღე-ღამის გასაყარს გაახილა თვალი. ძილში დაღლილიყო და დაეზარა სარკმლისკენ გახედვა. ისევ მიეცა ძილბურანს.

რამდენიმე საათში ისევ შეაფხიზლა ჩურჩულმა. გახარებული თეთრხალათიანები ერთურთს ულოცავდნენ წარმატებას. მას კი ვერა გაეგო რა ხდებოდა.

ძალ-ღონე მოიკრიბა. თვალი შეავლო პალატას. დოლბანდით პირაკრული ხუთიოდე ადამიანი მონიტორს ჩასცქეროდა გახარებული თვალებით. არაქათგაცლილს მისალმების თავიც აღარ ჰქონდა. მილულა თვალები და კვლავ გაეხვია ბურანში.

შუადღისას შეფხიზლებულს ოთახი ეუცხოვა. გაცილებით მომცრო იყო. პალატაში წამოწევა სცადა, მაგრამ არაქათი აღარ ეყო. ახლაღა შეამჩნია მაჯაზე დამაგრებული წვეთოვანი, ბინტით შემოსილი გულ-მკერდი.

თავს ძალა დაატანა, ცდილობდა გონს მოსულიყო. ბუნდოვნად წამოტივტივდა საწყისი. სამსახურში მიიჩქაროდა. უცებ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო, წაბარბაცდა, ხმის ამოღებაც ვერ მოასწო და გონი დაკარგა. მერე აღარაფერი ახსოვდა.

გაიღო პალატის კარი და თავი შემოჰყო ახალგაზრდა ქალბატონმა. დაინახა რა გამოფხიზლებული მწოლიარე, ხალისიანად გაუღიმა და მიულოცა ბედნიერი დასასრული.

-ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა, ხინჯის გარეშე, წარმატებით და რამდენიმე კვირაში კვლავ დაუბრუნდები ცხოვრების ჩვეულ რიტმსო, - მიახარა.

ექთანმა, შეატყო რა გაოცება ავადმყოფს, მოკლედ აუხსნა ვითარება, გულმა გიმტყუნაო, საბედნიეროდ მალევე მოხერხდა საავადმყოფოში მოთავსება და დოსტაქართა ძალისხმევით, მათი რამდენიმე სააათიანი ბრძოლის შედეგად სიცოცხლე გრძელდებაო.

მხოლოდ ახლაღა მოშორდა ბურუსი მის გონებას. მიხვდა, სამსახურის ნაცვლად სადაც ამოეყო თავი.

ხვალ კი ოჯახსაც შეეძლება შენთან ურთიერთობაო. სიკეთე უსურვა და პალატიდან გავიდა.

საავადმყოფოდანაც გაეწერა. რამდენიმე ხანი სახლში ყოფნა ურჩიეს ექიმებმა.

შინ კი უცხოდ გრძნობდა თავს. მშობლების, ცოლშვილის ზრუნვა და ალერსი ეხამუშებოდა. ვეღარ პასუხობდა სათანადოდ. ყველანი ეუცხოვა. ახლობლები იმედოვნებდნენ, სულ ცოტაც და ისევ ისეთი გახდებაო, ყველაფერს მომხდარ განსაცდელს მიაწერდნენ.

დრო გადიოდა. ის კი ძველებურად გულგრილი რჩებოდა გარშემო მყოფთა მიმართ.

ყველა გრძნობდა და განიცდიდა მის გულგრილობას. თითქოს სახლში უცხო ადამიანი შეუსახლესო.

ვეღარც თანამშრომლები და მეგობრები ცნობდნენ. სულ დაჰკარგვოდა ძველებური ხალისი და ჟინი. ათასი მხიარულობის წამომწყებისთვის გარშემომყოფნი უცხოებად ქცეულიყვნენ. ვეღარ პასუხობდა მათ მხიარულ, მეგობრულ დამოკიდებულებას სათანადოდ. ვერვის გაეგო და ამოეხსნა მისი ამგვარი გარდაქმნა. რამოდენიმემ კიდეც შეჰკადრა უეცარი გაუცხოების შესახებ.

გონება დროდადრო ეწმინდებოდა. ისხენებდა წარსულს. ძალას იკრებდა თავისთავში დასაბრუნებლად, მაგრამ...

მაგრამ გული სხვაგან გარბოდა, თითქოსდა გზაკვალი არევია. სულ ხვა რაღაცას ეძებდა. სულ სხვაგან დახეტიალობდა. დაკარგულს ეძებდა გული. ..

გონება ეურჩებოდა. დაღმა მიმავლს აღმა ეძალებოდა. აბრუნებდა სათავისოში, მაგრამ გული მაინც თავისას შვრებოდა. გარბოდა. რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდა, მაგრამ ამაოდ, ვერ ეპოვნა.

შინ მისული წაიხემსებდა თუ არა, მაშინვე საკუთარ ოთახში იკეტებოდა. გონება იბრძოდა, გული ეურჩებოდა.

მის ამ ყოფას მწარედ განიცდიდა ოჯახი. ვერას აწყობდა. ვერას ახერხებდა. სასოწარკვეთილნი ხელებს ასავსავებდნენ და ბედს ემორჩილებოდნენ.

რა იქნება ხვალ?

ხვალ კი გუშინდელი დღე დგებოდა. უცხო და უბირი. ცივი და გაუსაძლისი.

ყველაფერ ამას უპირველესად ბავშვები მიხვდნენ. იგრძნეს, რომ დაჰკარგეს მოსიყვარულე, ალერსიანი და მხიარული მამა. მამის მკერდში უკვე სხვა გული ძგერდა. მათთვის უცხო და ცარიელი. მაგრამ ვერ ამხელდნენ. პატარა გულები არ ანებებდნენ.

ერთ დღესაც ადგა და წავიდა. წავიდა დაკარგულის საპოვნელად. დიდხანს ეძება. ამაოდ.

მერე გონებამ მოკრიბა ძალა და შინ დაბრუნება უბიძგა.

გონება ეურჩებოდა, ძალას ატანდა, გაეცინა, ემხიარულა, გულში ჩაეკვრა თავისები, მოფერებოდა. მაგრამ ეს ოხერი გული ჯიუტობდა. ვერ მოთოკა, ვერ დაიმორჩილა.

დიდხანს ებრძოდა ახალი გული და ძველი გონება ერთურთს. ერთ დღესაც დაიძინა და...

ვეღარ გაუძლო სხვისი გულით ცხოვრებას, ვერც გულმა გაძლო სხვის საგულეში ფეთქვა. ..

მხოლოდ მეზობელი, დეიდა მარო წვდებოდა ყველაფერს. მტირალს ესლა აღმოხდა: სხვისგულა გახდაო. ..

ჩემი თანატოსი

მარი ბურდული

ყოველთვის ვიცოდი, რომ ამ ამბავზე ადრე თუ გვიან რამეს დავწერდი, მაგრამ მინდოდა გამარჯვების ისტორია დამეწერა და ამიტომ, ველოდი გამარჯვებას... მერე მივხვდი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მე უკვე გავიმარჯვე, რადგან ყოველი დღე, რომელიც ჯერ კიდევ თენდება, რომელშიც არ არის ფიზიკური ტკივილი და ყოველი დღე, რომელშიც არ არის... ბევრი სენტიმენტალური რამ -უკვე გამარჯვებაა... რატომ ვწერ? იმიტომ რომ სხვა ადამიანებს, რომელიც ჩემს გზას გადიან, შეიძლება რამეში დავეხმარო. იმიტომ, რომ ჩემს თავს დავეხმრორადგან როცა წერ, თითქოს მშობიარობ სათქმელს, თავისუფლდები და მერე, ჭიპლარგადაჭრილზე, უფრო იოლია გვერდიდან შეხედო, ცოტა დაშორდე და ახალი რეფლექსიები გაიჩინო. ჩემი დიაგნოზია თვალის ავთვისებიანი მელანომა, მეტასტაზირებული ღვიძლში და ძვალში, მეოთხე სტადია. უკვე დიდი ხანია ეს დასახელება არ მაშინებს და მე მოგიყვებით, როგორ მოვიშინაურე ჩემი თანატოსი...

2014 წლის ერთ მშვენიერ საღამოს ჩემმა ერთ-ერთმა შვილმა, რომელიც მაშინ 2 წლისაც არ იყო, თამაშისას ფეხსაცმლიანი ფეხი თვალში ძალიან მწარედ ჩამარტყა. მაშინ მივხვდი „თვალიდან ცეცხლების გაყრა“ რომ სულაც არ არის მეტაფორა, მაგრამ, რა თქმა უნდა, თხუთმეტ წუთში გადამავიწყდა ეს ამბავი. მეორე დღეს, სამსახურში, მოულოდნელად, ერთ წამში მარცხენა თვალში ჩამობნელდა, თითქოს წარმოდგენა დამთავრდა და შავი ფარდა ჩამოუშვეს - ვეღარ ვხედავდი. დაუყოვნებლივ წავედი ექიმთან, რომელმაც თვალში ჩამხედა და ძალიან შეფიქრიანებულმა მითხრა, ბადურა გაქვს ჩამოშლილიო. სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაიკეთო ბადურის აღდგენისო, მირჩია კიდეც, საოპერაციოდ თურქეთში წავსულიყავი. რა თქმა უნდა, არ იყო კარგი ამბავი და, რა თქმა უნდა, სხვა ექიმების აზრის მოსმენაც მინდოდა, ამიტომ გადავწყვიტე მეორე დღეს კარგი რეპუტაციის ყველა ოფთალმოლოგთან ჩამომევლო. იმ საღამოს, ექიმისგან გამოსული, უკვე მივხვდი, რომ რაღაც ახალი გამოცდილების წინაშე ვიდექი - ცალი თვალით სამყაროს აღქმის უცნაური გამოცდილების წინაშე. ასევე, შევიძინე სრულიად ახალი შიში, რომელიც იქამდე არასდროს მქონია - სიბრმავის შიში. წარმოუდგენელია დაიჯერო, რომ ასე, ერთ წამში შეიძლება შეწყვიტო კავშირი სამყაროსთან, ველარ დაინახო შვილები, მზე ... (აი, ხომ ვამბობ სენტიმენტალური და ბანალური ამბავია- მეთქი)... მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ექიმს ასჯერ დავადასტურებინე, რომ მეორე თვალი სრულიად ჯანმრთელი მქონდა, იმ ღამეს მაინც არ მძინებია - მუდმივად ვამოწმებდი მარჯვენა თვალის მხედველობას. რა თქმა უნდა, ერთი თვალით სხვანაირია სამყარო, სანამ ტვინი ისწავლის ერთი თვალით მიღებული ინფორმაციის ისე ასახვას, რომ ის (სამყარო) ისეთივე მშვენიერი იყოს, როგორც ბინოკულარული მხედველობისას.

მეორე დღეს, დილაადრიან წავედი ერთ-ერთ ცნობილ ოფთალმოლოგიურ კლინიკაში. ამ დროს ჯერ კიდევ ძალიან „შენახული“ და საღი ვარ, ფსიქიკისა და გამკლავების მექანიზმების თვალსაზრისით და ამიტომ, მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მე ოპერაციას გავიკეთებ და ისევ ორივე თვალით დავინახავ.

ექიმი, რომელიც ჩემს მარცხენა თვალს სპეციალური აპარატით ჩასცქერის, ცოტა ხანში კოლეგებს უხმობს და ძალიან მოზომილი და მწირი ვერბალური გამოხმაურებებით იფარგლება. მე რატომღაც, ძალიან კარგად ვერკვევი უთქმელ რაღაცეებში. შეიძლება ემოციური ინტელექტის გამო, ან იმის გამო, რომ პროფესიიდან გამომდინარე სხეულის ენაზე ერთი-ორი წიგნი წამიკითხავს, ძალიან კარგად მივხვდი, რომ ჩემი ექიმები იყვნენ შეშფოთებული და რაღაცას მალავდნენ. მე კვლევების ჩამონათვალს ჩავხედე - თავის ტვინის კომპიუტერული კვლევა, მუცლის ღრუს კომპიუტერული კვლევა, ფილტვების რენდგენი და ა.შ. ... მივხვდი, ყველაფერს მივხვდი- იქამდე არც კი გამეგო თვალის პრობლემიდან თუ შეიძლება დაწყებულიყო ეჭვი კიბოზე, მაგრამ ფაქტია ამ კვლევებით ეძებდნენ კიბოს უჯრედებს ჩემს სხეულში. მაგრამ ხომ გახსოვთ, მე ამ დროისთვის ძალიან საღი და „შენახული“ ვარ, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ მე კიბო არ მაქვს, რომ გავიკეთებ ოპერაციას და ისევ ორივე თვალით დავინახავ.

აი, ხომ ვამბობდი, ჩავიტარე ყველა გამოკვლევა, და არსად, არც მუცლის ღრუში არც ფილტვებში არც თავის ტვინში არც ერთი საეჭვო უჯრედი არ აღმოჩნდა. მხოლოდ მარცხენა თვალის არეში დადგინდა, რომ იყო სავარაუდოდ სისხლჩაქცევა, ამიტომ 6 თვის შემდეგ დამიბარა თავის ტვინის „მკვლევარმა“ ექიმმა, რომ დავრწმუნდეთ ჰემატომამ თუ გაიწოვაო. მოკლედ, მე ძალიან ბედნიერი ვარ, დავცინი თვალის ექიმებს, რომლებმაც ღმერთო ჩემო ეს რა „მოიგონეს“ და ასე შემდეგ... ახლა მხოლოდ მარცხენა თვალის სიბრმავეს უნდა ვუშველო. ამისთვის, ახალ ოფთალმოლოგთან მივდივარ. ახალი ოფთალმოლოგიც ჯიუტად დუმს, ისევ ვამჩნევ, რომ რაღაც ძალიან უსიამოვნოზე ფიქრობს და არ ამბობს. ეს იყო პირველი ექიმი, რომელმაც ღიად მითხრა რომ 99 %-იანი სიზუსტით შეუძლია თქვას, რომ მარცხენა თვალში მაქვს ავთვისებიანი სიმსივნე, რომლის სახელია მელანომა და, რომ მოსალოცად მაქვს საქმე, რადგან „სხვაგან არაფერი არ არის“ და მეორე თვალიც სრულიად ჯანმრთელია. მას შემდეგ კიდევ სამმა ოფთალმოლოგმა დაადასტურა ჩემი დიაგნოზი.

კარგად არ ვიცი რომელი ზმნა შეესაბამება ამ ოპერაციას - თვალის „ამოჭრა“, „ამოღება“, „ამოკვეთა“ თუ რა, მაგრამ სამედიცინო ენაზე მას ენუკლიაცია ქვია და მეც ასე მოვიხსენიებ, უფრო ცივილურად და ნაკლებ ბრუტალურად ჟღერს. გადაწყდა, სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს მარცხენა თვალის ენუკლიაცია, სიმსივნე იმხელაა, სხვა მეთოდებით - დასხივებით და ა.შ. მისი მკურნალობა არ განიხილება. თვალს ამომაჭრიან, ის რაც მის ადგილას რჩება, ალბათ ძალიან გავს გამოქვაბულს, მაგრამ თურმე თანამედროვე მედიცინას ამ „გამოქვაბულის“ ამოვსების ათასგვარი მეთოდი სცოდნია-იმპლანტები, ფირფიტები, ხელოვნური, მაგრამ ბუნებრივთან ძალიან მიმსგავსებული კერამიკის, თუ პლასტიკის თვალები.... ჯერ კარგად ვერ ვაცნობიერებ რა უნდა გავიარო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი რომ შოკის მდგომარეობაში ვარ. კრიტიკულ სიტუაციებში ძალიან ადაფტური ვარ, უცებ ვერგები ახალ მოცემულობებს და ვახდენ მათ შთანთქმას, ჰოდა ეს ახალი ამბავიც დაახლოებით ერთ დღეში „შევჭამე“ და ძალიან სწრაფად მომინდა ენუკლიაციის გაკეთება, მინდოდა სწრაფად მომეშორებინა ჩემი სხეულისთვის კიბო.

თვითირონია მერთვება, წარმოვიდგენ „ცალთვალა“ ჩემს თავს და მეცინება, კიდევ კარგი შემიძლია ამაზე ვიცინო. მე და ჩემი ქმარი ვხუმრობთ- „ რამეთუ თვალმან შენმან გიღალატოს ამოიღე და განაგდე იგი“ ასე პირდაპირი გაგებით რანაირად „მოიწიეო“. ვხვდები, როგორ დიდდება ჩემში სიცოცხლის სიყვარული, და თუმცა ორი დღის წინ ბადურის ჩამოშლასთან შეგუებაზეც არ ვიყავი ყაბულს და ორი მხედველი თვალი მინდოდა, ახლა თანახმა ვარ არამარტო მხედველობა, არამედ ერთი თვალი ხარკივით გადავუგდო სიკვდილს, რომელიც რატომღაც და მოულოდნელად გამომედო ფეხებში ამ ჩემს ბედნიერ ცხოვრებაში, გადავუგდო და ფეხი ვკრა, დავივიწყო, ოღონდ სიცოცხლე გავარძელო.

სულ ჩიტი და მელიას ზღაპარი მახსენდება და მე მგონი, პირველად „ვაპატიე“ ჩიორას გადაყრილი ბარტყები...ზუსტად იგივე განცდა მაქვს, რომ ვიღაც მომადგა, ბარტყი მომთხოვა და მე გადავუგდე...

სტამბული

ვწუხვარ, რომ ამ საოცარ ქალაქთან ცხოვრების ყველაზე მძიმე მოგონებები მაკავშირებს და უნდა ვაღიარო, აღარ მიყვარს. მოკლედ, სტამბულში მართლაც შესანიშნავი ექიმი შემხვდა, რომელმაც დეტალურად ამიხსნა, რატომ არის ერთადერთი გამოსავალი ენუკლიაცია, რატომ უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი მაქსიმალურად სასწრაფოდ, რას ნიშნავს ამ დიაგნოზით ცხოვრება და ა.შ. მაგრამ დიდი არაფერი სირთულეა - ეხლა თვალს ამომიღებენ, მერე სამ თვეში ერთხელ, ერთი წლის შემდეგ ექვს თვეში ერთხელ და შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში წელიწადში ერთხელ უნდა ვიკონტროლო სხეული, ემანდ რამე გადაგვარებული უჯრედი არ გაძვრეს - მთავარი ეჭვმიტანილი ორგანოა ღვიძლი. ოპერაცია ორ დღეში დაინიშნა. ექიმი დიდ ხანს მესაუბრა ასევე იმაზე, რომ ეს ოპერაცია ძალიან რთულია პაციენტებისთვის ფსიქოლოგიურად, თორემ შესასრულებლად ოთხი კუნთის გადაჭრაა და მეტი არაფერი, მაგრამ ძალიან მძიმედ გადააქვთ პაციენტებს, რადგან თვალის ამოღებაა, დანაკარგია, სხეულის ხატს ცვლის და ა.შ...

ყველა ადამიანივით გასაჭირში მიტევს სიცოცხლის სიყვარულის ინსტინქტი და ეროსი VS თანატოსი კრიტიკულ სიტუაციებში, ყოველთვის ეროსის გამარჯვებით მთავრდება... მაგრამ მაინც მძიმედ გადავიტანე ოპერაციის წინა დღე. ბოლო რამ, რაც ორი თვალით ვნახე იყო აია სოფია, ვნახე პირველად და მიუხედავად იმისა, რომ სულ მინდოდა მენახა, შიგნით არ შევსულვარ- გადავწყვიტე, ისევ მოვიდე და შიგნით მაშინ დავათვალიერებ. ასე ვიგონებ ხოლმე ხან ნამდვილ, ხან ტყუილ, ხან თითიდან გამოწოვილ მოტივაციებს, სიცოცხლისათვის...

ორი დღის შემდეგ, დილაადრიან მივედი ოპერაციაზე, ველოდე ექიმს ნახევარი საათი მოსაცდელში, სადაც ისე მეძინებოდა რომ თავის ვერტიკალურად გამაგრება მიჭირდა-დაცვის მექანიზმია, როცა ცუდად ვარ-ვიძინებ. მერე შემიყვანეს პალატაში და დამაწვინეს. ერთი საინტერესო პასაჟი, რამაც ფრიად გამამხიარულა- ჩემი ექიმი მოვიდა და მეკითხება რომელი თვალია რომ უნდა ამოვკვეთოთო? მეთქი-მარცხენა და თან ძაან გამიკვირდა - ესე იგი არის შანსი რომ მე რომ დამეძინება საღი თვალი ამომკვეთონ? მერე მკითხა, იცი რამდენი შემთხვევაა მედიცინაში საღი ორგანო რომ მოაჭრეს დაავადებულის მაგივრადო? ამიტომ, მარცხენა თვალს გაგიფერადებო და გამიფერადა. დავიძინე და გავიღვიძე სხვა ადამიანმა, არა, უფრო სწორად - სხვანაირმა. თვალგადახვეულს, ექიმმა მითხრა რომ ყველაფერმა ფანტასტიურად ჩაიარა, რომ სისხლის მინიმალური დანაკარგი მაქვს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ნიშნავს რომ კიბოს უჯრედს სისხლით გავრცელების შანსი სავარაუდოდ არ მიეცა. პოსტ- ნარკოზის მდგომარეობა არასდროს გამჭირვებია. უბრალოდ, ვგრძნობ ხოლმე, რომ თავის ტვინში რაღაც კერები მუდმი-

გაგრძელება გვ. 14

ანზორ მაისურაძე:

გარდამტეხ პერიოდში სუი ყველაფერს აკონტროლებდა

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარი და ოთხმოცდაათიანების დასაწყისი, როცა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის გარდაუვალობა ეჭვს პრაქტიკულად არ იწვევდა, ძალიან ხშირად ასოცირდება სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებულ გააქტიურებასთან.

ოც წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ბოლომდე ყველაფერი გარკვეული დღესაც არ არის. მიიჩნევა, რომ სუკის ყურადღებას „ვერ გადაურჩებოდა“ როგორც აგრესიული სეპარატიზმისა თუ „თვითგამორკვევათა აღლუმის“ თვალსაჩინო პროცესები, ასევე, მათი ორგანიზატორები. ერთი სიტყვით, დახლართული სიტუაციაა.

უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე იმ დროს მოვლენების შუაგულში იმყოფებოდა. უპრიანი იქნება, შევხვდეთ მას და კიდევ ერთხელ ვცადოთ, ეგებ, მისი დახმარებით ვიპოვოთ არიადნეს ძაფის გორგალი და გამოვიდეთ ამ ისტორიული ლაბირინთიდან.

- არა მარტო ოთხმოციანი წლების ბოლოს, არამედ მთელი ოთხმოციანი წლების განმავლობაში, - ამბობს ბატონი ანზორი, - საქართველოს უშიშროების კომიტეტს ჰქონდა სრული ინფორმაცია იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც ვითარდებოდა მაშინ რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ერთი ჩემი მეგობარი მუშაობდა საკავშირო უშიშროების კომიტეტის კვლევით ინსტიტუტში, რომელმაც გულახდილად მითხრა: ადრე მეგონა, რომ პარტიის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქვეყანაში. მაგრამ, როცა წავიკითხე ის მასალები, რომლებიც კაგებედან ცეკაში იგზავნებოდა, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი მისხალ-მისხალ იცოდნენო. იცნობდნენ ანალიტიკურ მასალებს იმ პროცესების შესახებაც, რომლებიც შეიძლება განვითარებულიყო. ეს მასალები, უთუოდ, დღესაც ინახება რუსეთის სპეცსამსახურების არქივებში.

სამაგიეროდ შემიძლია დავიმოწმო საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის სიტყვები, რომელმაც მითხრა: რატომ ამტვრევთ ღია კარებს, რატომ აწყობთ მიტინგებსა და გამოსვლებს, რატომ ხმაურობთ?! დაწყნარდით, დამშვიდდით, რადგან ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ: მიიღებთ დამოუკიდებლობას, გექნებათ სრული სუვერენიტეტიო.

ეს რომ მოვისმინე, დავრწმუნდი, რომ მოვლენების განვითარების პერსპექტივა მათთვის წინასწარ იყო ცნობილი. დრომ დაადასტურა, რომ არ ვცდებოდი.

- მარტო ამ ერთმა განცხადებამ დაგარწმუნათ?

- ცხადია, არა. ჩვენი კომიტეტის ცხონებულმა თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა ჯერ კიდევ 1988 წელს მოსკოვს შესთავაზა, ნება დაერთო, დაგვეკავებინა თხუთმეტამდე პიროვნება, დისიდენტური მოძრაობის აქტივისტები, რომლებსაც დესტაბილიზაცია შეჰქონდათ რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საკავშირო უშიშროების კომიტეტმა ამ წინადადების რეალიზაციაზე სასტიკი უარი განაცხადა და პირდაპირ უთხრა ინაურს - დროებას ალღო ვერ აუღე და ჩამორჩიო. მალე იგი პენსიაზე გაუშვეს.

- გამომდინარე აქედან, შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი, ანუ მაშინდელი ხელისუფლება სულაც არ იყო დაინტერესებული შეენარჩუნებინა ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც თვითონ ედგა სათავეში?

- რა თქმა უნდა! დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდოდა. ისეთი პასიური პოზიცია ეკავა ხელისუფლებას, რომ ჩანდა, აშკარად ხელს უწყობდა ამ პროცესებს. თორემ სიტუაციის განეიტრალებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა.

საქმე ის არის, რომ პროცესები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, ჩვენი კონტროლით მიმდინარეობდა.

- ეგაა საინტერესო. ..

- ყველაფერი ვიცოდით - ვინ, რა, როგორ, რანაირად. მაგრამ არავინ ფიქრობდა რეპრესიული ღონისძიებების განხორციელებაზე. ისინი, ვინც ჩართულნი იყვნენ ამ პროცესებში, მიხვდნენ, რომ არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა (ან რა დიდი მისახვედრი ეს იყო), უფრო და უფრო თამამად და თავისუფლად მოქმედებდნენ.

- ბატონო ანზორ, თქვენ კარგა ხნის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში მოღვაწეობდით დაზვერვის ხაზით. დამეთანხმებით, რომ სამოცდაათიან წლებში იქ განვითარებული მოვლენები ხშირად ემთხვევა მომდევნო წლებში საბჭოთა კავშირში განვითარებულ სიტუაციას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ეგვიპტეში გამალ აბდელ ნასერის კვალზე ანვარ სადათი გაპრეზიდენტდა, მკვეთრად შეიცვალა სსრკ-თან ურთიერთობა, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაც კი იქნა დენონსირებული - ეგვიპტემ დასავლეთისკენ აიღო კურსი. ამაში გადამწყვეტი როლი აშშ-მა ითამაშა. სადათი კარგი შემსრულებელი გამოდგა. მეტი არაფერი. რამე მსგავსი ხომ არ მოხდა ჩვენთანაც?

- საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1946 წლიდან ალან დალესის დოქტრინის მიხედვით, აშშ მზად იყო დაეშალა და დაენგრია საბჭოთა კავშირი. ასეც მოხდა. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ რუსთაველზე „გაუ! გაუ!“-ს ძახილს არ დაუნგრევია საბჭოთა კავშირი. ეს გააკეთა აშშ-მა და მასთან ერთად მოქმედმა წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა.

- უცნაური ლოგიკაა: ამერიკა ანგრევს საბჭოეთს, კაგებე ეხმარება ამერიკას?!

- არ ეხმარება.

- აბა, ჩვენი კონტროლით მიმდინარეობდა პროცესებიო?

- პარტიის პოლიტიკა იყო ასეთი: ვეღარ გაუძლო საბჭოთა მშენებლობას, ვეღარ უხელმძღვანელა, ცოდნა და უნარი არ ეყო ხელისუფლებაში მყოფ ბირთვს.

უშიშროება, რომელსაც უწოდებდნენ პარტიის შეიარაღებულ რაზმს, ასრულებდა პარტიის მითითებებს. არასოდეს გადაუხვევია პარტიის ცეკას ძირითადი კურსისგან. არც მაშინ გადაუხვია.

- იქნებ, ცვლილებების, ახალი გზით სიარულის მომასწავებელი იყო პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის „შენელებული მოქმედების“ პრინციპი? აკი „პერესტროიკის“ დრო იდგა?

- უმოქმედობა სიახლეს არ ნიშნავს. უფრო იმას ჰგავს, რომ ბოლომდე გათვლილი არ ჰქონდათ ტაქტიკის საკითხები...მაგრამ ამ თემაზე საუბარი ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

- დავუბრუნდეთ თქვენს სფეროს. პირველი მრავალპარტიული არჩევნებით მოსული საქართველოს პარლამენტის შესახებ სპეცსამსახურის ერთ-ერთმა მუშაკმა განაცხადა: ამ პარლამენტის წევრებს რომ შევხედე, ნახევარი ჩვენი აგენტები იყოო. რას გულისხმობდა ეს კაცი?

- გულისხმობდა იმას, რაც თქვა. ეს მე მითხრა ჩემმა თანამშრომელმა: როცა პარლამენტის წევრებს გადავხედე, ასე მეგონა, ჩემს სეიფში შევიხედეო.

- კიდევ უფრო დავიბენი, ბატონო ანზორ. გამოდის, რომ ახალი ხელისუფლების ბირთვი ჩამოყალიბდა სპეცსამსახურის აგენტებისგან, რომლებიც ემსახურებოდნენ კაგებეს, ანუ იმ სპეცსამსახურს, რომელიც ამ ახალი ხელისუფლების მთავარი მოწინააღმდეგე იყო?! მაშ, ვინ შექმნა ეს ხელისუფლება?!

- ჩვენი, უშიშროების აგენტურა შედგებოდა საზოგადოების იმ წევრებისგან, რომლებიც წამყვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. საზოგადოების თვალსაჩინო წევრები უნდა გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები, სხვა, აბა, ვინ? ზოგს ჰგონია, რომ აგენტი ნიშნავს „ჩამშვებს“, ენის მიმტანს, ხელისუფლების ლაქიას. ასეთია ობივატელის ნაზრევი.

მაგრამ, ჩვენი გაგებით, აგენტი არის ადამიანი, რომელიც ერთგულია სახელმწიფო პოლიტიკის, ქვეყნის აღმშენებლობის საქმის, სწორ რჩევებს აძლევს ხელმძღვანელობას არსებული ვითარების რეალისტურად შეფასებისა და სწორი მიმართულებით გეზის, პერსპექტივის სწორად დასახვაში, იქნება ეს სამეურნეო, სოციალური საკითხები თუ პოლიტიკის სფერო.

- ესე იგი, აწვდის ობიექტურ ინფორმაციას?

- რა თქმა უნდა. ჩვენ, უშიშროების თანამშრომლებს ხომ არა გვაქვს ის ცოდნა და გაქანება მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულებაში, ეკონომიკაში, ფინანსებში, რაც, მაგალითად, აქვს აკადემიკოსს? იგივეს თქმა შეიძლება ხელოვნების დარგებზეც.

- იმას ხომ არ მეუბნებით, ბატონო ანზორ, რომ ამ სფეროებში გყავდათ აგენტები?

- რა თქმა უნდა.

- აკადემიკოსებს შორისაც?!

- დიახ! მინდა იცოდეთ თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებმა, რომ ჩვენი ინტელიგენციიდან თითქმის ყველა, ხაზს ვუსვამ, თითქმის ყველა, ვინც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების რეპრესიებს გადაურჩა, თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან.

- დიდად სარისკო ხომ არის ამის განცხადება?

- სიმართლეს ვამბობ.

- უფრო ახლო წარსულში გადმოვინაცვლოთ: რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული უშიშროებას, რა დავალებას ასრულებდით საქართველოში ეროვნული მოძრაობის პიკის პერიოდში, კონკრეტულად - 1989 წლის ცხრა აპრილს, როცა რუსთაველზე მიტინგი ბობოქრობდა?

- ცხრა აპრილის ღამის 3 საათზე, როცა ყველანი სამსახურში ვიყავით და უნდა შეგვესრულებინა ის, რაც დავალებული გვქონდა, გადმოგვცეს ბრძანება, შინ წავსულიყავით. დავიშალეთ. წავედით. ერთ საათში კი ტრაგედია დატრიალდა.

რუსთაველზე დარჩა ერთადერთი სამსახური, რომელსაც გარე თვალთვალი ევალებოდა. სწორედ მან - ფირზე აღბეჭდა რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე პროცესები. ამ დოკუმენტურმა კადრებმა მოიარა მაშინ მთელი მსოფლიო.

- ვინ მიიღო გადაწყვეტილება პროსპექტიდან თქვენი მოხსნის შესახებ?

- უშიშროების ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ - კომიტეტის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ.

- ორიოდ სიტყვა მის შესახებ. ..

- პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მოიყვანეს, როგორც პარტიული კადრი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო სახელმწიფო უშიშროება. მიმაჩნია, რომ შემთხვევითი პიროვნება იყო ჩვენს სისტემაში.

იმ პერიოდში მოსკოვიდან ჩამოვიდა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი დიდი სამმართველოს - დაზვერვა ტერიტორიიდან (იყო ასეთი სამმართველო) ხელმძღვანელი, გენერალი ვიქტორ მიხეილის ძე ვლადიმიროვი, რათა გუმბარიძისთვის წაეკითხა ლექცია უშიშროების სპეციფიკური საფუძვლების შესახებ. მოვიდა ჩემთან (მაშინ მე დაზვერვას ვხელმძღვანელობდი ჩვენს კომიტეტში).

შევიყვანე გუმბარიძესთან, როგორც შეთანხმებული იყო. ორი საათის შემდეგ გაოგნებული დაბრუნდა. ხმას არ იღებდა. რა მოხდა-მეთქი? - შევეკითხე. მან სიტყვასიტყვით ასე მიპასუხა:

- Анзор, ведь он очень слабый!

- მე არ დამინიშნია, თქვენ დანიშნეთ.

- ზვიად გამსახურდია და უშიშროება - ამაზე რას იტყვით?

- 1992 წლის იანვრის დასაწყისში გაიმართა ოპერატიული პრესკონფერენცია ქართული და უცხოური მასმედიის წარმომადგენლებისთვის. ცეკას ყოფილი სააქტო დარბაზი სავსე იყო. ჟურნალისტების წინაშე წარვდექით საქართველოს გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე და მე, რომელიც უშიშროების მინისტრის მოვალეობას ვასრულებდი.

პირველი ასეთი შეკითხვა დამისვეს:

- გთხოვთ, გვიპასუხოთ ცალსახად, იყო თუ არა გამსახურდია კაგებეს აგენტი?

- არა, არ ყოფილა! - ცალსახადვე ვუპასუხე.

დარბაზს გუგუნმა გადაუარა. ..

მისი დისიდენტობის პერიოდში ჩვენი ურთიერთობა უფრო ადამიანურ ჭრილში განვითარდა, ვიდრე სპეცსამსახურისა და ანტისაბჭოთა საქმიანობაში შემჩნეულ პიროვნებას შორის. რჩევის მიცემით, დაკვალიანებით ვცდილობდით, არ გადაებიჯებინა იმ ზღვარისთვის, რომელსაც შეიძლება მისი იზოლაცია მოჰყოლოდა. ყურადღებით გვისმენდა, მაგრამ არ ასრულებდა. ..

- ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა დაარბიეს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შენობა თბილისში, ლესია უკრაინკის ქუჩაზე. ..

- სანამ დარბევა მოხდებოდა, ხელმძღვანელი თანამშრომლები კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვოიციკემ დაგვიბარა და გვითხრა, რომ რესპუბლიკასა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მიზანშეწონილი იქნებოდა ჩვენი საარქივო მასალების რუსეთში გატანა მათი დაცვა-შენახვის მიზნით. მე და კიდევ ორი თანამშრომელი ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვედით. არქივის გატანა რესპუბლიკიდან არ შეიძლება, რადგან იგი საქართველოს საკუთრებაა და XX საუკუნის საქართველოს ისტორია უმისოდ ვერ დაიწყება, - ასეთი იყო ჩემი პოზიცია.

რახან წინააღმდეგი წავედით, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ზაფხული იყო და უნდა მესარგებლა შვებულებით. წავედი ქობულეთში. ერთ მშვენიერ დღეს მირეკავენ და მეუბნებიან, რომ უშიშროების შენობა დაარბიესო.

დარწმუნებული ვარ, ეს გააკეთეს სპეციალურად, დაარბიეს იმიტომ, რომ მე და კიდევ რამდენიმე კაცს გამოგვცლოდა წინააღმდეგობის გაწევის საფუძველი - არქივს არბევენ და გადასარჩენია!

- თუ დაარბიეს, რაღა იყო გადასარჩენი?

- სადაც არქივი იყო, იქ ვერ შევიდნენ, ცხრაკლიტულში ვერც შეაღწევდნენ...ამის შემდეგ იყო, რომ დიდი სატვირთო თვითმფრინავით - „რუსლანით“, ღამის სამ საათზე 40-50 ტონა ტომრებში ჩაწყობილი მასალები, რაც არქივში იდო და ისინიც, რაც უნდა შეგვენახა ან დაგვწვა, გადაიტანეს სმოლენსკში.

- არის ახლა ჩვენს უშიშროებაში ისეთი დოკუმენტები, რომლებითაც შეიძლება ყოფილი აგენტების გაშიფვრა?

- პირდაპირ გეტყვით, მე წინააღმდეგი ვარ ლუსტრაციის. 30-იან წლებზე უკვე მოგახსენეთ, ახლა ისიც ვთქვათ, რომ აგენტობის სისტემა მეფის რუსეთშიც მოქმედებდა. ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ისტორიულ პერიოდში რამდენი ადამიანი წინა თაობებიდან თანამშრომლობდა, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მაშინდელ სპეცსამსახურებთან - ოხრანკასთან, ჟანდარმერიასთან?

ვინმე, მაგალითად, იფიქრებდა, რომ დიდი ენათმეცნიერი ნიკო მარი ჟანდარმერიის თანამშრომელი იყო? ან თუნდაც ავქსენტი ცაგარელი, ქართველი მსახიობი და დრამატურგი, პუბლიცისტი, რომლის პიესები „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“ და სხვ. ქართული თეატრის ოქროს ფონდშია შესული?

აღარ გავაგრძელებ... მაგრამ რა მოგვცა ამისმა ცოდნამ, რა შეგვმატა? არაფერი. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ არაა საჭირო ამ ყველაფრის ქექვა.

ერთხელ ცხონებულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დამიძახა და ერთ-ერთ ადამიანზე მკითხა, - არ მითხრა, რომ ეს კაცი თქვენთან არ თანამშრომლობსო.

- რატომ მეკითხებით-მეთქი?

- იმიტომ, რომ შენზე ამბობენ, ყველაფერი იცისო.

დავუდასტურე, რომ იყო ჩვენთან თანამშრომლობდა და მეორე დღესვე მივუტანე წერილობითი ინფორმაცია. წაიკითხა ყურადღებით. ვთხოვე, რომ არაფერი ეგრძნობინებინა იმ კაცისთვის სპეცსამსახურებთან მისი ურთიერთობის თაობაზე, და თუ რაიმე აინტერესებდა, შეეძლო დაევალებინა, იგიც აუცილებლად შეუსრულებდა.

მისაღებში რომ გამოვედი, აგერ არ დამხვდა ის კაცი?! გადამეხვია, გადამკოცნა. ..

- დღეს თუა ცოცხალი?

- კი, ცოცხალია!

წყარო: http://geworld. net http://saqinform. ge/news/3433/anzor+maisuraZe%3A+gardamtex+periodshi+suki+yvelafers+akontrolebda. html

ჩემი თანაბოლი

დასაწყისი გვ. 12

ვად აღგზნებულია და ვერ „ვთიშავ“. ქიმს ვკითხე-ძალიან დავმახინჯდი თუ საშუალოდ. ექიმმა მიპასუხა რომ ულამაზესი ვარ და ამაზე დიდ ხანს ვიცინე. ოპერაციის დღესვე, ძალიან მალე ჩუმად ავდექი, ტუალეტში დიდი სარკე ეკიდა, შევედი, სახვევი მოვიხსენი და ვნახე... კი, გამოქვაბულს გავდა, მაგრამ არც ისე ღრმა იყო. ავიღე თან წაღებული წიგნი - ჟოზე სარამაგუს „სიბრმავე“ და ასე დავიწყე ურთიერთობა ჩემს ერთადერთ შიშთან, რომელიც მაშინ მაწუხებდა. აღმოჩნდა, რომ კითხვაც ჩვეულებრივ შემიძლია და მართალია ერთადერთი თვალი კითხვისას ცოტა მეწვის და ცოტა მიწყლიანდება, მაგრამ აბა, ეს რა მოსატანი ჩივილია მაშინ, როცა ეს- ეს არის დავამარცხე დაავადება.

მესამე დღეს გამოვეწერე საავადმყოფოდან და თითქმის ბედნიერი დავბრუნდი საქართველოში.

ოპერაციიდან ერთ კვირაში სამსახურში გავედი თვალაკრულ-ახვეული, მუქი სათვალე ჩამოვიფხატე სახეზე. „ჩოლკა“ შევიჭერი და ეგეც ჩამოვიფხატე მარცხნივ, მაგრამ ყოველთვის გადაწეული თმა მიყვარდა და ჩოლკას დიდად ვერ ვეგუები, ამიტომ მაინც ვიწევ. სინამდვილეში, იმ ხალხს უფრო ვუფრთხილდები ჩემი ახალი „იმიჯით“, რომელიც მე მიყურებს, ვიდრე საკუთარ თავს „ვმალავ“. დროდადრო, მივდივარ თვალის ექიმთან და მარჯვენა თვალს ვიკვლევ - ჩემს შიშს, სიბრმავის შიშს ვუხდი ხარკს.? ნელ-ნელა, სრულიად ჩვეულებრივად ვაგრძელებ ცხოვრებას, მეტიც, სათვალის მინა ძალიანაც გავაღიავე და არც „ჩოლკით“ ვიკლავ თავს. ვიტარებ ტომოგრაფიებს თავიდან-ფეხებამდე სამ თვეში ერთხელ და სრულიად ჯანმრთელი ვარ. კი, მე დავამარცხე კიბო. ამიტომ, ახლა შემიძლია თავისუფლად მივყო ხელი პლასტიკური მედიცინის სიკეთეებით სარგებლობას. მივდივარ თურქეთში იმპლანტის გასაკეთებლად. ეს იმპლანტაციაც ორეტაპიანია, ჯერ თვალის შიგნით გიდგავენ „რაღაცას“ რაც იმოძრავებს და ხელოვნურ თვალს ბუნებრივთან სინქრონული მოძრაობის საშუალებას მისცემს, ნუ, არა 100 %-ით მაგრამ, წესით, სადღაც 70 %-ით ჰარმონიულად იმოძრავებენ. ისევ ოპერაცია, ისევ ნარკოზი. ისევ ჩასისხლიანებულ-ჩალურჯებული გამოქვაბული მარცხნივ. მერე უკვე სასიამოვნო პერიოდი- უკვე იმ იმპლანტის დამზადება, რომელიც გარედან „მაგრდება“ და ნამდვილ თვალს გავს. ისევ თურქეთი, ძალიან სიმპათიური „პროთეზისტი“ და „პროთეზისტის თანაშემწე“, როგორც მე მათ ვეძახი. .. ისინი ჩასცქერიან ჩემს ნამდვილ თვალს, უღებენ ფოტოებს რომ ზუსტი ასლი „შექმნან“. ეს ახალი თვალი ხან დიდი მაქვს და ხან პატარა. „პროთეზისტი“ თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს დამარწმუნოს რა ლამაზი ვარ, რომ მაქვს „ულამაზესი“ ნამდვილი თვალი, რომელიც თურმე ნუ

იტყვით გარედან თაფლისფერია და თუ ღრმად დააკვირდები-მწვანე და ამიტომ ძნელია ჩემი ფერის „დასმა“. რომ რაც უფრო დიდია თვალი, მით ძნელია მისი იდენტური იმპლანტის დამზადება, მე კი „უდიდესი“ თვალები მაქვს. არ ყოფილა მარტივი ამბავი, რომ არა იუმორი და თვითირონია- მე მგონი იმაზე რთულიც იყო ვიდრე თავად თვალის ამოღება. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რა სასაცილოა თვალი ხან დიდი გაქვს-გადმოკარკლული და „გიჭერს“, ხან პატარა და გეკარგება. თურქეთში ახალი, მაგარი სათვალე ვიყიდე და წამოვედი ორი თვალით...

სიკვდილი

კიბო ქრონიკული დაავადებაა და ამიტომ მისი „სპეც-ეფექტებისგან“ ასე იოლად ვერ თავისუფლდები. მაგრამ მე შევძელი და ჩემი „მრავალტანჯული“ ლიბიდო-სიცოცხლის ენერგია, რაღაცნაირად „დავიცავი“ ამ ამბავზე ფიქსაციისგან. დაახლოებით ორი წლის შემდეგ თითქმის დამავიწყდა ჩემი დაავადება, თითქმის გადავწყვიტე, რომ აღარაფერი მემუქრება, მაგრამ... მაგრამ 2016 წლის დასაწყისში, მორიგ უწყინარ გამოკვლევაზე წავედი... აღმოჩნდა, რომ ჩემი მელანომა „გაცოცხლდა“, ოღონდ ამჯერად ძალიან ფატალურად და ნამდვილი განაჩენივით გამომეცხადა- მრავლობითი მეტასტაზი ღვიძლში, სავარაუდო მეტასტაზები ძვალში. ყოველთვის მაოცებენ ის ადამიანები (არა მგონია გულწრფელები იყვნენ), რომლებიც მეუბნებიან, რომ არც კი უნდა დავუშვა ფიქრი სიკვდილზე, რომ ეს არის ერთადერთი გზა გადარჩენისკენ. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება არ იფიქრო სიკვდილზე, როცა ძალიან „ავი“ ფორმის მეოთხე სტადიის სიმსივნე გაქვს და ყველა სიკეთესთან ერთად საკმაოდ იშვიათი. მე სულ ვამბობ, რომ კიბოშიც უნდა „გაგიმართლოს“, შემხვედრდა მაგალითად ერთი „დალოცვილი“ ძუძუს კიბო, რომელიც ყველაზე ხშირი და ამიტომ ძალიან ნაკვლევი და ცნობილი „ხილია“ მედიცინისთვის. მაგრამ, როგორც ჩემი მეგობრები მამშვიდებენ, მე ხომ განსაკუთრებული ვარ და „ჩვეულებრივი“ კიბო რა ჩემი საკადრისია))... აი წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივად ცხოვრობ და ერთ ღამესაც იძინებ და როცა გაიღვიძებ, აღმოაჩენ რომ შენს გვერდით რაღაც საშინელი შესახედაობის მხეცი წევს, წევს კი არა - ცხოვრობს ისე, რომ სრულიად შემოჭრილია შენს პერსონალურ სივრცეში, ხუთ სანტიმეტრზე ახლოს შენს სხეულთან, ყველგან დაგყვება, ვერაფრით იშორებ. იმდენად საშინელია, რომ თავიდან საერთოდ ვერ უყურებ, მხოლოდ გრძნობ, ალბათ ცივიც არის, ლორწოც აქვს და უფრო მახინჯია, ვიდრე რომელიმე საშინელებათა ფილმში გინახავს. ამიტომ, პირველი რამდენიმე დღე, ოთახში მარტო დარჩენაც მიჭირს, ხშირად მძინავს, იქნებ, რომ გავიღვიძებ აღარ იყოს... უკვე რამდენიმე კვირაა ჩემთან ერთად ცხოვრობს და მე ნელ-ნელა ვხვდები, რომ სხვა გზა არ მაქვს, უნდა მოვახერხო და შევხედო, უნდა გავიცნო, მხოლოდ ასე შეიძლება ის აღარ იყოს „მოუშორებელი ჭირი“, უნდა დავიწყო მასთან ურთიერთობა, თუ მეგობრობა არა.

ჰოდა ერთ მშვენიერ დღეს, მე ავდექი და დაახლოებით იმ ემოციით თავიდან მარცხენა თვალის გამოქვაბულს რომ ჩავხედე, ოღონდ ისე მიზანდასახულად, როგორც არასოდეს არაფერი გამიკეთებია იქამდე ცხოვრებაში, ჩემს მხეცს პირდაპირ სახეში შევხედე და ვუთხარი: „გამარჯობა, მე ვარ მარი, და შენ ვერ შეცვლი ჩემი შვილების ბიოგრაფიას!“...

მას შემდეგ, ჩემი მხეცი, თითქოს „მოტყდა“, ან მე თვალი ისე შევაჩვიე, დიდად აღარ მემახინჯება და ხანდახან საერთოდ ვეღარც კი ვამჩნევ ჩემს გვერდით. ასე მოვიშინაურე სიკვდილი. თურმე, შესაძლებელია ბევრი იფიქრო სიკვდილზე და ამავდროულად სრულიად შეძლო სრულყოფილი სიცოცხლე. ვისწავლე ძალიან დიდი სურათის ყურება, ვცდილობ ფილოსოფიურად შევხედო სიკვდილს, ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, ოცი წლით აქეთ თუ იქით - ბოლოს ხომ მაინც უნდა მოვიდეს, ან კიდე, სამყაროსა და კაცობრიობის კონტექსტში, სადაც ერთი ჭიანჭველაც არ ხარ- რა დიდი ტრაგედიაა ერთი ადამიანის სიკვდილი. უკვდავების შანსი რომ არსებობდეს კიდე ჰო, ღირს გულის დაწყვეტად და, რადგან ეს შესაძლებლობა არ არსებობს, რა ჯანდაბაა დასასრულზე დარდი, რა სწრაფადაც არ უნდა გიახლოვდებოდეს ის. .. მოკლედ, სრულიად შესაძლებელი გახდა მხეცთან თანაცხოვრება, თანაც ისე, რომ სიცოცხლის ხარისხი დიდად არ დააზიანოს და ბრძოლის ძალაც დაგიტოვოს, მე ახლა ვიცი, როგორ არ უნდა „მოკვდე“ ნამდვილ სიკვდილამდე, როგორ არასგზით არ უნდა მოკვდე, სანამ ცოცხალი ხარ... ვცდილობ მნიშვნელობა დავუკარგო, ფეხებით შევდგე და გავტკეპნო, გავაწერტილო მთელი ეს ამბავი...

მე სამი შვილი მყავს - სამი არაჩვეულებრივი ტყუპი. ჯერ ოთხი წლისები არიან, ამიტომ ჩემს სახლში სიცოცხლის განსაკუთრებული, ხაზგასმული ყიჟინაა მუდამ. ისეთი ხმაურია, საერთოდ ვერ მოიცლი, ვერც დეპრესიისთვის, ვერც სიკვდილთან მოსარიგებლად... მეც და სხვა ოჯახის წევრებიც ჩვეულებრივად ვიცინით, ვხუმრობთ, ჩემს ერთერთ შვილს, რომელიც რატომღაც ემოციურად უფრო მეტად არის ჩემთან დაკავშირბული, უყვარს ჩემს მუცელზე ამობობღება და ასე მოკალათება. მას შემდეგ, რაც ღვიძლი მეტასტაზებით „მომეფინა“, ნიკას ამობობღების ყველა მცდელობაზე სრულიად გაუცნობიერებლად ვეუბნები ხოლმე, „დე, მტკივა სხვანაირად დაჯექი“... ერთხელაც, ის ისევ საყვარელ პოზაში ამომაბობღდა, მოკალათდა ჩემს მუცელზე, მე ამჯერად რატომღაც არაფერი ვუთხარი (ეტყობა არ მეტკინა) და უცებ, კი არ შემომხედა, თვალები პირდაპირ სახეზე შემომაყარა და მკითხა: „ დე, არ გეტკინა? ესეიგი აღარ მოკვდები???“ ზუსტად არ მახსოვს რა ვუპასუხე, მაგრამ მივხვდი, რომ ბავშვებმა ყველაფერი იციან და რომ დროა ვილაპარაკოთ... საკუთარი მდგომარეობის გააზრება, რა თქმა უდა, ყველაზე რთული მათთან მიმართებაშია. მე ოთხი წლის ბავშვებთან დავიწყე ლაპარაკი იმაზე, რომ არსებობს სიკვდილი, და დედაც შეიძლება მოკვდეს. სულ მგონია, რომ ბავშვებს იმდენად არ აზიანებთ ინფორმაცია, რამდენადაც ემოცია, რომელსაც ამ ინფორმაციას თან „ვაყოლებთ“, ამიტომ რა თქმა უნდა, სულ სიცილ-კისკისით, მხიარულად მოვუყევი, რომ შესაძლებელია არც მოხდეს, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს კიდეც... სრულიად ჩვეულებრივად მიიღეს ეს ამბავი, დააზუსტეს მამას ხომ არაფერი ემუქრებოდა J)), მერე ცოტა ხანში თამაშის სიუჟეტად აქციეს - რაღაცას თამაშობენ და უცებ მესმის „ეხლა ვითომ დედა მოკვდა და სასწრაფოს დავუძახოთ“, მივხვდი, რომ უმკლავდებიან, გადააქვთ, შეუძლიათ... მას შემდეგ, რა თქმა უნდა, „ცაში წასვლის“ საკითხები ალბათ უფრო მეტად აინტერესებთ, მეკითხებიან მაგალითად ღრუბლებში დაძინების კომფორტულობაზე, ციდან „ჩამოვარდნის“ საფრთხეზე და ასე შემდეგ. საქართველო

არის გარკვეული უიღბლობა, როცა გემართება კიბო, მაგრამ ორმაგი უიღბლობაა, როცა ის საქართველოში გემართება. სხვა დროსა და სხვა კონტექსტშიც მითქვამს, არ მიყვარს ექიმების ლანძღვა- ყველაზე მაგარ პროფესიად მიმაჩნია და

ჩემი თანატოლი

ჰუმანიზმის მწვერვალად, მაგრამ ჰოი საოცრებავ და ამ ქვეყანაში მათ მიმართ ჩემნაირ პოზიტიურად განწყობილ ადამიანსაც კი თავისუფლად დააყრევინებენ ფარ-ხმალს. როცა ეხოსკოპიურად დადგინდა ახალწარმონაქმნები ღვიძლში, ნომერ პირველი ნაბიჯი იყო ბიოფსია, იმისთვის, რომ განსაზღვრულიყო რა ტიპის უჯრედია ეს და შესაბამისად, რა გზებით უნდა გვებრძოლა მასთან. თავიდან, რატომღაც გადავწყვიტე, რომ საქართველოში უნდა მემკურნალა და ბიოფსიისთვისაც ამ საკითხის „მამას“ მივმართე. მან ნახევარი საათი მჯიჯგნა, დამჩხვლიტა და როგორც იქნა აიღო ქსოვილი, რომელზეც იყო დამოკიდებული მკურნალობის სტრატეგია. გვითხრეს, რომ აღებული ქსოვილი არის სრულიად ჯანმრთელი ღვიძლის ქსოვილი და არანაირი „სხვანაირი“ უჯრედი იქ არ არის. ცოტა „ნეტარი“ ტიპი რომ ვყოფილიყავი, იქნებ დამეჯერებინა კიდეც, რომ ყველაფერი კარგად არის და საერთოდ დამევიწყებინა კიბო. „ბიოფსიის მამას“ რომ დავურეკეთ და პასუხი ვამცნეთ, გვითხრა, უი, რა ვიცი, თუ უნდა კიდე მოვიდეს და კიდე პატარას მივჯიჯგნი, ეტყობა, მაგ ჯერზე ვერ ავიღე შესაბამისი ქსოვილიო. ძალიან ცხადი გახდა, რომ სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში არა თუ მკურნალობა, დიაგნოსტირებაც სერიოზული პრობლემაა და ისევ თურქეთში წასვლა გადავწყვიტე. თურქეთში, რა თქმა უნდა, წარმატებით აიღეს საჭირო ქსოვილი ღვიძლიდან, ასევე წარმატებით დაადგინეს, რომ ეს იყო მელანომის ავთვისებიანი უჯრედი, მუტაციით და ჩემმა თურქმა ონკოლოგმა მკურნალობის სტრატეგიაც განსაზღვრა. მედიცინაში საოცარი გარღვევაა - კიბოს ზოგიერთ ფორმასთან და მათ შორის მელანომასთან საბრძოლველად გამოუგონებიათ თერაპიის ახალი ფორმა, რომელსაც იმუნოთერაპია ქვია და საკუთარი იმუნური სისტემის გააქტიურების შედეგად, ადამიანის იმუნურ უჯრედებს „ასწავლის“ გადაგვარებული უჯრედის ცნობას და მის განადგურებას. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, შემთხვევათა 60 %-ში იმუნოთერაპია საოცარ შედეგებს იძლევა. დრამატული საკითხი, რა თქმა უნდა, ამ თერაპიის ღირებულებაა.

გადაწყდა, ჩემი სიცოცხლე დღეიდან ღირს 8500 ევრო 21 დღეში ერთხელ (ერთი გადასხმის, ანუ ამპულის ფასი) და თუ ღმერთმა ქნა და ამ თერაპიამ იმუშავა, პრინციპში განუსაზღვრელი დროით (მინიმუმ 2 წლით) უნდა ვიკეთო ეს გადასხმა ამ სიხშირით. სახლიც რომ გავყიდო, რომელიც ბანკის იპოთეკით არის დატვირთული, მაქსიმუმ ერთი გადასხმის ფული მრჩება (დანარჩენი ბანკს).

საქართველო კიდევ იცით რატომ არის საოცარი ქვეყანა? თურქეთიდან დანიშნულებით რომ დავბრუნდი, გადავწყვიტე გადასხმა მაინც (თუ რაღაცნაირად ვიყიდდი ერთ ამპულას) აქ გამეკეთებინა. საქართველოში ეს წამალი - „კეიტრუდა“ ბაზარზე ასე არ იყიდება. უნდა შეუკვეთო. ექსკლუზიური შემომტანი არის ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანია და მისი ფასი თურქეთის ფასთან შედარებით (8500 ევროსგან) დაახლოვებით სამჯერ მეტია!!!!

ადამიანები

ამბის ამ ნაწილის დაწერა ყველაზე მტად მინდა და ყველაზე მეტად მიჭირს. მიჭირს, იმიტომ რომ არ ვიცი როგორ ამბობენ მადლობას სიცოცხლისათვის. „მადლობა“ არ არის საკმარისი და არ იტევს იმ მნიშვნელობას, რაც მე მინდა, რომ გითხრათ... თუკი რაიმე პოზიტიური შეიძლება ქონდეს ამ გამოცდილებას, რაც მე რაღაცნაირად მერგო, ეს არის ადამიანები, რომლებმაც უზრუნველყვეს ჩემი სიცოცხლე. არ ვიცი მე გამიმართლა ასე, თუ ესაა ის, რაზეც დგას ეს სამყარო, რაც ანეიტრალებს ადამიანად ყოფნის ყველა ტკივილს და სასოწარკვეთას, ყველა გზის უსწორ-მასწორობას... ჩემმა მეგობრებმა, ისე რომ არც ვიცოდი, დაიწყეს ფულის შეგროვების კამპანია. ეს იყო მთელ ამ ამბავში ყველაზე მტკივნეული და ყველაზე ამაღელვებელი პერიოდი . როგორც ხდება ხოლმე, ჩემი ფოტოებით და დახმარების თხოვნით აჭრელდა ყველა საჯარო სივრცე. მაშინ დავხურე სოციალური ქსელი და ჩემს ოთახში პირველად შევიკეტე, დიდი ხნით... ჩემი მეგობრებმა, იცხოვრეს ჩემი ცხოვრებით და ჩემი დაავადებით. „ილიაუნი“, ჩემი სამსახური, არის ადგილი სადაც მე რამდენიმე სიცოცხლე მომცეს. მეხმარებოდა ყველა- მეგობრები, თანამშრომლები, ჯგუფელები, კლასელები, ნაცნობები, ნაცნობების ნაცნობები, ფეისბუქის მეგობრები და იმათი მეგობრები, სრულიად უცნობი ადამიანები!!!! რა მნიშვნელოვანი შინაარსი ქონია ერთი ლარით დახმარებას! ყოველთვის მეგონა, რომ უაზრობა იყო- როცა ერთ ლარს გირიცხავენ, შენ ხვდები, რომ ადამინებმა ყველაფერი მოგცეს რაც ქონდათ, ალბათ პური გაგინაწილეს და ამ დროს ხვდები, რომ გარდა რეალური ფინანსური დახმარებისა ეს არის საოცარი პასუხისმგებლობა, რომ გადარჩე! ადამიანები ერთიანდებიან, მხრებზე გკიდებენ პასუხისმგებლობას რომ არ უნდა გაუცრუო იმედი და შენ ისევ გეძლევა არაადამიანური ძალა, ისევ დგები და მიდიხარ გადასარჩენად! მადლობა თითოეულს, მადლობა მხატვრებს, რომლებმაც ნახატები მომცეს გამოფენა-გაყიდვისთვის, მადლობა ამ ამბების ორგაიზატორს (ებს), მადლობა მომღერლებს, რომლებმაც იმღერეს, მწერლებს, რომლებმაც წიგნების გაყიდვიდან ჰონორარი მომცეს..., როცა ქუჩაში მხვდებით მე თვალებს ვხრი და თავს ძალიან ვაკონტროლებ, რომ არ მოგეჭრათ და რამე უხერხული ფორმებით არ გამოვხატო რომ ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ! საერთოდ არ ვიცი როგორ გახდა შესაძლებელი, რომ გავიკეთე იმუნოთერაპიაც (რომელმაც სამწუხაროდ არ იმუშავა) და კიდევ ორი ძალიან დიდი ოპერაცია რომელიც ასევე წარმოუდგენელი თანხა დაჯდა. არასდროს წარმომედგინა, რომ ეს შესაძლებელია. ჰოდა, თქვენ ეს შეძელით... შეძელით, რომ მე ცოცხალი ვარ რა მიშვნელობა აქვს, რა იქნება ხვალ, მთავარია, რომ მე არა თუ გადავრჩი, არამედ გავხდი უკეთესი, ვიდრე იქამდე და ვიცი, როგორ არასოდეს უნდა ვიყო გულგრილი მათ მიმართ, ვისაც დახმარება ჭირდება და, რომ საოცარ ძალას იძენს სიცოცხლის სამსახურში ჩამდგარი ყველა ერთ ლარიანი.. .მადლობა, თითოეულს და ყველას!...

და კიდევ, არის ერთი ადამიანი (ის ჩემი ქმარია, მაგრამ მასაც ვერასოდეს ვუთხარი ეს პირისპირ), რომელიც მხოლოდ გვერდში კი არ მიდგას ან მეხმარება, არამედ ძალიან ხშირად უბრალოდ ჩემს მაგივრად ცხოვრობს, როცა მე ამის თავი აღარ მაქვს ... და თან ამას ისე აკეთებს გეგონება, მთელი ცხოვრება ამაზე ოცნებობდა, გეგონება, ერთი ბეწო ჩრდილი არ მისდგომია მის წარმოდგენებს ბედნიერ ცხოვრებაზე, სიყვარულზე.... გეგონება ეს ასეც უნდა იყოს და ამაში ისეთი გულწრფელია, ხანდახან მეც მგონია, რომ ეს ასეც უნდა იყოს! ამიტომ მას ვეუბნები ბოდიშს ... თუ ძალიან პატეთიკური არ ვიქნები, მიიღე ჩემი ბოდიში იმის გამოც, რომ ხანდახან მავიწყდება, რა ბედნიერებაა შენ რომ არსებობ...

აწმყო

არასრული ორი წლის განმავლობაში გავიკეთე იმუნოთერაპია, ე.წ. თარგეთ-თერაპია და ბოლოს ორი ძალიან მძიმე ოპერაცია. 2017 წლის გაზაფხულზე, უკვე მივხვდი, რომ ვკვდებოდი. წონის დეფიციტი, საშინელი სისუსტე, სახეზე მიწისფერი- ყველაფერი მიმანიშნებდა, რომ ჩემი მხეცი ისევ „გამხეცდა“. თურქეთში ბოლო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამასობაში ჩემი მრავლობითი მეტასტაზიდან ყველაზე დიდი უკვე 9 სანტიმეტრი იყო.

მკურნალობის ერთ ექსპერიმენტალურ მეთოდს გადავეყარე. ამ მეთოდს ღვიძლის ქიმიოსატურაცია ქვია, ღვიძლის სეპარაცია ხდება სისხლის მიმოქცევის სიტემიდან გულში და არტერიებში გარჭობილი კათეტერებით, მერე ღვიძლის ტოქსიკური რაოდენობის ქიმიით „შეწამვლა“ და ისევ სისხლის მიმოქცევაში დაბრუნება. როგორც ექიმები ამბობენ, ეს არ არის „მკურნალობა“, ეს არის პროცესის გაჩერების შესაძლებლობა, სიკვდილის გადავადება...ოღონდ ამ მეთოდით ამ დროის მოგება ძალიან ძვირი ღირს. ისევ შესაძლებელი გახდა ამ ოპერაციის ჩატარება გერმანიაში. ერთადერთი კლინიკა დამთანხმდა, სხვა ათამდე კლინიკამ ჩემთვის „ხელის მოკიდებაზე“ უარი თქვა. ექიმები ხშირ-ხშირად მიმეორებდნენ, რომ შესაძლოა ოპერაციამდე ვერ მივიდე, მაგრამ, როცა შიგნით ხვდები, რომ პროფესიონალიზმის მწვერვალი თუ სადმეა მედიცინაში, ალბათ მათ შორის ამ ქვეყანაში. ოპერაციისას ჩვეულებრივად „გრეის ანატომიაში“ მოვხვდი. 6 თუ 7 საათიანი ნარკოზის შემდეგ რეანიმაციაში გადამიყვანეს. ოპერაციამ იმდენად კარგად ჩაიარა, რომ ემოციაშეკავებული „ცივი“ გერმანელებიც ვერ მალავდნენ სიხარულს, რომ ცოცხალი ვიყავი. ალბათ მსოფლიოს ყველა რეანიმაციაში ყველაზე მეტად სძულთ სიკვდილი. რადგან იქ სიკვდილი, არა მარტო პაციანტის დამარცხებაა, არამედ ექიმისაც, ამიტომ მთელი ძალებით, ხელებით, გონებით ებრძვიან და იგერიებენ მას... 24 საათის შემდეგ გადავედი პალატაში, იქაურ ამბებზე ცალკე წიგნი შეიძლება დაიწეროს, მაგრამ აქ ზედმეტია. ეს ოპერაცია გავიკეთე ორჯერ, პირველად 2017 წლის მაისში. სვათა შორის, მაისი საკრალური თვეა ჩემთვის, რომელშიც ერთხელ დავიბადე და ორჯერ არ მოვკვდი (ენუკლიაციაც მაისში გავიკეთე). ახლა ბევრად უკეთ ვარ. მეტასტაზების მოცულობა დიდად არ შემცირებულა, მაგრამ მე სიცოცხლის ნიშნები წარმოუდგენლად უფრო მკვეთრად მეტყობა, ვიდრე იქამდე. ასევე, ერთ ექსპერიმენტულ მკურნალობაში ჩავერთე- ერთი ექიმი გადამეკიდა ამერიკიდან, მე მოგარჩენო, უკვე ორი წელია მეხვეწება რომ ამის შესაძლებლობა მივცე და ახლა „დავნებდი“. კვლევა აქვს და ამ კვლევის ფარგლებში ვმკურნალობ, რა ვიცი იქნებ არაფერი ხდება შემთხვევით... ფაქტია, რომ ტრადიციულ მედიცინას მეტი აღარაფერი აქვს ჩემთვის, მე კიდევ სიკვდილი მხოლოდ მოვათვინიერე, და არ ვაპირებ მის ნებას დავყვე...

ეპილოგი

რაც არ უნდა სენტიმენტალურად იკითხებოდეს ჩემი ამბავი, სინამდვილეში, მე ძალიან კარგად ვარ. რადგან ვიცი, რომ ადამიანის შესაძლებლობები მართლა ამოუწურავია და ვიცი, თუკი ვინმემ შეძლო დედამიწაზე და დაამარცხა ეს დაავადება- მეც შემიძლია! სიკვდილთან სიახლოვის მიუხედავად, თავისუფლად შემიძლია ვიცხოვრო სრულყოფილად და ბედნიერადაც, რადგან ვისწავლე, როგორ არ უნდა მოკვდე, სანამ ცოცხალი ხარ, რომ კი - ყველა გათენება დღესასწაულია, მაგრამ პრინციპში, კარგად მაშინ ხარ, როცა ისევ გეშლება ნერვები ყოველდღიურობაზე, სამსახურის საქმეებზე, დაულაგებელ სახლზე, ყოფაზე... რადგან ცხოვრება ეგეთი წვრილმანებისგან შედგება და მხოლოდ ასე არ შორდები ადამიანურ საწყისს... ადამიანია სამყაროს მთავარი შემოქმედება და მას ყველაფერი შეუძლია... ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მეც შევძლო და გადარჩენილების რიგებს შევემატო, ან დასასრული რა პრობლემაა, როცა სიკვდილი უკვე მოშინაურებული ცხოველია და აღარ გაშინებს...

ამბროსი აღმსარებელი



საქართველოს ისტორიაში მრავლადაა ისეთი ადამიანები, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს თავიანთი მოღვაწეობით, საქმიანობით. მე-4 საუკუნიდან, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდანვე მჭიდრო კავშირი არსებობდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ძნელბედობის ჟამს ეკლესია ყოველთვის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, მას ჰყავდა ბევრი ღირსეული წარმომადგენელი, რომელთა ღვაწლიც შეუფასებელია. დღევანდელ სტატიაში გავიხსენებთ სწორედ ასეთ ადამიანს, დიდ პიროვნებას უწმინდეს და უნეტარეს ამბროსი ხელაიას (ერისკაცობაში ბესარიონი).

კარგადაა ცნობილი თუ რაოდენ რთულ ვითარებაში იმყოფებოდა საქართველო XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელმაც თავის დროზე დაგვაკარგვინა სახელმწიფოებრიობა, ისე მოგვიაზრებდა, როგორც მათ განუყოფელ ნაწილს, 1811 წელს „მოძმე რუსეთმა“ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, დაუქვემდებარა სინოდს და დაუნიშნა ეგზარქოსი, მიმდინარეობდა სკოლებისა და ეკლესიების რუსიფიკაცია, უცხოელთა კოლონიზაცია, ეს ყველაფერი კი ქართველთა გახლეჩას ისახავდა მიზნად, არსებობდა ცენზურა, მასიური კონტროლი, მაგრამ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფრის მიუხედავად, ღირსეულად ემსახურნენ თავის ქვეყანას.

ბესარიონ ხელაია დაიბადა 1861 წლის 19 (ძვ.სტ.7) ოქტომბერს მარტვილის რაიონ სოფელ ინჩხურში, დედა იყო მზეხა ნიკოლოზის ასული, მამა- ზოსიმე ილორის წმინდა გიორგის სახელობის მღვდელი გახლდათ. ბესარიონი უკვე ბავშვობიდანვე ეზიარა ქრისტიანულ იდეალებს, მისი არა მხოლოდ მამა, არამედ ბაბუა-დავითიც სასულიერო პირი იყო. ჰყავდა ძმები გიორგი და პორფირე. ბესარიონი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიბეჯითით, შრომისმოყვარეობით, სწავლისადმი ინტერესით, 1871-73 წლებში სწავლობდა ოჩამჩირის დაწყებით სკოლაში, 1973-79 წლებში - მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, 1879-85 წლებში - თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა, ცოლად შეირთო ილორელი ელისაბედ (კესარია) ალექსის ასული მერჭულე. პირველი შვილი, რომელიც 1888 წელს შეეძინათ რამდენიმე თვისა გარდაეცვალათ, 1 წლის შემდეგ ეყოლათ ნინო, შემდეგ ალექსანდრე, ბოლოს ანა. სამწუხაროდ მეუღლე ახალგაზრდა გარდაეცვალა, ის 23 წლის ასაკში მესამე შვილის დაბადებას გადაჰყვა. ობოლ შვილებს გვერდიდან არასოდეს იშორებდა, მათ ღირსეულად ზრდიდა, ბესარონს ცოლი აღარ მოუყვანია ის ბერად აღიკვეცა.

1887 წლის მარტში სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ ბესარიონი სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკვნად, ხოლო აპრილში სოჭის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდლად აკურთხა. აქედან იწყება მისი მძიმე, ეკლიანი გზა. 1894-97 წლებში მუშაობდა სოხუმის მთიელთა სკოლის სჯულისკანონის მასწავლებლად. ვითარება დაიძაბა მას შემდეგ, რაც 1895 წელს სოხუმის ეპისკოპოსი პეტრე შეცვალა არსენ იზოტოვმა. ეს უკანასკნელი თავის მომხრეებთან ერთად აფხაზეთში ებრძოდა ყოველივე ქართულს, კრძალავდნენ ეკლესიებში ქართულად წირვას. ამ ყველაფერს აფზახეთში პროტესტი მოჰყვა, ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელიც რუსებმა „ქართულ პარტიად“ მონათლეს, მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო თედო სახოკია. ამ ჯგუფს შეუერთდა ბესარიონი და იბრძოდა იმ რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ეკლესიას იყო ამოფარებული.

1897 წელს ბესარიონ ხელაია მიემგზავრება ყაზანში. აქედან იწყება ახალი პერიოდი მის ცხოვრებაში, ის უგამოცდოდ მიიღეს ყაზანის სასულიერო აკადემიაში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 1898 წლის 14 იანვარს წმინდა ნინოს ხსენების დღეს ყაზანის აკადემიის ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარების ფაქტი. ეს ამბავი მთელ რუსეთს მოედო და დიდი გამოხმაურება გამოიწვია, რაზეც იმ დროინდელი პრესაც მეტყველებს. სწორედ ყაზანში ყოფნისას აღიკვეცა ბერად 1900 წლის 11 თებერვალს და ეწოდა ამბროსი. უნდა ვახსენოთ მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა თემაზე: „ქრისტიანობის ბრძოლა მაჰმადიანობასთან საქართველოში“, 1901 წლის ივნისში მიანიჭეს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი, ამის შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში. 1902 წლის მარტში ამბროსი აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში, მარტშივე დაინიშნა რაჭაში, ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად. მან მალევე მოიპოვა ადგილობრივების პატივისცემა და სიყვარული. უდიდესია დამსახურება მისი ისტორიოგრაფიისადმი. 1902 წელს ამბროსიმ ჭელიშის მონასტრის ეზოში აღმოაჩინა „მოქცევაი ქართლისაის“ ხელნაწერები ე.წ. ჭელიშური რედაქცია, რომელიც თარიღდება XIV საუკუნით. მის გამოკვლევებს, შრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ისეთი ადამიანები როგორებიც იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი. აღსანიშნავია ამბროსი ხელაიას სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ცხედრის წინაშე: „ვკადნიერდები და ვბედავ ამ დიდებული ცხედრის წინაშე ვსთქვა ორიოდე სიტყვა. დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულის შვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უდიდესი მგოსანი, საუცხოვო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ლიტერატურისა. არა გვყავს ილია ჭავჭავაძე - მოჭირნახულე თავის ერისა. ის მოიკლა ბარბაროსების ბინძურის ხელით...“

როგორც ზემოთ ვთქვით, 1811 წელს რუსეთმა გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. მიუხედავად ამისა ქვეყანაში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამ მიმართულებით მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, მოძრაობის წევრებს „ავტოკეფალისტებს“ უწოდებდნენ. მისი აქტიური წევრი იყო ამბროსი, რუსეთის მთავრობა ყველანაირად ცდილობდა გაეკონტროლებინა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური თუ საეკლესიო მოვლენები, მიმდინარეობდა თვალყურის დევნება, ჯაშუშობა, ხშირი იყო გადასახლებები, მათ შორის სასულიერო პირებისაც. 1906 წლის ივნისში საქართველოს დაენიშნა ახალი ეგზარქოსი ნიკონი, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო. მიუხედავად ქართული ეკლესიის სამღვდელოების აქტიური წინააღმდეგობისა ახალი ეგზარქოსი მაინც ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა თავისი მოვალეობების შესრულებას. 1907 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ დობრონრავოვი მოკლეს. ერთი წლის შემდეგ 1908 წლის 28 მაისს მოკლული იპოვეს ეგზარქოსი ნიკონი. მართალია მკველელი ვერ იპოვნეს, მაგრამ რუსეთი ვერ დაუშვებდა სიტუაციის არევას, ამიტომ დაიწყო სამღვდელოების შევიწროება. რუსეთში რიაზანის სამების მონასტერში გადაასახლეს არქიმანდრიტი ამბროსი, ეს არ აკმარეს და ჩამოართვეს მღვდელმსახურების უფლება, ის მხოლოდ 1910 წელს დაუბრუნეს, როდესაც გაამართლეს. მიუხედავად ამისა მან სამშობლოში დაბრუნება 1917 წლის აგვისტომდე ვერ მოახერხა, ეს უმძიმესი პერიოდი იყო მისთვის. უმნიშვნელოვანესია ამბროსის როლი ქართულ-აფხაზური ურთიერობების გაუმჯობესებაში; აფხაზეთში მსახურობისას არაერთხელ მოუწოდა ხალხს ურთიერთ პატივისცემისაკენ, ამ ყველაფერს თავის ქადაგებებითაც გადმოსცემდა, ამბროსი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ადგილობრივებში.

საქართველოს ეკლესია და მისი წევრები განაგრძობდნენ ბრძოლას ავტოკეფალიის აღდგენისათვის. სწორედ დაუღალავმა შრომამ, მონდომებამ, გამოიღო შედეგი და 1917 წლის 25 (ძვ.სტ. 12) მარტს სვეტიცხოვლის ტაძარში გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. დროებით, კათოლიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე. იწყებოდა ახალი რეალობა ქართული სინამდვილისათვის, რადგან ეს არ იყო ერთი რიგითი მოვლენა, 17 სექტემბერს საეკლესიო კრებამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), რომლის ინტრონიცაზია 1917 წლის 14 (ძვ. სტ. 1) ოქტომბერს სვეტიცხოველში გაიმართა. მეორე დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა ამბროსი ხელაია მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა და ჭყონდიდის ეპისკოპოსად აკურთხა.

ეკლესიაში მოვლენები საკმაოდ რთულად წარიმართა, 1918 წლის 27 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II მარტყოფის მონასტერში მოკლეს. ეს მძიმე დარტყმა იყო ქართული ეკლესიისათვის, საქართველოს მთავრობამ (აღსანიშნავია რომ ქვეყანამ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა) ვერ შეძლო მკველობის გამოძიება, განიხილებოდა თვითმკველობის ვერსია, მაშინ როცა 68 წლის კირიონს, დამბლის გამო პირზე ჭიქა ვერ მიჰქონდა დასალევად. პატრიარქი ჯერ ანჩისხატში დაასვენეს, ხოლო 7 ივლისს სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. ეკლესიის ხელმძღვანელობა დაევალა პატრიარქის მოსაყდრეს მიტროპოლიტ ლეონიდეს (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე). ეს უკანასკნელი 1918 წლის 28 ნოემბერს, ჯერ პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 1919 წლის 11 თებერვალს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. ლეონიდე 1921 წლის 11 ივლისს, ოთხშაბათს თბილისში საპატრიარქო რეზიდენციაში გარდაიცვალა, 17 ივლისს დაკრძალეს სიონის ტაძარში. ივლისში გამართულმა საეკლესიო კრებამ პატრიარქის მოსაყდრედ აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი, ხოლო სექტემბერში გამართულმა კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია), აღსაყდრება გაიმართა 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში.

ეს საკმაოდ რთული პერიოდია ჩვენი ქვეყნისათვის; 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკების შემოჭრის შედეგად(რომელსაც ზურგს არაერთი ქართველი უმაგრებდა), საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა და კვლავ რუსების გამო. ბოლშევიკებმა დაიწყეს ეკლესიის შევიწროება, მათ კარგად იცოდნენ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეკლესია ქართველებისათვის. არც სამღვდელოებას და არც პატრიარქ ამბროსის არ შეშინებია ბოლშევიკთა დიქტატურის, ისინი ცხადად აფიქსირებდნენ თავიანთ აზრს, ამის აშკარა მაგალითია გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი წერილი. 1922 წლის 10 აპრილს გენუაში გაიხსნა ეკონომიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 20 სახელმწიფო (ინგლისის დომინიონების ჩათვლით ქვეყნების რაოდენობა 34 იყო) კონფერენცია გაგრძელდა 19 მაისამდე. მიწვეულ ქვეყნებს შორის იყო რუსეთიც, რომლის დელეგაციას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი მეთაურობდა. სწორედ აქ გაიგზავნა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მემორანდუმი, მასში ვკითხულობთ:

„კულტურულ კაცობრიობას გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ წინაქრისტიანულს ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპის ზღვებს შორის, ქართულ მოდგმის ტომებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და აქტუალური ნიჭით მდიდარი სახელმნიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველჰყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიცა აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქართველოს მეფის ერეკლე მეორისა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარა დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკური და ეროვნულკულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ-პოლიტიკურ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ყოფილი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 25 თებერვალს უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილი საქართველოს ხელმეორედ დაადგა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად ჰგრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე. მისმა სულიერმა მამამ და დღეს დღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენების და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მინა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამაპაპურ ეროვნულ კულტურას; დასასრულ, უბღალავენ წმინდათა-წმინდას, სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება; მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია; მისი ეკლესია, ეს ძველის ძველთავე ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლება აყრილია, იმდენად, რომ ნებაც კი არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამოღებისა. ამგვარ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობადა ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვსთქვა: მე როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების დაფასებასა და რეგლამენტაციაში.

→

მაგრამ არ შემიძლია არ

ემიგრანტის ჩანაწერები

„კუნია ბელა“
(ერთი დღე საბერძნეთში)

აივანზე ვზივარ, წინ საბავშვო ბაღის ლამაზი ეზოა ხეებითა და სათამაშო სასრიალოებით... კუნია ბელა, ისმის ბავშვების მხიარული ხმა... ირწევა საქანელა.. ქარში ლივლივებს ოქროსფერი კულულები და პატარა გარუჯული სახეები ღიმილით გაცისკროვნებულან.

ეზოში იქ სადაც მწვანე მინდორია, პატარა წიწილებივით მიმოფანტულან ბავშვები და მთელი სერიოზულობით თამაშობენ... თამაშობენ? იქნებ სულაც არ თამაშობენ და ეს ჩვენ დიდებს გვგონია თამაში, იქნებ ეს მათი სერიოზული ცხოვრებაა, ისინი ხომ ნამდვილად განიცდიან ყველაფერს, ნამდვილად მხიარულობენ გამოგონილ დაბადების დღეებზე, მთელი გულისყურით ზრუნავენ „შვილზე“ ანუ თმაგაჩეჩილ თოჯინაზე. ნამდვილად შეშფოთებულნი გაურბიან გამოგონილ საფრთხეს, იქამდე რომ ამ შიშნარევ სირბილში ეცემიან კიდეც.. მერე მუხლებ დაშავებულნი სწრაფად დგებიან და კვლავ სწრაფად აგრძელებენ სირბილს, ასე მგონია ისინი დიდი ცხოვრებისათვის ემზადებიან, დიდი სიხარულისათვის დიდი საფრთხეებისაგან თავის დაღწევისათვის.

„კუნია ბელაა“, კვლავ ჩამესმის მხიარული ხმები..

კუნია - ბერძნული სიტყვაა და ქართულად საქანელას ნიშნავს, ახლა საბერძნეთში ვარ, ათენში. სახლის წინ სადაც ვმუშაობ, ზუსტად ორ ნაბიჯზეა ეს საბავშვო ბაღი. ზოგჯერ მამხიარულებენ, ზოგჯერ კი სევდას მგვრიან იქ მოთამაშე პატარები.

ახლა მათმა ხმამ, არც თუ ისე შორეულ წარსულში დამაბრუნა და უკვე ქართული ჟღურტული ჩამესმის, ჩემი პატარა ქართველი აღსაზრდელებისა, ისე ცხადად ვხედავ მათ სახეებს გული მეკუმშება.

- მაშინ 21 წლის ვიყავი, უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ბაღდათის საბავშვო ბაღში დავიწყე მუშაობა მასწავლებლად....

- ანა მასწავლებელო! ნახეთ კუსნატამ თქვენს მაგიდაზე კევა დადოო! ოციოდე პატარა თითქმის ერთხმად მეჭიკჭიკება და იმ საღეჭ რეზინაზე მითითებს, რომელიც ჩემი საწერი მაგიდის კუთხეში დევს,

„კუსნატა“ შერქმეული, ზედმეტი სახელია, იქვე დგას ცოტა დარცხვენილი, მზედაკრულ სახეზე ოდნავ სიწითლე გადაკვრია, მშვენიერი, სიცოცხლითა და სიხალისით სავსე ბიჭუნაა,

არ ვიცი რისი რცხვენია... ვუახლოვდები ლოყაზე ვკოცნი და ვეკითხები:

- რატომ დადე აქ ეს კევა?

- შენ მოგიტანე მასწავლებელო, მპასუხობს ომახიანი ხმით და თვალებში სიხარული უბრწყინავს სიამაყესთან ერთად.

- მაჩუქე? ვეკითხები რომ უფრო კარგად ჩავწვდე მისი ამ გადაწყვეტილების აზრს და გაღიმებული ველოდები პასუხს.

ჯერ კიდევ მთლად პატარები 4,- 5 წლისანები არიან, მათ ასეც იციან რაიმეს გაჩუქებენ რომ გაგახარონ, მერე კი გული წყდებათ იმ საჩუქრებზე და წასვლის წინ უკან ითხოვენ..

- სიცილით ვკვდები როცა ასე ხდება, საჩუქრები კი იცოცხლე, ბევრი მაქვს. რა არ მოაქვთ: დილით პატარა ჯიბეები დატენილი აქვთ ჩემთვის მოტანილი შოკოლადებით, საღეჭი რეზინებით, თმის სამაგრებით, გულსაბნევებით, ოქროსფერი გასაღებებით- ნივთებით, რომლებიც როგორც სჩანს მათთვის ძვირფასი და ღირებულია!

მე ამ საჩუქრებს კარადაში ვინახავ, საღამოს კი მათ მშობლებთან გამომაქვს.

-ჰოო თქვენთვის წამოიღო ღიმილიანი სახით მიდასტურებენ მშობლები...

ლამის ვიტირო ისე მიხარია, საჩუქრები კი არა ამ ბავშვების სიყვარული მიხარია ჩემს მიმართ, რომელსაც ასე გამოხატავენ.

ისინი ხომ პატარა ხელებით, რომლითაც საჩუქარს მაძლევენ, თავიანთ გულებსაც მიწვდიან, თავიანთ სუფთა პატარა გულებს, სავსეს სითბოთი და სიყვარულით!

- გაჩუქეთ, ამაყად მეუბნება კუსნატა, ისე ამაყად რომ გეგონება, ერთი საღეჭი რეზინი კი არა, მთელი სამყარო ეჩუქებინოს ჩემთვის. მეც უდიდესი სიხარულით ვიღებ საჩუქარს ....

მერე მეცადინეობას ვაგრძელებთ...

თბილი მზის სხივები, ლამაზად ლიცლიცებენ ფანჯრის მინებზე და საბავშვო ოთახში, ოქროსფრად იღვრება მზე. მაგიდაზე ჭადრის ყვითელი ფოთლები მაქვს დახვავებული და მოწნული კალათით მწიფე ხილი მიდგას, გარეთ ოქროსფერი შემოდგომა ითაფლება..

- წელიწადის რა დროა ახლა ბავშვებო? ვკითხულობ, ჯგუფს გადავხედე, თითქმის ყველა მიწევს ხელს საპასუხოდ

- შემოდგომაა - მიპასუხეს.

- ადრეული შემოდგომაა, ვაზუსტებ მე. და ვაგრძელებ

- რომელი ფრინველები მიფრინავენ თბილ ქვეყნებში ზამთრის სიცივეს რომ თავი დააღწიონ?

- მერცხლები - მეჟღურტულებიან პატარები....

- მერცხლები ჩვენი ქვეყნის ემიგრანტი ჩიტუნები.. მერცხლები რომელთაც სამშობლო ძალიან უყვართ და ათას მთას და ზღვას გადალახავენ, რომ შინ დაბრუნდნენ. თუმცა მაინც მიფრინავენ შემოდგომაზე .. სამშობლოდან შორს რომ ზამთრის სუსხისაგან თავი გადაირჩინონ. მეც ერთ გვიან შემოდგომაზე დავტოვე საქართველო, ცხოვრების ყინვასა და სუსხს გამოვექეცი, თუმცა გული, გული იქ დავტოვე, ჩემს ლამაზ სამშობლოში.

- „კუნია ბელა“, კვლავ ჩამესმის პატარების ხმა და რეალობაში ვბრუნდები.. ახლა ეს სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ხმებია ჩემი სალბუნი, ეს პატარები კი სიცოცხლის მომნიჭებელნი. მათი გულწრფელობისა და უმანკოების შემხედვარეს, უფლის სიტყვები მახსენდება: „-ვინც ბავშვივით გულწრფელი არ იქნება ის სასუფეველში ვერ შევაო“. უფალს არ დაუყვია ეროვნების მიხედვით ბავშვები, ყველა ბავშვი ერთნაირად უმანკო და მოსიყვარულეა. ვუცქერ ჩემს წინ მხიარულად მოთამაშე, ბერძენ ბავშვებს და გული მათ მიმართაც ისეთი სიყვარულით მევსება, როგორც ჩემი ქართველი აღსაზრდელების მიმართ. თუმცა ახლა, შორიდან, მე ხომ მასწავლებელი აღარ ვარ...

ანა (ანასტასია) მჭავანაძე

ამბროსი აღმსარებელი

ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან. 2. საშუალება მიეცეს ქართველერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოდ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ-კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალ პატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემის პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოისა, 7/II-22 წ. ტფილისი“

ეს დიდი დარტყმა იყო ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის, საქმეში აქტიურად ჩაერთო ცეკა, გამოყვეს სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა მასალები და გადაეწყვიტა პატრიარქის პასუხისმგებლობაში მიცების საკითხი, ამბროსის იბარებდნენ დასაკითხად, საქმეს უშუალოდ კურირებდა ჩეკას თავმჯდომარე კოტე ცინცაძე, ბოლშევიკებმა დაიწყეს კათოლიკოსის თვალთვალი, ისინი მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდნენ, მათი რეპრესიული პოლიტიკა საკმაოდ მძიმე იყო, 1922 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით საპატრიარქოს ჩამოართვეს რეზიდენცია. ბოლშევიკები ხურავდნენ ეკლესია-მონასტრებს, ართმევდნენ საეკლესიო ქონებას, მეტიც 1923 წლის 12 იანვარს ჩეკას განკარგულებით დააპატიმრეს საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრები: კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი კალისტრატე, მცხეთის სვეტიცხოვლის წინამძღვარი არქიმანდრიტი პავლე, სიონის ეკლესიის წინამძღვარი მარკოზი, დაპატიმრებულნი თბილისის მეტეხის ციხეში გადაიყვანეს.

1924 წლის 10-19 მარტს მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი ნაძალადევის მუშათა თეატრში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე პატრიარქის სიტყვამ:

“...რელიგია არ არის სახელმწიფოსგან წარმოშიბილი და დანესებული, მას აქვს თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა, სახელმწიფო და ეკლესია ამის გამო ორი სხვადასხვა დაწესებულებაა, მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა. თავისი დანიშნულების აღსრულებაში ორივე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.

...მე არ ვეკუთვნი არცერთ პარტიას, ჩემთვის სულერთია რომელი პარტიის ხელში იქნება მართვა-გამგეობა, რომელს ექნება ძალაუფლება და რომლის დიქტატურა იქნება დამყარებული. ამის განხილვაში შესვლა ჩემი საქმე არ არის. მხოლოდ მრწამს და სასურველად მიმაჩნია მართვა-გამგეობა დამყარებული იყოს ხალხის ნებისყოფაზე და თვითგამორკვევაზე, ხალხის სურვილი ჩემთვის კანონია.

... ჩემი 37 წლის სამსახური მე მოვანდომე გარუსების პოლიტიკასთან ბრძოლას, ვიბრძოდი როგორც მოქმედებით, ისე პრესის საშუალებით რამაც შემძინა აუწერელი დევნილობა და ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ტკბილი და მყუდრო დღეები. ორჯერ განვიცადე სამშობლოდან ექსორიობა, ორჯერ ვიყავი გადასახლებული რუსეთში და ორჯერვე სამშობლოში დამაბრუნა რევოლუციამ“.

ნიშანდობლივია, რომ არც ერთ მსჯავრდებულს დანაშაული არ უღიარებია, მიუხედავად ამისა სასამართლომ 19 მარტს განაჩენი გამოიტანა, ბრალად წაუყენა სისხლის-სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის დარღვევა (უცხო სახელმწიფოსთან ან მის წარმომადგენელთან ურთიერთობის დაჭერა მის დასაყოლიებლად რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებული ძალით ჩარევისა). ამის გამო ისინი სიკვდილით დასჯას იმსახურებდნენ, მაგრამ გაითვალისწინეს რა მათი ასაკი, პატრიარქს მიესაჯა 7 წლით და 9 თვით დაპატიმრება, 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით, კალისტრატე ცინცაძეს 3 წლით და 9 თვით, 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით, მარკოზ ტყემალაძეს 9 თვით, 23 დღით სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების ჩამორთმევით.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა სასამართლოს მიმართა ცნობილი სიტყვებით: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული - სამშობლოს, გვამს კი რაც გინდათ ის უყავით“.

1925 წლის 10 მარტს დაპატიმრებულები თითქოსდა მათი შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლეს, მიუხედავად ამისა ბოლშევიკები არ წყვედნენ პატრიარქისა და მისი გარემოცვის თვალთვალს, მაგრამ ამჯერად მათ ტაქტიკა შეცვალეს და მიზნად დაისახეს სამღვდელოების შიგნით განხეთქილების მოწყობა და ამ გზით ეკლესიის დამორჩილება. პატრიარქს ციხეში ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა, გამოსვლის შემდეგ ხშირად ავადმყოფობდა, რა თქმა უნდა ბოლშევიკების ამ ქმედებებმა ძლიერ იმოქმედა მასზე, პატრიარქი ამბროსი 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა, 3 აპრილს ის სიონის ტაძარში დაკრძალეს.

ამბროსი ხელაიას დიდი ღვაწლი ქვეყნისადმი, ეკლესიისადმი არ დაუვიწყებია მომავალ თაობას, 1995 წლის სექტემბერში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მონაწილეობით საეკლესიო კრებამ ის წმინდანად შერაცხა წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის სახელით, მისი ხსენების დღედ დააწესა 16 (29) მარტი, აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამბროსი ხელაიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ ნათლად დავინახეთ თუ რაოდენ დიდია პატრიარქ ამბროსის როლი სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე, მოკლედ მიმოვიხილეთ მისი მრავლისმეტყველი ბიოგრაფია, ვაჩვენეთ როგორი დიდი, თავდაუზოგავი შრომა გასწია საკუთარი ხალხისათვის. ბიბლია ამბობს: „მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი რჩეულნი“ (მათე, 22-14), სწორედ ამ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია.

თსუ-ს პირველი კურსის სტუდენტი:
ალექსანდრე მაჭავარიანი,

თსუ-ს მეოთხე კურსის სტუდენტი: **ვიტალი მაჭავარიანი**

სტატის ავტორებს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვთ (რედ.).

ჯანმრთელობის გვერდი

მომავლის საკვები

1- დედამიწაზე დიდი ხანია ბატონობს სიცრუე და ჩვენ ამ სიცრუის ტყვეობაში ვართ. არაადამიანების მცირე ნაწილმა ძალადობით და სიცრუე-ეშმაკობით ხელთ ჩაიგდეს დედამიწის მთელი სიმდიდრე და ჯერ არ გაგონილი მახინჯი სისტემა შექმნეს, სადაც ცხოველს უფრო აქვს გარანტირებული არსებობის უფლება, ვიდრე ადამიანს. მიზნად დაისახეს დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. ცრუ დემოკრატიის გზით სათავეში მოჰყავთ თავიანთი კადრები, უხვად აფინანსებენ მათ და მათი დახმარებით გვაღატაკებენ, თავს გვახვევენ უზნეო იდეოლოგიებს. ქვეყნების დიდი რაოდენობა დამოკიდებული გახადეს დოლარზე, ე.წ. „მწვანე ქაღალდზე“, რომელიც სამართლიანად შეარქვეს საქმეში კარგად ჩახედულმა ეკონომისტებმა. დოლარი ნამდვილად არის ხისგან გამოჭრილი მწვანე ქაღალდი. ადრე 60-70-იან წლებამდე ქვეყნებში არსებობდა შესაბამისობა ადგილზე არსებულ ოქროსა და ქაღალდის ფულს შორის. ამჟამად დოლარის უკან აღარაფერია და ქვენების საკუთარი ვალუტები კი მიბმულია დოლარზე. ამგვარად დარჩა დოლარი მხოლოდ ქაღალდი და მას რატომ დაიშურებენ სხვა ქვეყნებისთვის, თუ იქიდან ძვირფასს საგანძურს წამოიღებენ? განა იმდენი ხე არ მოეძებნებათ ტრილიონობით დოლარები ბეჭდონ? რატომაც არა, საბეჭდი დაზგებიც ხომ მათ ხელშია? დღეს ასე იმონებენ სახელმწიფოებს და ასე ანადგურებენ მოსახლეობას. როცა ამ განუკითხაობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ....ხომ უნდა გამოვფხიზლდეთ და დავფიქრდეთ -2- თუ არ გამოვფხიზლდით და არ ვიმოქმედეთ, სამყაროს შემოქმედი ყველას ერთად გაგვანადგურებს. რამდენჯერ დაგვიმზადებენ ნოეს კიდობანს? დავფიქრდეთ! როცა ყველაფერი მათ ხელშია, ვინც ეს მახინჯი სისტემა შექმნა და ვისაც მოსახლეობის რაოდენობის შემცირება სურთ დედამიწაზე, ადამიანების სწორი მკურნალობის მიმართულებას შემოგვთავაზებენ? კომპეტენტური ადამიანები ამბობენ, „ადრე ექიმს ხელფასს უხდიდნენ განკურნებული ავადმყოფების მიხედვით, ახლა კი ავადმყოფების რაოდენობითო“ ავადმყოფები რომ სრულად განიკურნონ, ხომ დარჩნენ მათი ერთგული ექიმები უმუშევარი? სად გაყიდონ ძვირადღირებული და არაფრის მომცემი ქიმიური მედიკამენტები? ვინც ადამიანების ერთგულია და ნამდვილად სურს ავადმყოფის განკურნება, ვინ მისცემს უფლებას სისტემის დიქტატს გადაუხვიოს. ყველას კონტროლი ძნელია და საქმე რომ გაიდვილონ, უვიცებით აავსეს სამედიცინო დაწესებულებები, მათი მართვა ადვილია. დღეს, ყველაზე ვერაგ დაავადებად სიმსივნე ითვლება. კომპეტენტური ადამიანები ამტკიცებენ, რომ იგი არასწორი კვების შედეგია და მისი განკურნება სავსებით შესაძლებელია ორგანიზმში მჟავა-ტუტის თანაფარდობის აღდგენით და უმი საკვების მიღებით, მაგრამ ღირსეულ და მცოდნე ადამიანებს ხომ გასაქანს არასდროს აძლევენ. წამიკითხავს, რომ იტალიელი ექიმი, რომელიც წარმატებით კურნავდა სიმსივნით დაავადებულებს, ცრუ ბრალდება შეუთითხნეს და დააპატიმრეს. ბევრს ემახსოვრება ბრწყინვალე მკვლევარი ალექსანდრე გაჩეჩილაძე, რომლის მიერ შექმნილი პრეპარატი„კატრექსი“ ნამდვილად შველოდა ავადმყოფებს. დავიწყოთ მთავარიდან! ღმერთმა ადამიანი კი შექმნა ხატად თვისა, მაგრამ იმ ბუნებაში და გარემოში ჩასვა, ისეთივე კვება დაუწესა, როგორც დანარჩენ ბუნების შვილებს. დავფიქრდეთ! ცეცხლი ხომ ადამიანმა განვითარების გარკვეულ ეტაპზე აღმოაჩინა და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო საკვების შეწვა-მოხარშვა. მანამდე როგორ ცხოვრობდნენ? დასკვნა ერთია, იკვებებოდნენ მხოლოდ ნატურალური საკვებით. აქ ისმება კიდევ მთავარი კითხვა. ეკუთვნის თუ არა ადამიანი მტაცებელ ცხოველთა რიგს? არ ეკუთვნის. საიდან ვასკვნით? მტაცებელ ცხოველებს წინ აქვთ გრძელი კბილები, ეშვები, რათა მკვრივი ხორცის დანამცეცება შეძლონ. აქვს ადამიანს მსგავსი ეშვები? არა! მაშ, როგორ მოახერხებდნენ ცხოველის ჭამას? ე.ი. ჩვენი წინაპრები ხორცით არ იკვებებოდნენ და გარდა ამისა, როცა მტაცებელი თავის მსხვერპლს იჭერს, მას მიირთმევს უმად და არა მოხრაკულ-შემწვარს, სადაც ორგანული ნაერთები, შეიძლება ითქვას, საწამლავად იქცევიან ადამიანის ორგანიზმში. ახლა წარმოვიდგინოთ გასაყიდად გამოტანილი მზა ხორცპროდუქტები, რომელსაც დიდხანს შენახვის მიზნით, დამატებული აქვს ქიმიური კონსერვანტები და მივხვდებით რასთან გვაქვს საქმე „.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიური მედიკამენტები სამკურნალო არ არის. ისინი დროებით აჩერებენ ტკივილს, მაგრამ ტკივილის გაჩერება განკურნებას არ ნიშნავს. როცა ორგანიზმში ტკივილს ვგრძნობთ, ნიშნავს რომ უჯრედს უჭირს, საკვები სჭირდება, ჩვენ კი ვაწვდით საწამლავს ქიმიური პრეპარატის სახით. ამით უჯრედი კვდება და ტკივილიც ქრება, მაგრამ თუ ასე გამუდმებით დავხოცავთ უჯრედებს, მათი ფუნქცია რამ უნდა შეასრულოს? სედეგად ვღებულობთ ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას.

ტემპერატურის გამოყენებამ კვების დარგში, საკვები კი გახადა უფრო გემრიელი, მაგრამ მისი კვებითი ღირებულების შემცირების ხარჯზე. კი, რატომ არა, თუკი შეგვიძლია საკვები გემრიელი გავხადოთ, მაგრამ არა ტემპერატურის გამოყენებით. ადამიანი არ დაბადებულა მხოლოდ პირის გემოსთვის, მას უფრო დიდი მისია დაეკისრა სამყაროს პროგრესისა და ადამიანთა გაკეთილშობილებისათვის. სხვა შემთხვევაში ცხოველსა და ადამიანს შორის განსხვავება აღარაფერი რჩება. საბჭოთა კავშირის პერიოდში გვასწავლიდნენ, რომ ხორცი აუცილებლად უნდა მივიღოთ, რადგან იგი სრულფასოვანი ცილების წყაროა. სრულფასოვანი იმიტომ არის, რომ ყველა ამინომჟავას შეიცავს, რაც ცილის აგებისათვის აუცილებელია და ამ ამინომჟავებს „შეუცვლელი ამინომჟავები“ ეწოდებათ. ასეთი სრული შემადგენლობით კი მცენარეულ ცილებში არ მოიპოვებიან და ყოველთვის აკლიათ ესა თუ ის ამინომჟავა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ თავად ბალახისმჭამელი ცხოველები როგორ ახერხებენ სრულფასოვანი ცილების შექმნას? რატომ ადამიანს არ უნდა შეეძლოს იგივე და რატუმ უნდა ცდილობდეს იგი მზამზარეული მიიღოს ცხოველიდან? სწორედ აქ ჩანს ადამიანის ორგანიზმის დაჩლუნგება. ცხოველი ხასხასა ორგანულ ბალახს მიირთმევს, ჩვენ კი სანახევროდ არაორგანული საკვებით ვიკვებებით.

ადამიანის ორგანიზმი აწყობილია ისე, რომ მან ნედლი საკვები უნდა გადაამუშვოს. ფერმენტების მოქმედებით საკვების რთული ნაერთები უნდა დაშალოს მარტივ ნაერთებად და ამ სახით შეითვისოს. ჩვენ კი საკვების რთულ ნაერთებს ტემპერატურით ვშლით და შეუძლია ორგანიზმს იგი შეითვისოს? ფერმენტებით დაშლილი და ტემპერატურით დაშლილი ერთი და იგივეა? როგორ იქნება ერთი და იგივე როცა ტემპერატურა თვითონ ფერმენტებს შლის. ტემპერატურას ორგანული ნაერთები არაორგანულში გადაჰყავს და არაორგანულით რომ კვება შეიძლებოდეს, ცხოველსაც არ დასჭირდებოდა ბალახის ჭამა, პიდაპირ მინას შეჭამდა და კმაყოფილი დარჩებოდა

ამრიგად საკვების შეწვის და მოხარშვის პერიოდში ორგანული ნაეთების დიდი რაოდენობა არაორგანულში გადადის, რასაც ორგანიზმი ვეღარ იყენებს. რატომ ურჩევენ ხშირად ექიმები, ავადმყოფებს საკვები შემწვარის ნაცვლად მოხაშული მიიღონ? იმიტომ, რომ დუღილის დროს ორგანული ნაერთები უფრო შენარჩუნებულია, ვიდრე შეწვის დროს. შეწვის

დროს ტემპერატურა ისე მაღალია, ტემპერატურისადმი ყველაზე გამძლე მიკრობიც კი კვდება. გარდა ამისა ცხიმის დუღილის შედეგად კანცეროგენული ნაერთები გამოიყოფა, რაც სიმსივნის განვითარებას უშუალოდ ხელს უწყობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თუ მთლიანად ვერ მოვახერხებთ უმისაკვებით კვებას, დიდი რაოდენობით მაინც უნდა შევიტანოთ რაციონში ხილის, ბოსტნეულის, თხილეულის სახით, რადგან ორგანიზმში განუწყვეტლად მიმდინარეობს დაბერებული უჯრედების სიკვდილი და ახალი უჯრედების წარმოქმნა. ახალი უჯრედების წარმოქმნა მოხარშულ და შემწვარ საკვებს არ შეუძლია, რადგან მათში ფერმენტები მკვდარია და ვიტამინები დაშლილი. მკვდარი ფერმენტი ცოცხალ უჯრედს ვერ წარმოქმნის და ორგანიზმში მიმდინარეობს მხოლოდ ენერგეტიკული ბალანსის შევსება. სწავლულები ამტკიცებენ, რომ სიმსივნეს და საერთოდ ყველა დაავადებას არასწორი კვება იწვევს. მოვუსმინოთ დოქტორ უოკერს. „კონცენტრირებული და ხორცეული საკვების მიღებისა, საჭირო ორგანული საკვების უკმარისობისგამო, ეპიტელიალური უჯრედების ნახევრად მშიერი ჯგუფები ან ქსოვილები მრავლდება და სისივნედ ყალიბდება„ცხოველური საკვების მონელება ადამიანს უჭირს. იგი დიდხანს ტრიალებს ორგანიზმში, რაც საკვებით დაკმაყოფილების გრძნობას კი იწვევს, მაგრამ ვერ ინელებს და გამოდევნას ცდილობს. ამ პროცესში გამოიყოფა დიდი რაოდენობით შარდმჟავა და ილექება კუნთებში სახსრებში და სხვა ადგილებში. შარდმჟავას კრისტალების დაგროვება ორგანიზმში ძლიერ ტკივილს იწვევს. მოხარშული და შემწვარი საკვების მიღებით, ამავე დროს ორგანიზმს ფუნქციას ვუკარგავთ და შესაბამისი ორგანოები გადაგვარებას-ატროფიას განიცდიან. შედეგად კი იმუნიტეტი ქვეითდება. მას ემატება ამ საუკუნის ნერვიული და დაძაბული ცხოვრება, სტრესი, მოწამლული წყალი და ჰაერი. ამიტომაც ადამიანი ცოცხლობს ბევრად უფრო ნაკლებს, ვიდრე ბუნებით დაკანონებულია და იღუპება არა ასაკის, არამედ ავადმყოფობის გამო.

ტექნიკის უკონტროლო განვითარებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ბუნებას და ადამიანს. ვინ და რატომ გამოიგონა ხორბლისგან კანის გაცლა თეთრი ფქვილის წარმოება? იმიტომ რომ გამომცხვარ პურს ლამაზი გარეგნობა ჰქონდეს? ამით მას გამოაცალეს B ვიტამინით მდიდარი ნაწილი და ძვლების სიმაგრისთვის საჭირო ელემენტები. ძირითადად მასში დარჩა სახამებელი და მისი დიდი ნაწილიც, პურის მაღალი ტემპერატურით ცხობის პროცესში, არაორგანულ ფორმად, წებოდ გადაიქცა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ადრე პურის ცომის გაფუება ხდებოდა ბუნებრივი საფუარით. ამჟამად იყენებენ ხელოვნურს, რომელიც ტემპერატურას უძლებს და ორგანიზმში რჩება, რაც საუკეთესო საკვები არის სიმსივნის უჯრედებისთვის. ამიტომ უმჯობესია ხორბალი შევიძინოთ, დავფქვათ და პური სახლის პირობებში ტაფაზე გამოვაცხოთ. ცომის აფუება უნდა მოხდეს მჟავე ცომით, ან გამოცხვეს საერთოდ აფუების გარეშე. ცხობა სახლის პირობებში დაბალ ტემპერატურაზე და მოკლე დროით მიმდინარეობს და არასასურველი ცვლილებებიც მასში მინიმალური იქნება. აქვე საჭიროა თეთრ შაქარსაც შევეხოთ. იგი არ წარმოადგენს ნატურალურ საკვებს და მისი მავნებლობა დიდი ხანია დადასტურებულია. დაავადება „დიაბეტი“ სწორედ ამ შაქრის დიდი რაოდენობით მოხმარების შედეგად ვითარდება. აქაც იგივე პრინციპი მოქმედებს. თეთრი შაქარი არის სახაროზის არაორგანული სახე. იგი რთული ნაერთია და უნდა დაიშალოს გლუკოზად და ფრუქტოზად. ასეთი სახით უნდა აითვისოს ორგანიზმმა, მაგრამ რადგან თეთრ შაქარში მისი დამშლელი ფერმენტი არ არსებობს, დროთა განმავლობაში საერთოდ ვეღარ ითვისებს ორგანიზმი და დაავადება ვითარდება. ორგანული სახით იგი ყველა ხილ-ბოსტნეულში შედის მეტნაკლები რაოდენობით. სახაროზას დიდი რაოდენობით შეიცავს ლერწამი და შაქრის ჭარხალი. შაქარზე მოთხოვნილება შეიძლება დავაკმაყოფილოთ თაფლით, ქიშმიშით და საერთოდ ყველა გამშრალი ხილით.

უამრავი დაკვირვების შედეგად მტკიცდება, რომ საკვები პროდუქტი მხოლოდ ნატურალური სახით უნდა გამოიყენებოდეს. ასე არის დაწესებული ბუნებისგან, მაგრამ 21-ე საუკუნემდე მოსულიკაცობრიობა ამ ჭეშმარიტებას ნუთუ აქამდე ვერ მიხვდა? თუ ესეც მავნებლების მიერ დაგებული მახე არის ადამიანების დასაავადებლად და დასაღუპად? ჩვენ ხშირად გაკვირვებულნი ვუცქერთ ჰოლივუდის ვარსკვლავებს, რომლებიც ღრმა ასაკშიც კი ინარჩუნებენ თავიანთ სახეს. ისინი მაღალი იერარქიებიდან ფინანსდებიან და განა იმ საკვებიტ კვებავენ, რასაც ჩვენ გვთავაზობენ მაღაზია-რესტორნებში? მათ თავიანთთვის ყველაფერი საუკეთესო აქვთ. ჩვენ კი ყველა გზებით გვებრძვიან და თუ არ გამოვფხიზლდით მთელ ერს კატასტროფა არ აგვცდება. შემოქმედმა ნუთუ ამისთვის მოგვცა აზროვნების უნარი, რომ გავანადგუროთ ბუნება, მოვწამლოთ ოკეანეები, ზღვები და ჰაერი? ვისაც არ გვსურს ცხოველს დავემსგავსოთ, მხოლოდ ჭამაში და ძილში არ გავატაროთ ღვთისგან ბოძებული სიცოცხლე, ძლიერნი ამა ქვეყნისანი გვაძლევენ საშუალებას ვიმოქმედოთ ბუნების და ადამიანების გადასარჩენად? უკიდურესად გაგვაატაკეს რათა გადავშენდეთ და მით უმეტეს საერთოდ აღარ შეგვრჩეს იდეალებზე ფიქრის უნარი. როცა ცდილობ და არ გამოგდის, წინ გხვდება ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებანი, უსამართლობა, უკანონობა, ვნერვიულობთ, ვღებულობთ სტრესს და საბოლოოდ ჯანმრთელობას ვანადგურებთ. ამ უბედურებას რატომ დავამატოთ კიდევ ამ ბოროტების მიერ მოწოდებული საკვები? რუსულ ტელევიზიებს საკმაო დრო ეთმობათ კვების საკითხების გაშუქებაში და ხალხს გონებას უხსნიან. ჩვენი ტელევიზიები კი არაფრისმომცემი შოუებით არის დაკავებული. მოუსმინეთ მათ გადაცემებს, ოსტროვსკის, ფროლოვს და კიდევ უფრო დარწმუნდებით სწორი კვების აუცილებლობაში. ერთ-ერთი გადაცემის დროს ოსტროვსკიმ აღნიშნა. „დამიჯერეთ მე!, თქვენ გოებს ამას არავინ გეტყვით“. შემდეგ ეკრანთან ახლოს მოიწია და თითქოს ჩაგვჩურჩულა, „თუმცა რა უნდა გითხრან ამის შესახებ თავადაც არ იციან“ ჩვენ „გოები“ ხომ „დაბალი კატეგორიის“ ვართ და სიმართლე არ უნდა ვიცოდეთ. ბოლო დროს შენიშნება უკვე სწორი კვების ანტიპრობაგანდა რუსეთში. ჩნდება გაზეთში უარყოფითი დასკვნები, გამოჰყავთ ცალკეული პირები და ყვებიან როგორ შეუქმნათ პრობლემები უმი საკვებით კვებამ. ვინ დაამტკიცა, რომ მათი პრობლემები საკვების ბრალია? გენზე და ორგანიზმზე არაფერია დამოკიდებული? ცხოველები ავად არ ხდებიან? მაგრამ ამ გზით სურთ ჩანასახშივე ჩაახშონ ეს მიმდინარეობა. ბოროტები და გაუმაძღრები შეშფოთდნენ. თუ ყველამ თავი დაანება ცხოველის ჭამას და ნატურალურ საკვებზე გადავიდა, სად წაიღონ ქიმიური კონსერვანტებით გატენილი ძეხვები, სოსისები და სხვა ცხოველური პროდუქტები? ალენ დალესის ცნობილი დოქტრინა გავიხსენოთ, „ჩვენ დავწერთ ხან მართალს, ხან ტყუილს, რომ თქვენ ვერ გაიგოთ, სად არის ჭეშმარიტება“. ოსტროვსკის ეკითხებიან დაბნეული ადამიანები, როგორ მოვიქცეთ, გავაგრძელოთ ნატურალური საკვებით კვება, თუ ძველებურ საკვებს დავუბრუნდეთ?. იგი ხუმრობს. „აბა რა! გააგრძელეთ ძველებურად კვება. თუ თქვენ ყველამ შენყვიტეთ ხორცის ჭამა და ნატურალურ საკვებზე გადახვედით, ავად აღარ გახდებით და ხომ დარჩნენ თქვენი ექიმები უმუშევარი? მაშინ ისინი გახდებიან ავად, როგორ არჩინონ ოჯახები? რა შეიცვლება ქვეყანაში? სჯობს გავაგრძელოთ ძველებურად კვება. სამაგიეროდ ქვეყანაში გვეყოლება ბევრი ავადმყოფი და ბევრი ექიმი. ასე ორივენი ერთად ბედნიერები ვიქნებით“. ბოლოს თავისთვის ჩაილაპარაკებს. „რა ბარდაკში ვიმყოფებით“ გეთანხმებით ბატონო ოსტროვსკი, სრულ „ბარდაკში“ ვიმყოფებით. ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის ძვირფასო მეგობრებო! დავიწყოთ ნატურალური საკვების ძიება და ვისწავლოთ სწორი კვება. დავზოგავთ თანხას, ელ-ენერგიას, გაზს და ფიზიკურადაც გავძლიერდებით გისურვებთ ჯანმრთელობას და უკეთეს მომავალს.

ნინო კეკელია

ლია წერილი ჯემალ ჯანელიძეს!



ბატონო ჯემალ, 2016 წლის 9 სექტემბერს „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდნახევარზე გამოქვეყნდა თქვენი სტატია „წმინდა, ფეხშველად სავალი...“, რომელიც მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძართან ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსებასთან დაკავშირებულ პოლემიკას ეხება.

ამ სტატიის ერთმა ადგილმა მაშინვე აღმიძრა თქვენთან კრიტიკული შეპაექრების საჭიროება, მაგრამ აღარ დამცალდა: სწორედ იმ ხანებშივე თბილისის იგივე პანთეონების ირგვლივ მავანთაგან მავნებლურად გაჩაღებულმა პოლემიკამ პირველ რიგში კრიტიკული წიგნის დაწერა შთამაგონა და ამიტომ ვეღარ შეგეხმიანეთ, ვინაიდან ორ ფრონტზე ერთდროულად პაექრობა ჩემს მოკრძალებულ შესაძლებლობებს აღემატება!

მართალია, ის 216-გვერდიანი წიგნი „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“ 2017 წლის მაისში გამოვაქვეყნე, მაგრამ არ დავმალავ - ისევ პანთეონებთან დაკავშირებული პოლემიკის ქარცეცხლში ხელახლა გადაშვება გაბედულებას ძირშივე მისუსტებდა!

დაე, ახლა თქვენთან ერთად მკითხველებმაც განსაჯონ: ამდენი ხნის მანძილზე მოუშორებელ საწუხარს როგორ უნდა ვეტანჯე, რომ ბოლოს ჩემთვის მაინც დაეძლევინებინა ეს შებოჭილობა! თუმც მოუსყიდველი გარემოება დროის ამ ხანდაზმულობას მალე ისე გადმომიგდებს, როგორც წყალწაღებულს - მაშველ რგოლს!

მაშ, დავიწყოთ!

თქვენ ქართულ საზოგადოებასა და ჩვენს სახელოვან არქიტექტორებს მახათას პანთეონის მოწყობის ასეთ მოდელს სთავაზობთ.

„ვფიქრობ მიწის ნაკვეთი თავიდანვე უნდა გაიყოს ორ ძირითად ნაწილად: შესასვლელში, ფერდობის ქვედა ნაწილი უნდა დაეთმოს სასაფლაოს, სადაც დასაფლავდებიან გარდაცვლილები, რომლებიც განსასვენებლად იმსახურებენ პანთეონს

* ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია.

და რომელთაგანაც 5-7 წლის შემდეგ საზოგადოებისა და საყოველთაოდ აღიარებულ ქართველთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გადასვენებულნი იქნებიან სასაფლაოს (მეორე), ზედა ნაწილში, რჩეულთა შორის რჩეულთა საუკუნო განსასვენებელში“.

ბატონო ჯემალ, ამ წლინახევრის გალევის შემდეგაც ნუთუ ისევ ამავე თვალსაზრისზე დგახართ?

სად თქმულა და გაგონილა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თანამედროვე პანთეონში (!) თან კიდევ მეორე, იქ დროებით (?!) დაკრძალულ მოღვაწეთა შემდგომი, შერჩევითი გადანაწილებისთვის დანიშნული... სასაფლაოც იყოს?! რასაც თქვენ გვთავაზობთ, ეს ხომ ახალი, თანამედროვე პანთეონის დაარსებას კი არა, მაპატიეთ და, პანთეონობანას თამაშს უფრო დაემსგავსება!!!

კი მაგრამ, ახალი პანთეონის თქვენეული ფანტასტიკური პროექტის მიხედვით „ფერდობის ქვედა ნაწილში“ დასაფლავებულები თუკი მართლა იმსახურებენ „ზედა ნაწილში, რჩეულთა შორის რჩეულთა საუკუნო განსასვენებელში“ გადასვენებას, მაშ, ხელს რაღა შეუშლიდა თქვენ მიერ ნდობით აღჭურვილ „საზოგადოებისა და საყოველთაოდ აღიარებულ ქართველთა“ მიერ ეს მათი გარდაცვალების შემდეგვე მომხდარიყო და არა მითქმა-მოთქმით, დაუმარცხებელი პროტექციონობის მიკრობით დასნებოვნებული რაღაც 5-7 წლის მოგვიანებით, რაც, ცხადია, ღირსეულ მამულიშვილთა სულსა და ნეშტს ხელახლა შეაწუხებდა, თან ჭირისუფალთა განმეორებით გლოვა-მწუხარებას, ზედმეტ სახელმწიფო ხარჯებსა და საზოგადოების ვნებათა ღელვას გამოიწვევდა!

ბ-ნო ჯემალ, ანდა თქვენ მიერ ნანატრ „საყოველთაოდ აღიარებულ ქართველთა“ შორის გამოჩნდებიან კი ისეთი პიროვნებები, რომლებიც თავიანთ თავზე უშიშრად აიღებენ 5-7 წლის მოგვიანებით „ფერდობის ქვედა ნაწილიდან“ „ზედა ნაწილში“ გადასვენების მხოლოდ და მხოლოდ ღირსეულ კანდიდატთა შერჩევის შეუმცდარობის პასუხისმგებლობას?! მათი გადაწყვეტილება კრისტალურად კეთილსინდისიერიც რომ იყოს, გაუძლებს კი თუგინდ შედარებით ხანმოკლე დროის გამოცდას?!. ან დარწმუნებული ხართ, რომ მათი განაჩენი ყველა დროის საზოგადოებისთვისაც დამაჯერებელი და მისაღები იქნება?!

სად არის გარანტია, პანთეონის თქვენეული პროექტის ამ ერთი შეხედვით „დისკრიმინაციულ“ „ფერდობის ქვედა ნაწილში“ ყველა დასაფლავებულის ჭირისუფლებსაც არ გაუჩნდებათ თავ-თავიანთი მიცვალებულის „ზედა ნაწილში, რჩეულთა შორის რჩეულთა საუკუნო განსასვენებელში“ გადასვენების ილუზია და მით უმეტეს, მედგარი პრეტენზია?!

მტრისას, თუკი ეს თქვენ მიერ შემოთავაზებული რაღაც 5-7 წლის შემდეგ ბუნებრივად არ მოხდება და მის მისაღწევად მავანნი უკანდაუხეველ ბრძოლას შეუდგებიან!!! დაახლოებით მაინც ხვდებით, ამას რა მოჰყვება?! ეს ხომ საზოგადოების მგრძნობიარე წარმოდგენაში უნებლიეთ ჩადებულ პერპენდუმობილისებურ ნაღმს დაემსგავსება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ფუჭად შთანთქავს ჩვენი ისედაც გატანჯულ-გაღიზიანებული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის დროს, ნერვებს, ინტელექტუალურ პოტენციალს!

მაშ, ასე ხელაღებით რატომ უარყოფთ პანთეონში დაკრძალვის დღემდე მიღებულ საყოველთაო წესებს?!. თუმც მეც მესმის, არც ეს წესებია უნაკლო და ზოგჯერ გამაოგნებელი კურიოზებით ხასიათდება! აი, ამის ერთ-ერთი სამწუხარო მაგალითი.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ორივეს სიკვდილის შემდეგაც კარგა ხანს ბაჩანა ვაჟაზე დიდი პოეტი ეგონათ!!! სწორედ ამიტომ იყო, ვაჟა-ფშაველაც ჯერ დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, მთაწმინდაზე კი მხოლოდ 20-წლიანი თვალახელის შემდეგღა გადაასვენეს!!!

მსგავსი მაგალითების მოყვანა თანამედროვე ჩვენი სინამდვილიდანაც შეიძლებოდა, მაგრამ ამას ისეთი ვნებათაღელვა მოჰყვება, ვგუმანობ, საქართველოდან სადმე გადასახვეწად რიჩარდივით მეც უეჭველად „ო, ცხენი, ცხენი!“-ს შეძახება დამჭირდება! მაგრამ ის თუ ერთ ცხენში მთელ თავის სამეფოს იძლეოდა, მე რა მაქვავია - ვის რა შევთავაზო?! ამიტომ უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის შუასაუკუნეებისდროინდელ ინგლისში გადავინაცვლებ!

„ქართულმა ბიოგრაფიულმა ცენტრმა“ 2013 წელს გამოსცა ინგლისელი ავტორის, პიტერ აკროიდის 308-გვერდიანი წიგნი „შექსპირი“. დაეჭვებულთათვის შემოწმების გასაიოლებლად ციტატებს ბარემ გვერდების ზუსტი მითითებით მოვიყვან!

ავტორი აი, რას ამბობს 173-ე გვერდის პირველ აბზაცში.

„მართალია, ძალიან უნდოდა, ასე ყოფილიყო, მაგრამ სიცოცხლეში ლონდონის გამოჩენილ დრამატურგად არ უღიარებიათ“.

ეს რომელიმე რიგითი დრამატურგი არავის ეგონოს - აქ თვით უილიამ შექსპირზეა (1564-1616) ლაპარაკი!!!

შექსპირი თავისი გენიალობის მწვერვალზეა. 1603 წელს 70 წლის დედოფალი ელისაბედი გარდაიცვალა. მეფე ჯეიმსი (1566-1625) თავისი დიდი ამალით შოტლანდიიდან ლონდონში ჩაბრძანდა. მას ტრიუმფალური დახვედრა მოუწყეს. პომპეზურ პროცესიას დრამატურგები თომას დეკერი (1572-1632) და ბენ ჯონსონი (1573-1637) ხელმძღვანელობდნენ. ახლა ხსენებული წიგნის 239-ე გვერდზე ზევიდან მეშვიდე სტრიქონს ჩავყვეთ.

„თომას მიდლტონს (1580-1627) შესთავაზეს, ამ დღისათვის შესაფერისი ლექსი დაეწერა. უცნაურია, შექსპირი რომ არ არის მოხსენიებული სასახლის პანეგირისტებს შორის. ამ პატივზე უარის თქმა ნამდვილად გაუძნელდებოდა“.

დიახ, მაგრამ ასპარეზზე ახალგამოსული, შექსპირზე 10-15 წლით უმცროსი დრამატურგები ყველგან და ყველაფერში თვითონ ყელყელაობდნენ, ყველაზე დიდ კალმოსნად თავიანთი თავი მიაჩნდათ!

პ. აკროიდის ამომწურავ პასუხს 168-ე გვერდის ბოლო აბზაცში ვიპოვით.

„შექსპირი პოეტებითა და გრაფომანებით გადაჭედილ არენაზე გამოდიოდა“.

ნეტავი დღეს ჩვენთანაც იგივეა თუ უფრო უარესობა?!

შექსპირის ამხანაგსა და თანამოკალმეს, დრამატურგ ბენ ჯონსონს წიგნის ავტორი 150-ე გვერდის პირველივე სტრიქონში მწარედ კენწლავს.

„ჯონსონი პიესებს წასაკითხად წერდა, შექსპირი კი სცენაზე სათამაშოდ“.

ერთი სიტყვით, ეს ჯონსონი შექსპირთან ახლოსაც ვერ მივიდოდა, მაგრამ...

ახლა მე-300 გვერდის ბოლოდან მეორე აბზაცის ჯერი დგება.

„შექსპირი ისე მოკვდა, როგორც იცხოვრა, დიდი ყურადღება არავისგან მოუთხოვია. ბენ ჯონსონის დამკრძალავ პროცესიას მთელი ქალაქის დიდებულები და კეთილშობილები მიაცილებდნენ, შექსპირს - მხოლოდ უახლესი მეგობრები და ოჯახის წევრები“.

ბ-ნო ჯემალ, გულჩვილმა მკითხველებმა დაე, შეიმშრალონ ან შეიმაგრონ ცრემლი, ჩვენ კი განვაგრძოთ.

პოეტი მაიკლ დრეიტონი და შექსპირი ერთი კუთხის შვილები და თანატოლები ყოფილან. რაკი მისი ვინაობა ამ წიგნიდან პირველად გავიგე, შექსპირის ხათრით დრეიტონის შემოქმედების გაცნობის სურვილიც დამებადა. მაგრამ ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ქართულ-რუსულ კატალოგებში მაიკლ დრეიტონის არაფერი აღმოჩნდა. იგი ვერც ქართულ ენციკლოპედიაში აღმოვაჩინე. ისღა დაგვრჩენია, პ. აკროიდის წიგნის 290-ე გვერდის ბოლო აბზაცს მივენდოთ.

„შექსპირმა და დრეიტონმა განსხვავებული გზები აირჩიეს. დრეიტონმაც დიდ აღიარებას მიაღწია - ის ინგლისელი „ლაურეატი“ გახდა და ვესტმინსტერის სააბატოშია დაკრძალული, როცა შექსპირი - სხვა რა გზა ჰქონდა - სტრეთფორდის პატარა ეკლესიას დასჯერდა“.

ბოლოს და ბოლოს მაინც რა ხდებოდა - დრამატურგიის უბადლო ტიტანს მოშურნეები ჩაგრავდნენ?!. ეეეჰ!.. არა, სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც შექსპირს მართლაც არასოდეს მოჰკლებია მოშურნეები, მაგრამ შურს კიდევ გაუმკლავდები, საკუთარი ტალანტითა თუ ნებისყოფით გააქარწყლებ, რამეს მოუხერხებ!.. შურზე უფრო უარესი და უკურნებელი სენი თურმე სულ სხვა რამ ყოფილა!

წიგნის 279-ე გვერდის პირველ აბზაცში ნახმარი პიტერ აკროიდის ეს მარტივი, მაგრამ გენიალური ფრაზა უჟანგავი ფოლადის ადლიანი ასოებით უნდა ჩამოასხან და ჩვენი პლანეტის ხალხმრავალ ადგილებში მკვიდრად მიეჭედოს, როგორც მარადიული გაფრთხილება და ობიექტურობისკენ მოწოდება.

„თანამედროვეებს ხომ მომავლის იერარქიის შეგრძნება აკლიათ!!!“

შეუძლებელია, შექსპირს გულის სიღრმეში არ ეგრძნო თავის თანამედროვეთა ამგვარი ნაკლი. იგი, ალბათ, იმასაც გაივარაუდებდა, რომ გარკვეული დროის გავლის შემდეგ მის თანამემამულეებსაც ჯეროვნად ახელოდათ თვალი - სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის სახელგანთქმულ მოღვაწეთა მსგავსად, პროვინციული ქალაქის მყუდრო ეკლესიის პატარა სასაფლაოდან ისიც ლონდონის ყველაზე საპატიო პანთეონში გადაესვენებინათ! მაგრამ, როგორცა ჩანს, ტანჯულ გენიოსს სურდა არა უფრო საპატიო ადგილას გადასვენება, არამედ კაცობრიობისათვის თვალის ახელის იმედით თავის თანამედროვეთა მცდარი იერარქიული შეხედულებების უკვდავყოფა!

ღმერთმაცა და შექსპირის სულმაც მაპატიოს ამგვარი ფრთხილი ვარაუდი, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს იქნებ სწორედ ამან დააწერინა თავისივე საფლავის ასეთი ეპიტაფია.

„კეთილო მეგობარო, ღვთის გულისათვის, ნუ ხელყოფ აქ დაკრძალულ ცხედარს. დალოცვილი იყოს, ვინც დაინდობს ამ ქვებს და წყეულიმც იყოს, ვინც ჩემს ძვლებს შეაწუხებს.“

ბატონო ჯემალ, როგორც აქედან ჩანს, მთავარი ის კი არ არის, ღირსეულ მამულიშვილად მისაჩნევს პანთეონის ჯერ „ქვედა ნაწილში“ დაკრძალავენ, ხოლო „ზედა ნაწილში“ 5-7 ანდა, ვთქვათ, 11 თუ 16 წლის შემდეგ გადაასვენებენ, არამედ სულ სხვა რამ: ყველა ეპოქის ქართულ საზოგადოებას თავის თანამედროვე შემოქმედთა მიმართ ექნება თუ არა მომავლის ჯანსაღი იერარქიულობის შეგრძნება?! ანდა რაც ექნებათ, იმასაც ხელისუფალთა ყოვლისმძლეობა, ერთმანეთისადმი წრეობრივი ჯიბრიანობა, მავნის ნომენკლატურული დიდვინმეობა, გავლენიან მქონებელთა ყიზილბაშური მედიდურობა, პურისმჭამელთა საძმოს ძველბიჭური გამტანობა თუ მოხალისე პროტექციონერთა ქვეშქვეშაობა ხომ არ გააფერმკრთალებს, რის მიზეზითაც ამქვეყნად არასოდეს დაჭკნება მარადიული კითხვები.

ეს კაცი პანთეონში რისთვის დაკრძალეს?!. ის კაცი რატომ პანთეონში არ დაუკრძალავთ?!

აი, რა არის საკითხავი და საწუხარი!

კეთილი სურვილებით!

ჯემალ მეხრიშვილი

რელიგია

წმინდა ვალენტინი - მართლმადიდებელი წმინდანი

14/02/2013, დავით ხოსიტაშვილი

თეონა ნოზაძე

წყარო - „ამბიონი“ გამოქვეყნებულია: 13.02.2013

14 თებერვალს ვალენტინობის დღესასწაულის აღნიშვნა საზოგადოებაში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. მიზეზი ხშირ შემთხვევაში ამ დღის შინაარსის არცოდნა და ხალხში გავრცელებული არასწორი ინფორმაციაა.

ზოგჯერ აგრესიულ უარყოფასაც ვაწყდებით, ამ დროს კი წმიდა ვალენტინი ქრისტიანული წმიდანია და ქრისტიანული შინაარსით მისი ხსენების აღნიშვნაში ცუდი არაფერია.

„ამბიონი“ ვალენტინობის დღისა და წმიდა ვალენტინის შესახებ თეოლოგიის დოქტორს საეკლესიო სამართალში, მღვდელ ალექსი ქშუტაშვილს ესაუბრა:

„წმიდა ვალენტინი გახლდათ რეალურად ისტორიული პიროვნება, წმიდანი, რომელიც ცხოვრობდა მესამე საუკუნის შუა წლებში, ქალაქ ტერნისში, დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე. იყო ინტერამის ეპისკოპოსი. იგი 270 წელს მოწამეობრივად აღესრულა.

ვიცით, რომ 1054 წლამდე, სანამ კათოლიკური ეკლესია არ გამოეყო მართლმადიდებლურ ეკლესიას, ყველა წმიდანი, რომელიც მოღვაწეობდა დასავლეთ ევროპაში, ჩვეულებრივად მართლმადიდებელ წმიდანად მიიჩნევა. შესაბამისად, წმიდა ვალენტინი, რომლის ხსენებასაც დღეს უკვე კათოლიკური ეკლესია აღნიშნავს 14 თებერვალს, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია კი - ძვ.სტილით 30 ივლისსა და ახ.სტილით 12 აგვისტოს, მართლმადიდებელი წმიდანია, ერთ-ერთი პირველთაგანი მოწამე მართლმადიდებელი ეკლესიისა. მას ვალენტინ იტალიელსაც უწოდებენ.“

რამდენად შესაძლებელია, ერთი და იმავე წმიდანის ხსენებას სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესია განსხვავებულ კალენდარულ დღეს აღნიშნავდეს?

ასეთი რამ პრაქტიკაში მომხდარა და გასაკვირიც არაფერია. ოფიციალურად წმიდა ვალენტინის დღესასწაული 494 წელს დაინიშნა რომის ეპისკოპოსის გელასის დროს. იმ პერიოდიდან დასავლეთ ევროპაში წმიდა ვალენტინობას 14 თებერვალს ზეიმობდნენ. აღმოსავლეთში ამ წმიდანის ხსენების აღნიშვნა მოხდა უფრო მოგვიანებით და დაინიშნა ძველი სტილით 30 ივლისს.

არსებობს ბევრი მაგალითი იმისა, რომ ერთი და იმავე წმიდანის ხსენება სხვადასხვა რიცხვში აღინიშნებოდეს.

მაგალითად, წმიდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეს რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია 27 სექტემბერს აღნიშნავს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კი - 26 ივნისს. მსოფლიო საქრისტიანო გიორგობას აღნიშნავს მაისში. მაისში ჩვენც ვდღესასწაულობთ გიორგობას, მაგრამ ძირითადი გიორგობა ჩვენთან ნოემბერშია. ნიკოლოზობას მართლმადიდებელი საქრისტიანო წელიწადში ერთხელ აღნიშნავს - დეკემბერში, საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები კი ნიკოლოზობას მაისშიც დღესასწაულობენ.

სპეციალისტების უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ ის წმიდა ვალენტინი, რომლის ხსენებასაც დასავლეთ ევროპაში 14 თებერვალს აღნიშნავენ, არის იგივე წმიდანი, რომელსაც ჩვენ, მართლმადიდებლები ძვ. სტილით 30 ივლისსა და ახ. სტილით 12 აგვისტოს მოვიხსენიებთ .

რატომ დადგინდა წმიდა ვალენტინის ხსენების დღედ 14 თებერვალი?

არსებობს ორი ვერსია. პირველი ის, რომ რეალურად წმიდანი მოწამეობრივად აღესრულა 270 წელს, 14 თებერვალს.

მეორე ვერსიით, მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდანის ხსენების დღედ 14 თებერვალი დააწესა,

ამით სურდათ, ქრისტიანული შინაარსით ჩაენაცვლებინათ წარმართული დღესასწაულის - ლუპერკალების აღნიშვნა. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში, რომის იმპერიაში 14 თებერვალს აღინიშნებოდა წარმართული დღესასწაული, რომელსაც ლუპერკალები ერქვა, ანუ მგლის ღვთაების დღესასწაული.

რომში იდგა მგლის ღვთაების წარმართული ტაძარი, სადაც ეწყობოდა რიტუალი: ამ დღეს ტაძარში იკვლებოდა ორი ცხოველი - თხა და ძაღლი. მათ ატყავებდნენ, მათი ტყავიდან კი ჭრიდნენ გარკვეულ მათრახებსა და ქამრებს.

ტაძარში შედიოდა ორო ქურუმი - შიშველი მამაკაცები. ისინი იმოსებოდნენ ამ ქამრებით, რა ტყავიც დარჩებოდათ, გამოვიდოდნენ გარეთ და ტაძრის გარშემო რიტუალურ სირბილს იწყებდნენ. ამ დროს ტაძართან უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. სირბილის დროს ისინი ამ მათრახებს ხალხს ურტყამდნენ და განსაკუთრებით ქალები ცდილობდნენ, მათაც მოხვედროდათ. წარმართული წარმოდგენით, ვისაც ეს მათრახი მოხვდებოდა, მას ექნებოდა იღბალი სიყვარულში, ოჯახის შექმნაში, ბავშვების გაჩენაში... ანუ მგლის ღვთაების დღესასწაული დაკავშირებული იყო ნაყოფიერებასთან, სიყვარულთან...

14 თებერვალს ვალენტინობის დღის აღნიშვნით, წარმართი ქურუმების მოსმენის ნაცვლად, ხალხი ეკლესიაში მიდიოდა, ღვთისმსახურებას დაესწრებოდა და მართლმადიდებელი მღვდლების ქადაგებას ოჯახის, ქრისტიანული სიყვარულის, ბავშვების აღზრდის შესახებაც მოისმენდა.

რამდენად ხშირად ვხვდებით წარმართული დღესასწაულების ქრისტიანული დღესასწაულებით ჩანაცვლებას?

საუკუნეების განმავლობაში ეკლესიაში ასეთი რამ პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა. მისიონერული მიზნით, წმიდა მამები სპეციალურად ამთხვევდნენ სხვადასხვა ქრისტიანულ დღესასწაულებს რომელიღაც წარმართულ დღესასწაულების დღეებში.

ამის თვალსაჩინო მაგალითია 25 დეკემბერს ქრისტეს შობის აღნიშვნა. ვიცით, IV ს.-მდე ქრისტეს შობა მართლმადიდებელ ეკლესიაში საერთოდ არ აღინიშნებოდა. მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს შობის აღნიშვნა დაიწყეს მწვალებლებმა, უშუალოდ გნოსტიკოსებმა, ცხადია, მწვალებლური შინაარსით. მათი სწავლების მიხედვით, მატერია ბოროტებას წარმოადგენდა. ქრისტეს შობაში ისინი გლოვის მიზეზს ხედავდნენ. ბოროტმა ძალამ შთანთქა ღვთაება, - ასე უყურებდნენ მწვალებლები ქრისტეშობას.

ხალხისთვის ქრისტეშობის სწორი გაგება რომ მიეწოდებინათ, ამისათვის წმიდა მამებმა მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ქრისტეშობის აღნიშვნა 25 დეკემბერს დაადგინეს. მათ სურდათ განემარტათ ხალხისთვის, რომ ქრისტეშობა არათუ გლოვის, არამედ დღესასწაულისა და კაცობრიობის ხსნის დასაწყისია. 25 დეკემბერს კი წარმართები აღნიშნავდნენ მზის დაბადების დღეს. ამავე რიცხვში ქრისტეშობის აღნიშვნით მართლმადიდებელი ეკლესია ქადაგებდა, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არის არა ხილული მზე, არამედ მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელიც საკუთარ თავზე სახარებაში ამბობს: მე ვარ მზე სიმართლისა.

ამგვარად ხდებოდა ქრისტიანული შინაარსით წარმართული დღესასწაულის მსოფლმხედველობის ჩანაცვლება.

რატომ ასოცირდება ვალენტინობასთან სიყვარულის დღე?

არსებობს მხოლოდ ზეპირი გადმოცემა. იმ დროს, როდესაც წმიდა ვალენტინი ციხეში იყო და იცოდა, მეორე დღეს უნდა მოეკლათ და მოწამეობრივად აღესრულებოდა, თავის ცოლს მიწერა დასამშვიდობებელი წერილი, რომელსაც ასრულებს სიტყვებით: შენი ვალენტინი (მეშვიდე საუკუნის ჩათვლით ცოლები ეპისკოპოსებსაც ჰყავდათ. მე-6 მსოფლიო კრებამ დაადგინა, რომ ეპისკოპოსებისთვის აუცილებელია ცელიბატობა, ანუ არ უნდა ჰყოლოდათ ოჯახები). იგი ამ წერილში მეუღლის მიმართ სიყვარულს გამოხატავს. ამიტომ წმიდა ვალენტინი ასოცირდება სიყვარულთან, შეყვარებულებთან, ოჯახის მფარველობასთან... ხალხისთვის ის გახლდათ წმიდანი, რომელსაც უყვარდა თავისი ოჯახი და მეუღლე გარდაცვალების წინაც არ დაივიწყა.

როგორ უნდა აღვნიშნოთ სწორად ვალენტინობა?

პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ წმიდა ვალენტინი არის არა კათოლიკე, არამედ მართლმადიდებელი წმიდანი. მართლმადიდებლები ვალენტინობას, ინტერამის ეპისკოპოსის, წმიდა ვალენტინის ხსენებას 14 თებერვალს, თუ 30 ივლისს (ანუ 12 აგვისტოს ახალი სტილით - ს.ფ.) ქრისტიანული შინაარსით აღვნიშნავთ, ამაში ცუდი არაფერია. შეგვიძლია მივიდეთ ტაძარში, წავიკითხოთ დაუჯდომელი და შესაძლებელია, მოძღვრებმა ამ დღეს პარაკლისი, ან თუნდაც წირვა აღავლინონ.

ადამიანებს, მრევლს უნდა ავუხსნათ, რომ ვალენტინობის დღესასწაულის აღნიშვნა არ უნდა იყოს აღვირახსნილობის, ღრეობის, მრუშობის, ცოდვის მიზეზი. მათ უნდა ვესაუბროთ ქრისტიანული ოჯახის, სიყვარულის შინაარსის შესახებ. თუ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, სიყვარული იმისთვის არსებობს, რომ ოჯახი შეიქმნას და ადამიანები ურთიერთსიყვარულით ერთმანეთს ცხონების გზაზე სიარულში დაეხმარონ. სიყვარული და ოჯახი იმისთვისაა, რომ ბავშვები გაჩნდნენ და ისინი ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით აღვზარდოთ.

დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც ვალენტინობა, სამწუხაროდ, არა ქრისტიანული დღესასწაულის, ლოცვის მიზეზია, არამედ - ხორციელი აღვირახსნილობის. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ხალხი არ არის ეკლესიური და არაეკლესიური ადამიანებისთვის ქრისტიანული დღესასწაული მხოლოდ დროსტარების საბაბია. ხშირად ჩვენ, სასულიერო პირებსაც არ გვაქვს სწორი ინფორმაცია ამ დღესთან დაკავშირებით. თუ საზოგადოებას ქრისტიანული შინაარსით მივაწოდებთ ინფორმაციას ვალენტინობის შესახებ, გაუგებრობაც აღარ იქნება.

წყარო: http://www.orthodoxtheology.ge/cmvalentini/

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში
საიდენტიფიკაციო ნომერი: **404511658**
რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***